საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება

სარჩევი

თემა 1	საერთაშორისო კონვენციები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე;
თემა 2	გაცნობა, საგნის მიზნების და თემატიკის განსაზღვრა საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ და მასში გამოყენებული ტერმინები;
თემა 3	სახელმწიფოს პოლიტიკა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები;
თემა 4	საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება - გამაფრთხილებელი ნიშნები;
თემა 5	საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება -პრიორიტეტის ნიშნები, ამკრძალავი ნიშნები;
თემა 6	საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება - მიმთითებელი ნიშნები;
თემა 7	საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება - საინფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნები;
თემა 8	საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება - სერვისის ნიშნები, დამატებითი ინფორმაციის ნიშნები (დაფები);
თემა 9	საგზაო მონიშვნები- ჰორიზონტალური მონიშვნები;
თემა 10	საგზაო მონიშვნები -ვერტიკალური მონიშვნები;
თემა 11	საგზაო მოძრაობის წესები - მძღოლის ზოგადი მოვალეობები. სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციოდ დაშვება. თანამდებობის პირთა ვალდებულებები. სატრანსპორტო საშუალებებზე დასამაგრებელი საცნობი ნიშნები;
თემა 12	სპეციალური სიგნალების გამოყენება. ქვეითისა და მგზავრის მოვალეობები;
თემა 13	შუქნიშნისა და მარეგულირებლის სიგნალები. საავარიო შუქური სიგნალიზაცია;
თემა 14	მოძრაობის დაწყება, მანევრირება. სატრანსპორტო საშუალების განლაგება სავალ ნაწილზე. მოძრაობის სიჩქარე;
თემა 15	გასწრება, შემხვედრის გვერდის აქცევა. სატრანსპორტო საშუალების გაჩერება და დგომა;
თემა 16	გზაჯვარედინის გავლა. ქვეითთა გადასასვლელი და სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება. მოძრაობა რკინიგზის ლიანდაგზე. მოძრაობა ავტომაგისტრალზე. მოძრაობა საცხოვრებელ ზონაში. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებათა პრიორიტეტი;
თემა 17	გარე სანათი ხელსაწყოებითა და ხმოვანი სიგნალებით სარგებლობა. ბუქსირება. სასწავლო სვლა. მგზავრთა გადაყვანა. ტვირთის გადაზიდვა. დამატებითი მოთხოვნები ველოსიპედის, მოპედის, საჭაპანე ოთხთვალის მოძრაობისა და პირუტყვის გადარეკვის მიმართ;
თემა 18	პასუხისმგებლობა საქართველოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის. ამონარიდი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან - საგზაო მოძრაობის წესების დარღვევები, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

დისციპლინის მიზანია:

- მსმენელმა გაათვითცნობიეროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების აუცილებლობის საკითხი:
- მსმენელი გაეცნოს საერთAშორისო სამართლებრივ ნორმებს:
- მსმენელმა შეისწავლოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში ეროვნულ კანონმებლობა;
- მსმენელი გაეცნობა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხებს.

თემა # 1

საერთაშორისო კონვენციები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე

საგზაო ნიშნებისა და საგზაო მოძრაობის წესების წარმოშობის ისტორია

კლასიკური გაგებით შეიძლება ითქვას, რომ საგზაო ნიშნები არის ადამიანის მიერ სპეციალურად შექმნილი და გზის გასწვრივ მის ნაპირზე განთავსებული საგნები, რომლებიც გზით მოსარგებლეებს აძლევენ ინფორმაციას მათთვის სასურველი მიმართულებების, დასახლებული ადგილების, ამ ადგილებამდე სავარაუდო მანძილების შესახებ, აგრეთვე სხვა, მგზავრობის დროს საჭირო და გამოსადეგ ინფორმაციას. თუ ამ განმარტებას გავითვალისწინებთ ბუნებრივია გაგვიჩნდება აზრი, რომ საგზაო ნიშნები შესაძლოა ავტომანქანის გაჩენამდე გაცილებით ადრეულ ეპოქაში წარმოშობილიყო. ეს მოსაზრება სიმართლეა, რასაც ისტორიული ფაქტებიც ადასტურებენ. კაცობრიობის განვითარების შესაბამისად საჭირო გხდა გარკვეული ნიშნებით გაერთიანებული ადამიანებისაგან ჩამოყალიბებულ ცალკეულ დაჯგუფებებს შორის კონტაქტის აუცილებლობა. ამ კავშირების ერთ-ერთი ცივილური დანიშნულება ურთიერთგაცვლითი ანუ სავაჭრო მიზნებით განხორციელებული მგზავრობები იქნებოდა, თუმცა მგაზავრობა შეიძლებოდა მომხდარიყო სხვადა-სხვა მიზნით, მისიონერული მოგზაურობა, შემეცნებითი მოგზაურობა და სხვა. ურთიერთობის პირველ ეტაპზე მგზავრები ხმელეთზე გადაადგილების დროს

შედარებით მარტივი, ბუნებრივი დაბრკოლებისაგან თავისუფალი ტერიტორიებით ისარგებლებდნენ. თუმცა მოგვიანებით სახელმწიფოებრივი ფორმაციების ჩამოყალიბებამ, საზოგადოებრივი ურთიერთობების დახვეწამ წარმოშვა აუცილებლობა, რომ მგზავრობისათვის ხელსაყრელი პირობებისათვის შექმნილიყო ხელოვნურად მოწყობილი, ბუნებრივი დაბრკოლებებისაგან გაწმენდილი მიმართულებები ანუ გზები, შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისო. აღნიშნული გზებით ისარგებლებდნენ, როგორც ფეხითმოსიარულეები, ასევე ცხენებით თუ ოთხთვალებით გადაადგილებისას. სწორედ ამ პროცესმა განავითარა საგზაო კულტურა. წარმოიშვა აუცილებლობა ხანგრძლივ მგზავრობაში ჩართული ადამიანებისათვის

შესასვენებელი ადგილების არსებობისა. შესაბამისად გაჩნდა ინფორმაციის მატარებელი საგნებიც, რომლებიც სასურველ ობიექტებამდე მანძილისა თუ მიმართულების მიმანიშნებლებს წარმოადგენდნენ.

ყველაზე ადრეული საგზაო ნიშნები, რომლთა შესახებაც ინფორმაციამ ჩვენამდე მოაღწია იყო "საეტაპო მიჯნები", მანძილების საჩვენებლად თუ ინფორმაციის მისაღებად. რომის მთელ იმპერიაში განთავსებული იყო ქვის სვეტები რომლებზეც აღნიშნული იყო მანძილი რომამდე. შუასაუკუნეებში გზაჯვარედინებზე გავრცელებული იყო მულტიმიმართულებების მაჩვენებლები, რომლებიც იძლეოდნენ ინფორმაციას ქალაქებისა და დაბების მდებარეობის მიმართულებების შესახებ.

ანტიკური ეპოქის "საეტაპო მიჯნები"

პირველი თანამედროვე დატვირთვის საგზაო ნიშნები, ფართო მოხმარებისათვის შემუშავებული იქნა მაღალი და ჩვეულებრივი ველოსიპედისტებისათვის მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში. იმ ეპოქისათვის ველოსიპედები იყო საკმაოდ სწრაფი, ჩუმი და სამართავად რთული, გარდა ამისა მაშინ მეტად იყო გავრცელებული ველოსიპედებით უცნობი გზებით შორ მანძილზე მოგზაურობა. ასეთი მოგზაურებისათვის მაშინდელი "ველოსიპედისტთა ორგანიზაციებმა" (როგორც ჩანს ისინი არსებობნენ) დაიწყეს საგზაო ნიშნების დაყენება, რომლებიც აფრთხილებდნენ ველოსიპედისტებს არა მარტო დანიშნულების ობიექტების მიმართულებებისა და ამ ობიექტებამდე მანძილების, არამედ შესაძლო სახიფათო უბნების შესახებაც, განსაკუთრებით ციცაბო კლდეების თაობაზე. ამრიგად იმ პერიოდში წარმოიშვა კიდევ ერთ-ერთი დღეისათვის ფართოდ გავრცელებული გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნების ტიპი.

კარლ ფრიდრიჰ ბენცი – მის მიერ შექმნილ საპატენტო ავტომანქანაზე, benc-1

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, მსოფლოში გაჩნდა პირველი ავტომობილები, საფრანგეთში 1893 წელს, ინგლისში 1896 წელს და ამავე პერიოდში გერმანიაში. ამ მოვლენამ საგზაო ნიშნების განვითარება გამოიწვია. თანამედროვე ნიშნების პირველი სისტემა შემუშავებულ იქნა იტალიურ ტურისტულ კლუბის მიერ 1895 წელს. 1900 წელს ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის ლიგის კონგრესი პარიზში განიხილავდა საგზაო აღნიშვნების სტანდარტიზაციის საკითხებს. მარამ იმ დროისათვის ქვეყნებს შორის არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი, თუ რა მოთხოვნებს უნდა დაქვემდებარებოდა საგზაო მოძრაობა. ევროპის ცალკეულ ქვეყნებს და ქალაქებს ჰქონდათ საკუთარი აზრი და თვალთAხედვა საშიშროების ხარისხზე, რომელსაც ქმნიდნენ "თვითმავალი ეკიპაჟები", თითეული მათგანი ცდილობდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ინდივიდუაალური სტანდარტების შემუშავებას.

1903 წელს ბრიტანეთის სამეფომ მიიღო ოთხი ნაციონალური საგზაო ნიშანი, თუმცა საგზაო ნიშნების ძირითადი ფორმები მიღებულ იქნა 1908 წელს რომში გამართულ საერთაშორისო საავტომობილო კონგრესზე. საგზაო მოძრაობის სამართლებრივ სტანდარტებზე თავისებური შეხედულებები იყი გერმანიაში. მე-20 საუკუნის დასაწყისში მოქმედებდა კანონი, რომლის თანახმადაც ავტომობილების მოძრაობა ნებადართული იყო მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში და ადგილობრივი მმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე. შვეიცარიაში სავალდებულო იყო "სწრაფი" მოძრაობა, რათა გამონაბოლქვს არ შეეწუხებინა ფეხითმოსიარულეები. რუსეთში ავტომანქანის მძღოლები ვალდებულები იყვნენ ცხენის ეტლებთან მოძრაობის მარშრუტების კვეთის დროს გაჩერებულიყვნენ, რომ არ დაეფრთხოთ ცხოველები და სხვა.

მსოფლიოში ბოლო 100 წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და შესაბამისად სატრანსპორტო გადაზიდვების ზრდის გამო, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა ილუსტრირებული საგზაო ნიშნები, ან სხვაგავარად გაამარტივა ისინი, რითაც გაადვილდა საერთაშორისო მოძრაობა. თანამედროვე ევროპული საგზაო ნიშნების ამოსაცნობად ენობრივი ბარიერი აღარ წარმოადგენს პრობლემას, რაც თავის მხრივ ამაღლებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მაჩვენებლებს. ასეთ ნიშნებში ძირითადად გამოიყენება სიმბოლოები და სილუეტები სიტყვების ნაცვლად, რომლებიც დამყარებულია საერთაშორისო ოქმებზე. ამ ტიპის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები პირველად ევროსივრცეში წარმოიშვა.

პირველი საერთაშორისო შეთანხმება მიღწეულ იქნა პარიზში 1909 წლის 11 ოქტომბერს _ კონვენცია „ავტომობილების გადაადგილების შესახებ“. იგი შედგებოდა 15 მუხლისაგან და მოიცავდა იმ აუცილებელი მოთხოვნების ჩამონათვალს, რომლებიც წაეყენებოდა სატრანსპორტო საშუალებებს და მძღოლებს. თავისი შინაარსით ეს კონვენცია, უკვე მაშინ განიხილავდა პრომლემებს ავტომობილების კონსტრუქციის და მათი

საერთაშორისო მოძრაობაში დაშვების შესახებ. უნიფიცირება გაუკეთდა იმდროისათვის არსებულ ოთხ წრიული ფორმის მაფრთხილებელ ნიშანს.

ა – უსწორმასწორო გზა

ბ – მკვეთრი მოსახვევი

გ – სარკინიგზო გადასასვლელი

დ – გზების გადაკვეთა

ამავე კონვენციაში შემუშავებულ იქნა მძღოლის საერთაშორისო კატეგორიის მართვის მოწმობის ფორმა. აღნიშნული მოწმობით მძღოლებს უფლება ეძლეოდათ სატრანსპორტო საშუალებები ემართათ სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე.

შემდგომი ნაბიჯი ამ მიმართულებით კვლავ პარიზში გადაიდგა 1926 წლის 24 აპრილს. ხელმოწერილ იქნა ორი ახალი კონვენცია: საერთაშორისო კონვენცია „საავტომობილო მოძრაობის შესახებ“ და საერთაშორისო კონვენცია „საგზაო მოძრაობის შესახებ“, რომელთა მიზანი იყო 1909 წლის კონვენციის შეცვლა და გაფართოება. წინა შეთანხმებისაგან განსხვავებით ახალი კონვენცია დაწვრილებით მოიცავდა იმ მოთხოვნებს, რომელიც წაეყენებოდა საერთაშორისო მოძრაობაში მონაწილე ავტომობილებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებულ ოთხ წრიული ფორმის მაფრთხილებელ ნიშანს შეეცვალა ფორმა, გახდა სამკუთხა ფორმის და დაემატა ორი ახალი მაფრთხილებელი ნიშანი. კერძოდ "გაჩერება სავალდებულოა" და "რკინიგზის დაუცველი გადასასვლელი".

უსწორმასწორო გზა

მკვეთრი მოსახვევი

გზების გადაკვეთა

სარკინიგზო გადასასვლელი

რკინიგზის დაუცველი გადასასვლელი

გაჩერება სავალდებულოა

უნდა აღინიშნოს, რომ 1926 წლის კონვენცია სრულყოფილი სახით არ მოიცავდა საკითხებს საგზაო ნიშნების და სიგნალების შესახებ. ამ პრობლემის სრულყოფისთვის 1931 წლის 30 მარტს ჟენევაში შეთანხმებული იქნა კონვენცია „საგზაო სიგნალების უნიფიკაციის შესახებ“. რომელმაც საგზაო ნიშნების რაოდენობა 26-მდე გაზარდა. პირველად მოხდა მათი ჯგუფებად დაყოფა: მაფრთხილებელ, მიმთითებელ და მაჩვენებელ ნიშნებად.

ევროპის პარალელურად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ერთიანი საერთაშორისო სისტემებზე მუშაობა მიმდინარეობდა მეორე ნახევარსფეროზეც. 1943 წლის დეკემბერში, ვაშინგტონში შეკრებილმა ამერიკის კონტიგენტის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, პანამერიკული კავშირის ეგიდით შეათანხმეს კონვენცია „ამერიკულ ქვეყნებს შორის საავტომობილო მოძრაობის წესების შესახებ“. ეს რეგიონალური კონვენცია არ განიხილავდა ნიშნების და სიგნალების პრობლემებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1947 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული ეკონომიკური კომისია, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ერთიანი საერთაშორისო მოთხოვნებისა წესების შემუშავება. აღინიშნა რა, რომ 1926 და 1931 წლების კონვენციები მოძველებულია, გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭომ 1948 წლის 28 აგვისტოს 147B(VII) რეზოლუციით მიიღო გადაწყვეტილება, რათა ჟენევაში მოწვეული ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია „საგზაო და საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კონვენციის შეთანხმებისთვის. ამ კონფერენციის მუშაობა ეფუძნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის შიდა ტრანსპორტის კომიტეტის კონვენციის პროექტს და 1943 წლის კონვენციას „ამერიკულ ქვეყნებს შორის საავტომობილო მოძრაობის წესების შესახებ“. საბოლოოდ, ორი წლის მუშაობის შედეგად 1949 წლის 23 აგვისტოს

ჟენევაში ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას _ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ და მიღებულ იქნა „საგზაო ნიშნების და სიგნალების შესახებ“ სპეციალური ოქმი. აღნიშნულ ხელშეკრულებას არ შეუერთდნენ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ანგლო-ამერიკული ქვეყნები ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით საგზაო ნიშნებში სიმბოლოების ნაცვლად ხმარობდნენ წარწერებს.

შემდგომში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარებამ, თავისთავად წარმოშვა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დახვეწის აუცილებლობა. 1966 წლის ივლისში გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებულ მომავალი კონფერენციის მუშაობისთვის მიზანშეწონილი იყო ორი კონვენციის პროექტის დამუშავება, რომლებიც გაეგზავნებოდა სახელმწიფოებს და დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რათა მათ შეძლებოდათ სათანადო წინადადებების ან შენიშვნების კომისისათვი წარმოდგენა.

აღნიშნული მუშაობის შედეგად, მსოფლიოს ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენცია შედგა 1968 წლის 7 ოქტომბერს და დამთავრდა 8 ნოებერს. ეს შეკრება ცნობილია ვენის კონფერენციის სახელით. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 71-მა ქვეყანამ. ხუთი ქვეყანა დამატებით მოწვეული იყო დამკვირვებლის სტატუსით. კონფერენციაზე ხლმოწერილ იქნა ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულება: კონვენცია "საგზაო მოძრაობის შესახებ" და კონვენცია "საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ".

ვენის კონვენციების მიღების შემდგომ 1971 წელს შემუშავებულ იქნა ევროპული შეთანხმება, რომელმაც შეავსო და დააკონკრეტა კონვენციების ცალკეული მუხლები. მაგალითად დაადგინა მაფრთხილებელი ნიშნების სამკუთხა (ევროპული სისტემა) და რომბის (ამერიკული სისტემა) ფორმები. ვენის 1968 წლის კონვენციით ნებადართული იყო ამკრძალავ ნიშნებზე დატანებული ყოფილიყო წითელი ფერის დახრილი ზოლი, 1971 წელს მიღებულმა ევროპულმა შეთანხმებამ ასეთი ზოლის დატანა სავალდებულოდ არ ჩათვალა.

1973 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული ეკონომიკური კომისიის მიერ მიღებულ იქნა ევროპული შეთანხმების ოქმი "საგზაო მონიშვნების შესახებ", რომელმაც შეავსო და დააკონკრეტა ვენის "საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ" კონვენციის ცალკეული მუხლები.

აღნიშნულ შეთანხმებისა და ოქმის გათვალისწინებით ვენის კონვენცია "საგზაო მოძრაობის შესახებ" იურიდიულ ძალაში შევიდა 1977 წლის 21 მაისს, ხოლო კონვენცია "საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ 1978 წლის 6 ივნისს.

საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო აღნიშნულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შეუერთდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში.

ამრიგად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და ორგანიზების სფეროში მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტებს წარმოადგენს 1968 წელს ვენაში შეთანხმებული **კონვენცია „საგზაო მოძრაობის შესახებ“** და **კონვენცია „საგზაო ნიშნების და სიგნალების შესახებ“.**

აგრეთვე 1971 წლის ევროპული შეთანხმება ამ კონვენციების დამატებების შესახებ.

ქვეყნების მიერ აღნიშნულ კონვენციებთან შეერთება და მათი შემდგომი რატიფიცირება განპირობებული იყო მისწრაფებით, შექმნილიყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ერთიანი საერთაშორისო სისტემა, რომელიც გაადვილებდა ხელისმომწერ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების წარმოებას. აამაღლებდა გზებზე მოძრაობის უსაფრთხოებას. ამავე მიზნით ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება საკუთარი კანონმდებლობა მოეყვანათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ეს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ორგაულ ნაწილს. გამომდინარე აქედან მათი ცოდნა სავალდებულოა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში მომუშავე პირებისათვის.

"საგზაო მოძრაობის შესახებ" კონვენცია შედგება ექვსი თავისა და 56 მუხლისაგან, რომელსაც თან ერთვის შვიდი დანართი. იმ რეალობის გათვალისწინებით, ამ კონვენციის ხელისმომწერ ყველა ქვეყანას აგრეთვე არ აქვს ხელი მოწერილი კონვენვიაზე "საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ", მათში მოცემული ზოგიერთი დებულებები სრულიად ან მცირედი განსხვავებებით ემთხვევა ერთმანეთს.

კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ სურდათ რა ერთგვაროვანი მოძრაობის წესების მიღებით საერთაშორისო საგზაო მოძრაობის გაადვილება და გზებზე უსაფრთხოების ამაღლება, ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდნენ მნიშვნელოვან დებულებებზე. აღნიშნული საკითხები მუხლობრივად არის გაწერილი კონვენციაში.

პირველ თავში ჩამოყალიბებულია საერთო დებულებები:

- კონვენციაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები;
- კონვენციის 7 დანართის ჩამონათვალი, რომლებიც არიან:

დანართი 1. ავტომობილისა და მისაბმელის საერთაშორისო მოძრაობაში დაშვების ვალდებულებიდან გადახვევა;
დანართი 2. საერთაშორისო მოძრაობაში მყოფი ავტომობილებისა და მისაბმელების სარეგისტრაციო ნომერი;
დანართი 3. საერთაშორისო მოძრაობაში მყოფი ავტომობილებისა და მისაბმელების განმასხვავებელი ნიშანი;
დანართი 4. საერთაშორისო მოძრაობაში მყოფი ავტომობილებისა და მისაბმელების საცნობი ნიშნები;
დანართი 5. ტექნიკური პირობები ავტომობილებისა და მისაბმელების შესახებ;
დანართი 6. ნაციონალური მძღოლის მოწმობა;
დანართი 7. საერთაშორისო მძღოლის მოწმობა;

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მოვალეობანი.

მეორე თავი დათმობილი აქვს საგზაო მოძრაობის წესებს. ხელისმომწერი მხარეები ეროვნულ კანონმდებლობას აყალიბებენ ამ წესების შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი საერთო დებულებების ჩამოთვალი.

ეს დებულებებია:

- საგზაო ნიშნებისა და სიგნალების მნიშვნელობა;
- საგზაო მოძრაობის რეგულირების უფლებამოსილ პირთა სიგნალები;
- საერთო წესები, რომლებიც გასათვალისწინებელია საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილისათვის;
- მძღოლების მოვალეობანი;
- მოთხოვნები პირუთყვის პირუტყვის ჯოგების გადარეკვისას;
- გზაზე განლაგება, ეხება ავტომანქანებს, ველოსიპედებს და სხვა;
- გასწრება და რიგებში მოძრაობა;
- შემხვედრი გვერდის აქცევა;
- სიჩქარე და დისტანცია;
- მანევრებთან დაკავშირებული საეთო მითითებანი;
- საქალაქო ტრანსპორტის რეგულარულ ხაზებზე გადაზიდვების შემსრულებელ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული მითითებანი;
- მოძრაობის მიმართულების შეცვლა;
- გზაჯვარედინები და გზის დათმობის მოვალეობა;
- მითითებანი ქვეითად მოსიარულეთათვის;
- გაჩერება და დგომა;
- ავტომაგისტრალები და მსგავსი სახის გზები;
- ველოსიპედების, კიდულძრავიანი ველოსიპედების და მოტოციკლების მძღოლებთან დაკავშირებული განსაკუთრებული წესები;
- შესაბამისი ნიშნით აღნიშნულ საცხოვრებელ ზონებში გამოყენებული საპეციალური წესები

შესაბამისი ნიშნით აღნიშნულ საცხოვრებელ ზონებში;

- განსაკუთრებული წესები, გზაზე სარემონტო ან საამშენებლო სამუშოების შემსრულებელ პირთა მიმართ;
- ხმოვანი და შუქური სიგნალები;
- სატრანსპორტო საშუალების ტვირთი;
- მგზავრთა გადაყვანა;
- მაშუქების გამოყენების პირობები და სხვა.

აღნიშნული მოთხხოვნები ასახულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ ეროვნულ ნაციონალურ კანონმდებლობაში.

მესამე თავში განსაზღვრულია ავტომობილებისა და მისაბმელების საერთაშორისო მოძრაობაში დაშვების პირობები.

- რეგისტრაცია;
- სარეგისტრაციო ნომერი;
- მარეგისტრირებელი სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი;
- საცნობი ნიშნები;
- ტექნიკური მოთხოვნები, სატრანსპორტო საშუალებათა დათვალიერება და სხვა.

მეოთხე თავში საუბარია მძღოლის მოწმობების გაცემის, მათი მოქმედების ვადებისა და უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

მეხუთე თავში ჩამოყალიბებულია ველოსიპედებისა და კიდულძრავიანი ველოსიპედების საერთაშორისო მოძრაობაში დაშვების პირობები.

ბოლოს მეექვსე თავში ჩამოყალიბებულია დასკვნითი დებულებები, როგორიც არის კონვენციასთან მიერთებისა და მისი რატიფიკაციის პირობები, ხელისმომწერი ქვეყნის ტერიტორიაზე მისი ძალაში შესვლის, აგრეთვე დენონსირების პირობები და სხვა.

კონვენციის ბოლო მუხლში ნათქვამია, რომ ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე ერთ ეგზემპლიარად შედგენილი ამ კონვენციის დედანი, ამასთან ყველა, ხუთივე, ტექსტი თანაბრად ავთენტურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც უგზავნის სათანადო სახით დამოწმებულ ასლებს ამ კონვენციაში მითითებულ ყველა სახელმწიფოს.
რის დამადასტურებლად თავიანთი სახელმწიფოს მიერ სათანადო სახით ამისათვის უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

კონვენცია შესრულებულია ვენაში 1968 წლის 8 ნოემბერს.

მეორე მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში არის კონვენცია "საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ". ის შედგება ექვსი თავისა და 48 მუხლისაგან. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია: აღიარეს, რომ ერთგვაროვანი საგზაო ნიშნები, სიგნალები და საგზაო მონიშნის აღნიშვნები საერთაშორისო ასპექტში აუცილებელია საერთაშორისო მოძრაობის გაადვილებისთვის და გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლებისთვის ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთახმდნენ შემდეგზე:

კონვენციის პირველი თავი ჩვეულებრივ დათმობილი აქვს საერთო დებულებებს:

- ამ დებულებაში მოყვანილი ტერმინების მნიშვნელობები (როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ზოგიერთი მათგანის განმარტება ემთხვევა "საგზაო მოძრაობის შესახებ" კონვენციაში გამოყენებული ტერმინების განმარტებებს);
- კონვენციის სამი დანართი, რომლებიც ამ კონვენციის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. პირველ დანართს აქვს ქვეპუნქტები:

დანართი 1. საგზაო ნიშნები;

- ნაწილი 1: მაფრთხილებელი ნიშნები;
- ნაწილი 2: გავლის უპირატესობის უფლების ნიშნები;
- ნაწილი 3: ამკრძალავი და შემზღუდავი ნიშნები;
- ნაწილი 4: მიმთითებელი ნიშნები;
- ნაწილი 5: განსაკუთრებული მიმთითებელი ნიშნები;
- ნაწილი 6: საიფორმაციო ნიშნები, ობიექტების ამღვნიშვნელი და სერვისის ნიშნები;
- ნაწილი 7: მიმართულების მიმთითებელი და საინფორმაციო-მიმთითებელი ნიშნები;
- ნაწილი 8: დამატებითი ნიშნები (დაფები);

დანართი 2. საგზაო მონიშვნა;

დანართი 3. სასიგნალო ნიშნების, აღნიშვნების და დაფების ფერადი გამოსახულებები, რომლებზეც ლაპარაკია პირველ დანართში.

- ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მოვალეობანი;
- ხელშეკრულების დამდები მხარეების ვალდებულებები;

კონვენციის მეორე თავიში ჩამოყალიბებულია საგზაო ნიშნებისა და სიგნალების კლასიფიკაცია.

ამ კონვენციის სისტემაში განასხვავებენ შემდეგი კატეგორიის სასიგნალო ნიშნებს:

1. საშიშროების შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები: ამ ნიშნების მიზანია გზით მოსარგებლეები გააფრთხილოს გზებზე არსებული საშიშროების და მისი ხასიათის შესახებ;

2. სავალდებული მითითების ამღვნიშვნელი ნიშნები: ამ ნიშნების მიზანია გზით მოსარგებლეებს აცნობოს ვალდებულებების, შეზღუდვების და სპეციალური აკრძალვების შესახებ, რომლებიც მათ უნდა დაიცვან. ისინი იყოფიან:
   - გავლის უპირატესობის (პრიორეტიტული) ნიშნები;
   - ამკრძალავი ან შემზღუდავი ნიშნები;
   - მიმთითებელი ნიშნები;
   - განსაკუთრებული მიმთითებელი ნიშნები;
   -
3. მაჩვენებელი ნიშნები: ამ ნიშნების მიზანია გზით მოსარგებლეებს მისცეს მათ მოძრაობის მარშრუტეზე აუცილებელი ინფორმაცია ან სხვა სასარგებლო მითითება. ისინი იყოფიან:
   - საინფორმაციო ნიშნები, ობიექტის ამღვნიშნელი და სევისის ნიშნები;
   - მიმართულების მაჩვენებელი და საინფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნები;
     - წინასწარ მიმართულების მაჩვენებელი;
     - მიმართულების მაჩვენებელი;
     - სამარშრუტო მარკები;
     - დასახელების მაჩვენებელი;
     - დამადასტურებელი ნიშნები;
     - მაჩვენებელი ნიშნები;
     - დამატებითი დაფები.

იმ შემთხევევაში, როცა წინამდებარე კონვენცია იძლევა არჩევის საშუალებას რამდენიმე ნიშნებსა და აღნიშვნებს შორის. ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას იღებენ თავიანთ ტერიტორიაზე გამოიყენონ მხოლოდ ერთი ნიშანი ან აღნიშვნა. ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა მიაღწიონ შეთანხმება რეგიონალურ დონეზე, რომ არჩეული იქნას იგივე ნიშანი ან იგივე აღნიშვნა;

ნიშნები ყენდება იმ სახით, რომ მათი აღქმა იოლად და დროულად შეეძლოთ მძღოლებს, რომლებისთვისაც ისინი არიან გათვალისწინებული. ჩვეულებრივად მათ აყენებენ მოძრაობის მიმართულების გზის შესაბამის მხარეს, მაგრამ ისინი შეიძლება განთავსდნენ გზის სავალი ნაწილის ზემოთ. ნებისმიერი ნიშანი, დაყენებული მოძრაობის მიმართულების შესაბამის მხარეს უნდა იქნეს განმეორებული სავალი ნაწილის ზემოთ ან გზის მოპირდაპირე მხარეს, თუ ადგილობრივი პირობები ისეთია, რომ ეს ნიშანი შეიძლება დროულად ვერ იქნეს შენიშნული სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მიერ, რომლებისთვისაც ის არიან გათვალისწინებული.

იმისთვის, რომ საგზაო ნიშნები, კერძოდ მაფრთხილებელი ნიშნები და სავალდებულო მითითების ნიშნები, გაჩერების ან დგომის განმსაზღვრელი ნიშნების გამოკლებით, დასახლებული პუნქტების განათებულ გზებზე კარგად ჩანდნენ და იოლად აღიქმებოდნენ ღამით, მიზანშეწონილია ისინი ნათდებიდნენ ან იყვნენ შუქამრეკლი მასალის ან მოწყობილობიბებით, იმ პირობით, რომ ისინი არ გამოიწვევენ გზით მოსარგელეთა თვალის მოჭრას.

ამის შემდეგ კონვენციაში დახასიათებულია საგზაო ნიშნების თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე.

მესამე თავში აღწერილია მაშუქი საგზაო სიგნალები ანუ შუქნიშნის სიგნალები და თითოეული ფერის დანიშნულება და მოთხოვნები საგზაო მოძრაობის მონაწილეთათვის

მეოთხე თავში დახასიათებულია საგზაო მონიშვნები. კონვენციის მიხედვით სავალ ნაწილზე აღნიშვნები (საგზაო მონიშვნა) გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა კომპეტენტური ორგანოები მოძრაობის რეგულირების მიზნით ამას აუცილებლად სთვლიან, გზით მოსარგებლეთა გაფრთხილების და ორიენტაციისთვის. ეს აღნიშვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა საგზაო სასიგნალო ნიშნებთან ერთად, მათი მითითებების გაძლიერების ან დაზუსტებისათვის.

მეხუთე თავში საუბარია სხვადასხვა საგზაო ნიშნებზე და სიგნალებზე, მათი დანიშნულებისა და გამოყენების პირობებზე. *ეს სიგნალებია:*

- სარემონტო სამუშაოების სიგნალიზაცია;

- მონიშვნა, რომელიც მოწყობილია შუქამრეკლი ხელსაწყოებით ან სინათლეების დახმარებით (გზის სავალ ნაწილზე არსებული ტუმბოების ან უსაფრთხოების კუნძულების აღსანიშვნა რეკომინდირებულია თეთრი ან ყვითელი სინათლეებით ან შუქამრეკლი მოწყობილობებით);
- რკინიგზის გადასასვლელთან, მატარებლის მოახლოების ან შლგბაუმის ან ნახევარშლაგბაუმის მოსალოდნელი დაკეტვის შესახებ გაფრთხილებისათვის დადგმულია სიგნალიზაცია და სხვა;

მეექვსე თავი დათმობილი აქვს დასკვნით დებულებას. მასში განხილულია კონვენციასთან მიერთებისა და მისი რატიფიკაციის პირობები, ხელისმომწერი ქვეყნის ტერიტორიაზე მისი ძალაში შესვლის, აგრეთვე დენონსირების პირობები და სხვა. კონვენციაში აღნიშნულია, რომ იგი ნიუორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებაში 1969 წლის 31 დეკემბრამდე ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსთვის - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისთვის ან ნებისმიერი სპეციალიზირებული ორგანიზაციის წევრებისთვის, ან ატომური ენერგიის საერთასორისო სააგენტოს წევრებისთვის, ან საერთასორისო სასამართლოს სტატუსის მქონე მხარეებისტვის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მოწვეულ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსთვის გახდეს ამ კონვენციის მხარე.

ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე ერთ ეგზემპლიარად შედგენილი ამ კონვენციის დედანი, ამასთან ყველა, ხუთივე, ტექსტი თანაბრად იდენტური შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც უგზავნის სათანადო სახით დამოწმებულ ასლებს ამ კონვენცით მითითებულ ყველა სახელმწიფოს.

შესრულდა ვენაში 1968 წლის 8 ნოემბერს.

თემა # 2
საქართველოს კანონი "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" და მასში გამოყენებული ტერმინები

საერთაშორისო ხელშეკრულებებში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებისათვის.

1. **„ეროვნული (ნაციონალური) კანონმდებლობა"** ნიშნავს ამ ხელშეკრულების დამდები მხარის ტერიტორიაზე მოქმედი ეროვნული (ნაციონალური) ან ადგილობრივი კანონებისა და წესების ერთობლიობას.

2. **„საერთაშორისო მოძრაობაში მყოფად** ითვლება სატრანსპორტო საშუალება, თუ იგი:
   - ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ამ სახელმწიფოში არ ცხოვრობს;
   - არ არის ამ სახელმწიფოში რეგისტრირებული;
   - ამ სახელმწიფოში დროებით იმყოფება.

3. **„გზა"** – *სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის მოწყობილი მიწის ზოლი ან ხელოვნური ნაგებობის ზედაპირი.*

დაუსრულებელ პუნქტებში გზის ძირითადი ელემენტებია:
- ☐ *განთავსების ზოლი;*
- ☐ *გზის ვაკისი;*
- ☐ *სავალი ნაწილი;*
- ☐ *გზის პირი;*
- ☐ *კიუვეტები.*

დასახლებულ პუნქტში გზის ძირითადი ელემენტებია:
- ☐ *გზის სიგანე;*
- ☐ *სავალი ნაწილი;*
- ☐ *მოძრაობის ზოლი;*
- ☐ *გამყოფი ზოლი;*
- ☐ *ტროტუარი;*

- *ტრამვაის ხაზი.*

4. „გზის მიმდებარე ტერიტორია” – ტერიტორია, რომელიც უშუალოდ ეკვრის და არ არის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გამჭოლი მოძრაობისათვის (ეზო, საცხოვრებელი მასივი, ავტოსადგომები, გასამართი სადგური და სხვა).

5. „გზაჯვარედინი” – ერთ დონეზე გზების ნებისმიერ გადაკვეთას, შეერთება ან განშტოება; ამ გადაკვეთებით, შეერთებებითა და განშტოებებით წარმოქმნილ ტერიტორიების ჩათვლით.

6. „მთავარი გზა” – 2,1 2,3,1 – 2,3,3 ან 5,1 საგზაო ნიშნებით აღნიშნული გზა, რომელიც ანიჭებს მძღოლს გავლის უპირატესობას გზის გადამკვეთ მეორეხარისხოვან გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში. ხელოვნური საფარიანი გზა ითვლება მთავარ გზად გრუნტოვან გზასთან შედარებით. მიმდებარე ტერიტორიიდან გამომავალი გზა ითვლება მეორე ხარისხოვნად.

7. „საავტომობილო გზა” – 5,3 საინფორმაციო მაჩვენებელი ნიშნით აღნიშნული გზა, რომელიც უზრუნველყოფს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მოძრაობას.

8. „ავტომაგისტრალი”_ შესაბამისი ნიშნით აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის სპეციალურად აშენებული გზა, რომელსაც საპირისპირო მოძრაობისათვის გამოსაყოფად აქვს გამყოფი ზოლი. არ აქვს ერთ დონეზე გადაკვეთა გზასთან, რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებთან და ქვეითთა ბილიკებთან.

9. „სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალება”-საერთო სარგებლობის (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი) სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც დადგენილი მარშრუტით გადაჰყავს მგზავრები:

10. „სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა”-ერთ მთლიანობაში მოძრავი გადაბმული სატრანსპორტო საშუალებები.

11. „ავტომობილი” – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც იყენებენ გზებზე მგზავრების გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად, ან იმ სატრანსპორტო საშუალების ბუქსირებისათვის, რომლებიც გამოყენებულია ხალხის გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად. ტერმინი ასევე მოიცავს ტროლეიბუსებს, ანუ ელექტრო ხაზთან შეერთებულ სატრანსპორტო საშუალებებს. ტერმინი „ავტომობილი” არ მოიცავს ისეთ სატრანსპორტო საშუალებებს, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები.

12. „მსუბუქი მისაბმელი” ყოველგვარი მისაბმელი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატენა 750 კგ-ს (1650 ფუნტს).

13. „ნახევრადმისაბმელი” – მისაბმელი, რომელიც განკუთვნილია ავტომობილთან იმგვარად, რომ მისი ნაწილი ეყრდნობა ავტომობილს, ხოლო ავტომობილს მიაქვს ნახევარმისაბმელისა და მისი ტვირთის წონის მნიშვნელოვანი ნაწილი.

14. „მძღოლი” – პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას – ავტომობილს ა.შ. (ველოსიპედის ჩათვლით), ან გადაჰყავს გზებზე საქონელი, ფარა სასაპალნე შესაბმელი ან საჯდომი პირუტყვი. (მძღოლთან გათანაბრებულია ის პირიც, რომელიც სწავლობს ტრანსპორტის ტარებას).

15. „ქვეითთა ორგანიზებული კოლონა” – პირთა ჯგუფი, რომლებიც ერთდროულად გადაადგილდებიან გზაზე ერთი მიმართულებით.

16. "ქვეითთან გათანაბრებულია პირი" _ რომელსაც მიჰყავს საბავშვო, ინვალიდის ან ავდმყოფის ეტლი ან ნებისმიერი სხვა მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალება ძრავის გარეშე, ველოსიპედის ან კიდულძრავიანი ველოსიპედის წამყვანი პირი, ასევე ინვალიდები, რომლებსაც ინვალიდის ეტლი მოძრაობაში მოჰყავთ თვითონ ან გადადგილდებიან ქვეითის სიჩქარით.

17. „გაჩერება” - სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წინასწარგანზრახული შეწყვეტა 5წთ-მდე ან უფრო მეტი დროით, თუ ეს აუცილებლობა გამოწვეულია მგზავრების ჩასხდომა – გადმოსხდომით, ან ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვით.

18. „იძულებითი გაჩერება” – სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეწყვეტა ტექნიკური გაუმართაობის, მძღოლის ან მგზავრის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან გზაზე მოულოდნელად წარმოშობილი საშიშროების გამო.

19. „დგომა” – სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წინასწარგანსაზღვრული შეწყვეტა 5წთ-ზე მეტი ხნით, თუ ეს არ არის დაკავშირებული მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომასთან, ან ტვირთის დატვირთვა – გადმოტვირთვასთან.

20. „დღეღამის ბნელი დრო” – დროის შუალედი დაბინდებიდან გარიჟრაჟამდე.

21. „ნებადართული მაქსიმალური მასა” – ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილი მაქსიმალურად დასაშვები, ტვირთით, მძღოლით ან მგზავრებით, დატვირთვით. სატრანსპორტო საშუალების მასა. მასში შედის: საწვავის, გამაგრილებელი სითხის, საცხებ-საპოხი მასალების, მძღოლის სამუშაო იარაღების, მძღოლისა და მგზავრების მასა. სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობის, ანუ ერთ მთლიანობაში მოძრავი გადაბმული ტრანსპორტის ნებადართული მაქსიმალურ მასად ითვლება შემადგენლობაში შემავალ სატრანსპორტო საშუალებისათვის ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილი, მაქსიმალური დასაშვები მასათა ჯამი.

საქართველოს კანონი ,,საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ'' ძალაშია 1999 წლის 16 ივნისიდან. ეს კანონი არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად.

კანონი განსაზღვრავს საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების ვალდებულებებს, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს გზების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და შეკეთების დროს, სატრანსპორტო საშუალებისა და მისი შემადგენელი ნაწილების, დამატებითი მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილების და შემადგენლობის რეგისტრაციის, მართვის უფლების მიღების, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერების გავლის წესებსა და პირობებს.

მასში გაერთიანებულია საგზაო მოძრაობის წესები, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვა და მისი ცოდნა აუცილებელია ავტომობილისა და მოტოციკლის თითოეული მფლობელისათვის. ამასთან წესების მოთხოვნების განუხრელი შესრულება სავალდებულოა ყველა საგზაო მოძრაობის მონაწილისათვის.

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ
თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტომაგისტრალი – 5.1 ნიშნით აღნიშნული გზა;

ა[1]) ავტოსატრანსპორტო საშუალება – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაცია, რომელიც გამოიყენება გზაზე ტვირთის გადასაზიდად და მგზავრთა გადასაყვანად; (28.04.2006. N2964)

ბ) არასაკმარისი ხილვადობა – გზის ხილვადობა 300 მეტრზე ნაკლებ მანძილზე ნისლის, წვიმის, თოვის დროს და ა. შ.;

გ) გასწრება – დაკავებული ზოლიდან გამოსვლასთან დაკავშირებული მოძრავი სატრანსპორტო საშუალების გასწრება;

დ) გამყოფი ზოლი – გზის ელემენტი, რომელიც ყოფს მომიჯნავე სავალ ნაწილებს და განკუთვნილი არ არის ურელსო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის ან გაჩერებისათვის და ქვეითის მოძრაობისათვის;

ე) გზა – სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის მოწყობილი მიწის ზოლი ან ხელოვნური ნაგებობის ზედაპირი (გზა მოიცავს ერთ ან რამდენიმე სავალ ნაწილს, აგრეთვე ტრამვაის გზას, ტროტუარებს, გვერდულებსა და გამყოფ ზოლებს, მათი არსებობისას);

ვ) გზის დათმობა (დაბრკოლების არშექმნა) – საგზაო მოძრაობის მონაწილე არ იწყებს, არ ანახლებს ან არ განაგრძობს მოძრაობას, არ მიმართავს რაიმე მანევრს, თუკი ეს მასზე უპირატესი მოძრაობის მქონე სხვა მონაწილეს იძულებულს ხდის შეცვალოს მოძრაობის მიმართულება ან სიჩქარე;

ზ) დასახლებული პუნქტი – ტერიტორია საავტომობილო გზის გასწვრივ, სადაც შესასვლელი და გამოსასვლელი აღინიშნება 5.2.2–5.2.5 ნიშნებით;

თ) დგომა – სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის გამიზნულად შეწყვეტა 5 წუთზე მეტი დროით, თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას ან სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა-გადმოტვირთვას;

ი) დღე-ღამის ბნელი დრო – დროის შუალედი დაბინდებიდან გათენებამდე;

კ) ველოსიპედი – ორ- ან მეტთვლიანი სატრანსპორტო საშუალება (ინვალიდის ეტლის გარდა), რომელიც მასზე მჯდომი ადამიანის ფიზიკური ძალით მოძრაობს;

ლ) იძულებით გაჩერება – სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეწყვეტა მისი ტექნიკური გაუმართაობის, გადასატანი ტვირთის, მძღოლის (მგზავრის) მდგომარეობის, ან გზაზე მოულოდნელად შექმნილი წინააღმდეგობით განპირობებული საშიშროების გამო;

მ) მარეგულირებელი – საგზაო პოლიციის, სამხედრო ავტოინსპექციის თანამშრომელი, საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის მუშაკი, რკინიგზის, ბორნის გადასასვლელის მორიგე, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პირადობის მოწმობა და ეკიპირება (ფორმის ტანსაცმელი ან განმასხვავებელი ნიშანი – სამკლაური, კვერთხი, დისკო წითელი სიგნალით ან შუქამრეკლით, წითელი ფარანი ან ალამი);

ნ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალება – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, მოპედის გარდა, აგრეთვე ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა;

ო) მიმდებარე ტერიტორია – ტერიტორია, რომელიც უშუალოდ გზას ეკვრის და არ არის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გამჭოლი მოძრაობისათვის (ეზო, საცხოვრებელი მასივი, ავტოსადგომი, ბენზინგასამართი სადგური, დაწესებულება და სხვა);

პ) მისაბმელი – მოძრაობისათვის განკუთვნილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემადგენელი სატრანსპორტო საშუალება ძრავის გარეშე, აგრეთვე ნახევრადმისაბმელი და მისაბმელ-სახსნელი;

პ[1]) მობილური კომუნიკაციის საშუალება – ნებისმიერი ხელსაწყო, რომლის საშუალებით შესაძლებელია უწყვეტი სატელეფონო საუბრის წარმოება ორ ან ორზე მეტ ფიზიკურ პირს შორის ან/და ტექსტური ინფორმაციის გადაცემა და მიღება; (23.06.2003. N1747)

ჟ) მოპედი – ორ-ან სამთვლიანი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მოძრაობს 50 სმ3-მდე მუშა მოცულობის ძრავით და 40 კმ/სთ-მდე მაქსიმალური კონსტრუქციული სიჩქარით. მოპედთან გათანაბრებულია კიდულძრავიანი ველოსიპედი, მოკიკი და ანალოგიურმახასიათებლიანი სხვა სატრანსპორტო საშუალება;

რ) მოტოციკლი – ორთვლიანი სატრანსპორტო საშუალება გვერდითი მისაბმელით ან მის გარეშე. მოტოციკლთან გათანაბრებულია სამ- ან ოთხთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის მასა აღჭურვილ მდგომარეობაში არ აღემატება 400 კილოგრამს;

ს) მოძრაობის ზოლი – მონიშნული ან მოუნიშნავი სავალი ნაწილის გრძივი ზოლი, რომელსაც აქვს საკმაო სიგანე საავტომობილო ტრანსპორტის ერთრიგად მოძრაობისათვის;

ტ) ორგანიზებული სატრანსპორტო კოლონა – ლურჯი ან ლურჯი და წითელი ფერის მოელვარე შუქურებჩართული მეწინავე სატრანსპორტო საშუალების თანხლებით, მოძრაობის ერთსა და იმავე ზოლზე ერთმანეთის მიყოლებით, მუდმივად ჩართული ფარებით მიმავალი სამი ან მეტი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისაგან შემდგარი ჯგუფი;

უ) რკინიგზის გადასასვლელი – გზისა და რკინიგზის ლიანდაგების ნებისმიერი გადაკვეთა ერთ დონეზე;

ფ) საგზაო მოძრაობა – საავტომობილო გზაზე ადამიანისა და ტვირთის სატრანსპორტო საშუალებით ან მის გარეშე გადაადგილებისას არსებული ურთიერთობები;

ქ) საგზაო მოძრაობის მონაწილე – პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მოძრაობის პროცესში, როგორც მძღოლი, მგზავრი, ქვეითი;

ღ) საგზაო მოძრაობის ორგანიზება – სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს გზებზე მოძრაობის მართვას;

ყ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამომწვევი მიზეზებისა და მათი მძიმე შედეგების თავიდან აცილებისაკენ მიმართული საქმიანობა;

შ) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა – საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა;

ჩ) სავალი ნაწილი – გზის ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ურელსო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის;

ც) სატრანსპორტო საშუალების სრული მასა – ტვირთით, მძღოლითა და მგზავრებით შევსებული, აღჭურვილ მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების მასა, რომლის ზღვარს ადგენს სატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებელი;

ძ) ტროტუარი – გზის ელემენტი, რომელიც მიერთებულია სავალ ნაწილთან ან გამოყოფილია მისგან გაზონით და განკუთვნილია ქვეითის მოძრაობისათვის;

წ) უპირატესობა (პრიორიტეტი) – მძღოლის უპირატესობა ან უფლება მოძრაობის სხვა მონაწილეებთან შედარებით, პირველმა დაიწყოს მოძრაობა დასახული მიმართულებით;

ჭ) ქვეითი – პირი, რომელიც გზაზეა, მაგრამ არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში, ან არ ასრულებს რაიმე საგზაო სამუშაოს (ქვეითად ითვლება აგრეთვე ის პირი, რომელიც მოძრაობს ინვალიდის ეტლით ძრავის გარეშე, ასევე ველოსიპედის, მოპედის, მოტოციკლის, საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის), ურიკის, საბავშვო ან ინვალიდის ეტლის წამყვანი);

ხ) ქვეითად გადასასვლელი – სავალი ნაწილის მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია ქვეითის გზაზე გადასასვლელად და აღნიშნულია 5.16.1, 5.16.2 ნიშნებით ან/და 1.14.1–1.14.3 მონიშვნებით. (თუ მონიშვნები არ არის, ქვეითად გადასასვლელის სიგანე განისაზღვრება 5.16.1 და 5.16.2 ნიშნებს შორის მანძილით).

ჯ) საწევარი – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია ექსპლუატაციისათვის ნახევარმისაბმელთან ერთად; (23.06.2006. N3395)

ჰ) ავტომატარებელი – სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება მისაბმელთან ერთად; (23.06.2006. N3395)

ჰ[1]) ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) (შემდგომში – გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება) – ტექნიკური ოპერაციებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც დაწესებული პერიოდულობით დგინდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ძირითადი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული (გამონაბოლქვში) მავნე ნივთიერებების შემადგენლობა; (29.12.2006. N4221)

ჰ[2]) შესახსრებული ავტობუსი – ავტობუსი, რომელიც შედგება სექციებისაგან. ასეთი ავტობუსის სექციებში შესაძლებელი უნდა იყოს მგზავრთა შეუზღუდავი გადაადგილება. ამ სექციების შეერთება და განცალკევება შესაძლებელია მხოლოდ საწარმოში დამამზადებლის მიერ. (23.06.2006. N3395)

ჰ[3]) კონტეინერი – 1972 წლის „კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენციით“ გათვალისწინებული განმარტება; (25.12.2009 N 2474)

ჰ[4]) ავტომზიდი – სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია ავტომობილებისა და თვლიანი მსუბუქი ტრაქტორების გადასაზიდად. (25.12.2009 N 2474)

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

თემა # 3
სახელმწიფოს პოლიტიკა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები

თავი II
სახელმწიფო პოლიტიკა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში

მუხლი 3.საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებებია:

- საავტომობილო, მიწისზედა საქალაქო ელექტროტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის საქმიანობის რეგულირება;
- საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებათა მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა;
- პირის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებისა და მოთხოვნების შესწავლის ორგანიზება;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება;

- სატრანსპორტო საშუალების, მასთან დაკავშირებული პროდუქციისა და საგზაო მეურნეობის საქმიანობის სერტიფიცირება „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული წესების, სტანდარტების, ტექნიკური ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება და დადგენილი წესით დამტკიცება, აგრეთვე მათ შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი.

კანონის მე-3 მუხლში ჩამოყალიბებულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებები. სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის რეგულირება გულისხმობს, რომ ისე განისაზღვროს მათი მოძრაობის პირობები, რომ ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს. ვთქვათ არ იყოს ყველა სახის სამგზავრო საშუალებების მარშრუტები თავმოყრილი დასახლებული პუნქტის რამდენიმე უბანში, რათა არ მოხდეს საავტომობილო გზების გადატვირთვა. ანდა იმ ტერიტორიებზე სადაც საავტომობილო გზების გამტარიანობა დაბალია, სამაგიეროდ მაღალია საავტომობილო მოძრაობის ინტენსივობა. მაქსიმალურად განტვირთოს იგი ტრანსპორტის სხვა საშუალების გამოყენებით თუკი ეს შესაძლებელია, ვთქვათ მეტროს გამოყენებით. ბევრ ქვეყანაში ამ მიზნით აქტიურად გამოიყენება ტრამვაი, დაწესდეს საგზაო მოძრაობის სპეციალური რეჟიმი. ამის მაგალითად გამოდგება ქ. თბილისში სახელწიფო უნივერსიტეტის, ფილარმონიისა და გმირთამოედნის წარმოსახვით სამკუთხედში სატრანსპორტო საშუალებების ერთი მიმართულებით მოძრაობის დაწესება. ზოგიერთ ქალაქებში შეიძლება გამოყენებული იყოს პარალელური მოძრაობების სქემები, ან რევერსული მოძრაობა.

საგზაო მოძრაობის ორგანიზებაში იგულისხმება საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების ეფექტურად შერჩევა და გამოყენება (შუქნიშნები, საგზაო ნიშნები და მონიშვნები). ყველა ამ ღონისძიებას რა თქმა უნდა ესაჭიროება დაფინანსება. მოძრაობის ორგანიზაციის, და ზედამხედველობის თანამედროვე ტექნიკური საშუალებები ძვირადღირებულ საშუალებებს განეკუთვნებიან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ცოდნის ამაღლებას, საგზაო მოძრაობის წესების ცოდნას. ამ მიმართულებით შესაძლებელია სასწავლო პროგრამების განხორციელება.

აღნიშნული საკითხის მოწესრიგების აუცილებელი პირობაა სწორი და ეფექტური სამართლებრივი ბერკეტების შემუშავება, რაც უნდა ეფუძნებოდეს, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში არსებული სტატისტიკური მონაცემების სრულფასოვან ანალიზს.

მუხლი 4. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაა:

- საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამ კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე სტანდარტების, ტექნიკური ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების ერთიანი სისტემის შექმნა;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროს საქმიანობაზე კონტროლი;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების განხორციელება.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს.

საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზები იმ ადგილობრივი თვითმმართველობის განკარგვის სფეროს განეკუთნებიან რომელთა ადმინისტრაციულ სასღვრებშიც არიან მოქვეული. სწორედ ეს ორგანოები არიან უფლებამოსილები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ სხვა ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებით, შეიმუშაონ საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ინდივიდუალური პირობები.

მუხლი 5.საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სახელმწიფოებრივი აღრიცხვის ორგანიზება

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სახელმწიფოებრივი აღრიცხვა. ესენია:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა და მათში დაშავებულ პირთა;
- სატრანსპორტო საშუალებათა და მძღოლთა რაოდენობა;
- საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთა;
- საგზაო მოძრაობისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი;

აგრეთვე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობისა და მისი უზრუნველყოფის საქმიანობის ამსახველი სხვა მაჩვენებლები.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოებრივი აღრიცხვის პოლიტიკა და მისი რეალიზება ეყრდნობა სახელმწიფოებრივი აღრიცხვის სისტემას.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოებრივი აღრიცხვის წარმოების, სააღრიცხვო ცნობებით სარგებლობისა და საანგარიშო მონაცემების შექმნის წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

კანონით განსაზღვრული ამოცანების სრულფასოვნად და ეფექტურად შესრულებისათვის აუცილებელია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობის სტატისტიკური კვლევა და მისი ანალიზის საფუძველზე ეფექტური სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება. ამ მიმართულებით შექმნილია სხვადასხვა სამთავრობო საუწყებათაშორისო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროთი დაინტერესებულ ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტთან.

თავი III
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამები

მუხლი 6. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამები

- სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში იქმნება სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობისა და მათგან გამოწვეული ზიანის შემცირებას.

- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პარლამენტი.

- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტიდან.

თავი IV
საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები

მუხლი 7. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები გზის დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის დროს

- საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გზის დაპროექტება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რემონტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- აშენებული, რეკონსტრუირებული და გარემონტებული გზის საექსპლუატაციოდ მიღება წარმოებს სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- გზის მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის ხარისხზე პასუხისმგებელია დამკვეთი.

- აშენებული, რეკონსტრუირებული და გარემონტებული გზის საექსპლუატაციოდ მიღების შემდეგ მის ტექნიკურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელია ამ გზის მესაკუთრე.

მუხლი 8. გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეზღუდვა ან შეწყვეტა

გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეზღუდვა ან დროებით შეწყვეტა ხორციელდება:

- საავტომობილო გზის გაუმართაობისას ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით
- აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში;
- ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით;
- აუცილებლობის შემთხვევაში, გადაუდებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების და გადაუდებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების დროს, სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია მოთხოვნისას საპატრულო პოლიციელს შემოწმებისათვის წარუდგინოს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ზოგჯერ საჭირო ხდება საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე მოძრაობის შეზღუდვა. კანონში პირდაპირ არის გაწერილი ამ შეზღუდვის უფლებამოსილი ორგანოები და მისი გამოყენების საფუძვლები.

მუხლი 9. სატრანსპორტო საშუალების, მისი შემადგენელი ნაწილების, დამატებითი მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილებისა და შემადგენლობების რეგისტრაცია:

- საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას:

- აღნიშნულ რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო:

- ახლად დამზადებული თვითნაკეთი ან შეცვლილი შეთანწყობით, ან სხვა აგრეგატებითა და კვანძებით აწყობილი, დამატებითი მოწყობილობებით ახლად აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია მისი მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურე-ბელი დოკუმენტების გარეშე აკრძალულია.

მუხლი 10. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს

- საგზაო მოძრაობაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა უნდა უზრუნველყოფდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას.
- საგზაო მოძრაობაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გაუმართაობაზე პასუხისმგებელია სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან ის პირი, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას.

აღნიშნულ მუხლში საუბარია უსაფრთხოების სტანდარტებზე, რომელიც დგინდება კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ მათ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ, საჭის მექანიზმის გამართულობა, საქარე მინის საწმენდი მოწყობილობის გამართულობა წვიმიან ამინდში, გაბარიტული სანათი მოწყობილობების გამართულობა დღე-ღამის ბნელ დროს, სამუხრუჭე სისტემის გამართულობა და სხვა. აღნიშნული მოთხოვნების დაუცველობაზე საქართველოს კანონმდებლობა ვალდებულებას აკისრებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის განმახორციელებელ პირს.

მუხლი 11. გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება (29.12.2006. N4221)

საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირებას აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულ ტესტირების (საგამოცდო) ცენტრებში (შემდგომში – ტესტირების ცენტრი).

გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ ტესტირების ცენტრში, ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ადგილის ან პირის იურიდიული მისამართის მიუხედავად.

ტესტირების ცენტრის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს განსაზღვრავს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები (რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება), ტესტირების ფირნიშების ფორმა და დამზადების წესი, აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების პერიოდულობა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ნორმატიული აქტით.

გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიშების დამზადებასა და ტესტირების ცენტრისათვის გადაცემას უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო ტესტირების ცენტრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს ფირნიშების რაოდენობა და უნდა დაერთოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელ ფირნიშს გასცემს ტესტირების ცენტრი.

საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებულ და დადგენილი წესით რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება არ ჩაუტარდება, თუ მის მფლობელს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით შეფარდებული ჰქონდა ჯარიმა და იგი არ გადაუხდია დადგენილი წესით.

ტესტირების ცენტრისთვის ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია.

ტესტირების ცენტრი ვალდებულია ყოველი თვის 10 რიცხვამდე მიაწოდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას წინა თვის განმავლობაში ტესტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით.

მუხლი 12. ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის აკრძალვა (28.04.2006. N2964)

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით აკრძალულია:

- ტექნიკურად გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მინების დამუქება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობის გარეშე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მინების დამუქების წესს და იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ნუსხას, რომლებიც არ საჭიროებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობას, ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების განსახორციელებლად და მის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2010 წლის 29 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება №917 „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მინების დამუქების წესებისა და იმ სატრანსპორტო საშუალებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც არ საჭიროებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობას. ბრძანების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოს მიერ სატრანსპორტო საშუალებებზე დამუქებული მინების გამოყენების თანხმობა გაიცემა სპეციალურ სამსახურებზე და იმ თანამდებობის პირებზე, რომელთა დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო (აქ დაკონკრეტებული არ არის სამსახურებრივი ავტომანქანა, თუ პირად საკუთრებაში არსებული. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ბრძანება გულისხმობს სამსახურებრივ ავტომანქანებს).

მუხლი 13. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმის ვალდებულებანი

იურიდიული პირი და ინდივიდუალური მეწარმე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას, ვალდებულნი არიან:

- დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მძღოლის შრომისა და დასვენების რეჟიმი;
- ჯანდაცვის ორგანოების მუშაკებთან ერთად უზრუნველყონ მძღოლის წინასარეისო სამედიცინო შემოწმება (გარდა რეგულარული გადაყვანისა და ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შემთხვევებისა), აგრეთვე განახორციელონ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისას დაშავებულისათვის მძღოლის მიერ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ჩვევების შესწავლის ღონისძიებები;
- უზრუნველყონ სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობის შესაბამისობა საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნებთან, არ დაუშვან გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ დაშვება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად იურიდიული პირის კუთვნილი იმ სატრანსპორტო საშუალების ხაზზე სამუშაოდ დაშვება, რომელიც ექვემდებარება გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირებაზე გატარებას ამ ღონისძიების გარეშე იწვევს ამავე იურიდიული პირის იმ თანამდებობის პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რომელსაც ევალება აღნიშნულ საკითხებზე ზედამხედველობა.

მუხლი 14. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები

- საქართველოს გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა დადგენილია მარჯვენა მხარეს.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული საქმიანობა ხორციელდება იმ ტექნიკური საშუალებების კომპლექსურად გამოყენების საფუძველზე, რომლებიც რეგლამენტირებულია მოქმედი სახელმწიფო სტანდარტებით და გათვალისწინებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების პროექტებითა და სქემებით.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზებაში ცვლილებების შეტანა გზის გამტარუნარიანობის გადიდების ან სხვა მიზნით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შემცირების ხარჯზე, დაუშვებელია.

მუხლი 15. საგზაო მოძრაობის მონაწილის ზოგადი უფლებები და მოვალეობები

საქართველოს გზებზე პირის უსაფრთხო პირობებში მოძრაობის უფლება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და უზრუნველყოფილია ამ კანონით.

საგზაო მოძრაობის მონაწილის მიერ თავისი უფლებების რეალიზება არ უნდა ზღუდავდეს ან არღვევდეს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილის უფლებებს.

საგზაო მოძრაობის მონაწილეს უფლება აქვს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან და საჯარო მოსამსახურეებისაგან მიიღოს:

- ინფორმაცია მოძრაობის უსაფრთხოების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია ამ კანონის მე-8 მუხლში მითითებულ გზაზე მოძრაობის შეზღუდვის ან შეწყვეტის დაწესების მიზეზთა შესახებ;
- ინფორმაცია პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან;
- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს პირველადი სამედიცინო, მაშველი და სხვა სახის დახმარება.

საგზაო მოძრაობის მონაწილე ამ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად თავისუფლად და შეუფერხებლად გადაადგილდება გზაზე.

საგზაო მოძრაობის მონაწილეს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში უფლებამოსილი თანამდებობის პირის ქმედება.

მუხლი 16. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მიღების წესი და პირობები

საქართველოში სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გაცემის წესი დადგენილია შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 10 აგვისტოს №1098 ბრძანებით „მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისა და მძღოლის მოწმობების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 17. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისათვის აუცილებელი მოთხოვნები

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისათვის სავალდებულოა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ასაკს მიღწეული პირი, რომელმაც გაიარა სათანადო მომზადება მძღოლების მოსამზადებელ დაწესებულებაში.

„A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე შეიძლება დაიშვას დამოუკიდებლად მომზადებული 18 წლის ასაკს მიღწეული პირი.

მუხლი 17[1]. 17 წლის ასაკს მიღწეული პირისათვის მართვის უფლების მინიჭების პირობები და შეწყვეტის (გაუქმების) საფუძვლები

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე შეიძლება დაიშვას 17 წლის ასაკს მიღწეული პირი. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში 17 წლის მძღოლს ენიჭება „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვებით) და გაიცემა მართვის უფლების დამადასტურებელი მართვის მოწმობა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.
2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე 17 წლის ასაკს მიღწეული პირის დაშვებისათვის სავალდებულოა ერთ-ერთი მშობლის ან მზრუნველის წერილობითი თანხმობა.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით მინიჭებული „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება წყდება (უქმდება):

ა) პირის 18 წლის შესრულების დღიდან 30-ე კალენდარული დღის 24 საათზე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში პირის მიერ „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების უვადოდ (შეზღუდვის გარეშე) მინიჭების მოთხოვნის შემთხვევაში;
გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოებების დადგომამდე პირისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მართვის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, ჩამორთმევის ვადის გასვლისთანავე;
დ) ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი საფუძვლით მართვის უფლების შეწყვეტისას (გაუქმებისას).
4. პირს, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება, ეკრძალება:
ა) მგზავრთა გადაყვანა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებით, ტაქსით ან/და შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით;
ბ) შრომითი ურთიერთობების საფუძველზე მძღოლად მუშაობა.
5. პირის მიერ, რომელსაც 17 წლის ასაკში მიენიჭა მართვის უფლება, „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე (თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდებზე) მიღებული დადებითი შეფასება იურიდიულ ძალას კარგავს:
ა) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“
ქვეპუნქტით განსაზღვრული მართვის უფლების შეწყვეტის (გაუქმების) საფუძვლის წარმოშობისთანავე;
ბ) დაუყოვნებლივ, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“
ქვეპუნქტით განსაზღვრული მართვის უფლების შეწყვეტიდან (გაუქმებიდან), მაგრამ არა უგვიანეს მართვის უფლების უვადოდ (შეზღუდვის გარეშე) მინიჭებისა:
ბ.ა) პირს დაედო ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე, 117-ე ან 123-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევისათვის;
ბ.ბ) პირს მართვის უფლება ჩამოერთვა „
ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.
6. პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლება, 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება მიენიჭება 17 წლის ასაკში წარმატებით ჩაბარებული მართვის უფლების მისაღები გამოცდის საფუძველზე, თუ მოთხოვნის მომენტისათვის არ არსებობს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გარემოება.
7. პირი, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოერთვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“
საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მართვის უფლების უვადოდ (შეზღუდვის გარეშე) მისაღებ გამოცდაზე დაიშვება 18 წლის ასაკის მიღწევისა და მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ.
8. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.
9. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობას, ტრაქტორისტის მართვის მოწმობასა და საერთაშორისო მართვის მოწმობას.
10. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭების, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, აგრეთვე მართვის მოწმობის, ტრაქტორისტის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის, აღდგენისა და გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.
11. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობის შემთხვევაში პირი ითვლება მართვის უფლების არმქონედ.

მუხლი 18. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობა

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება დასტურდება მოწმობით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს.

მუხლი 19. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შეჩერებისა და შეწყვეტის (გაუქმების) საფუძვლები

1. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შეჩერების საფუძველია:

ა) სამედიცინო დასკვნა მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვას;

ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

გ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შეწყვეტის (გაუქმების) საფუძველია:

ა) უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ არსებობს მართვის უფლების შეწყვეტის (გაუქმების) საფუძველი;

ბ) ამ კანონის 171 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობა;

გ) პირის გარდაცვალება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას პირს ეკრძალება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა მართვის უფლების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრამდე და მართვის უფლების აღდგენამდე. შეჩერებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

ეს საინტერესოა!

საავტომობილო წარმოების განვითარების და საერთოდ მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების და მათი მძიმე შედეგების თავიდან აცილების პრობლემა, სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება ცივილიზებული საზოგადოებისათვის. პირველი ავტოავარია, რომლის შედეგადაც დაიღუპა ადამიანი 1896 წელს დაფიქსირდა. მას შემდეგ საუკუნეზე მეტმა ხანმა განვლო, ავტოავარიებში დაღუპულთა რიცხვმა კი კატასტროფულად იმატა. არაოფიციალური ინფორმაციით 2000 წელს ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მსოფლიოში დაიღუპა 500 000 ადამიანი, ხოლო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 15 000 000 ადამიანმა, რომელთაგან 30% ხეიბარი დარჩა. სტატისტიკა მეტად აღმაშფოთებელია, რადგან ავტოავარიების შედეგად დაღუპულთა და დაზიანებულთა რიცხვი, რამდენჯერმე აღემატება თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე საბრძოლო კონფლიქტებში დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვს. გამომდინარე აქედან, მსოფლიო მოწინავე სახელმწიფოებში არსებულ, საგზაო მეურნეობის მოწესრიგების ხაზით დაკავებული, სამეცნიერო ორგანიზაციებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში არსებული პრობლემების შესწავლას და მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელებას.

ავტომობილებში უსაფრთხოების რემნების, ხოლო მოტოტრანსპორტზე ჩაფხუტის ხმარება, აგრეთვე ავტომანქანით მგზავრობის მომენტში მობილური ტელეფონით საუბრის აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტელეფონით სარგებლობა ხორციელდება ავტომობილში დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობით, ავტომობილის საჭიდან ხელების ხანგრძლივი მოშორების გარეშე, არა მოწინავე ქვეყნებშიც კი კარგა ხნის მოგვარებულია. ეს პირველ რიგში მაღალკვალიფიციური პროპაგანდის შედეგია. საგზაო მოძრაობის წესებს სწავლების პროგრამა საბავშვო ბაღიდან იწყება და საკმაო ფუნდამენტურად შეისწავლება სკოლის პერიოდში.

საინტერესოა მსოფლიოს ზოგიერთ დიდ ქალაქში განხორციელებული, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის მეთოდების გაცნობა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ კაირო სადაც _ მოძრაობის ორგანიზაციის პრობლემის მოგვარების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაიწყო და ქალაქი ტოკიო _ რომელიც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში.

ქალაქი კაირო, 8 მილიონი მოსახლეობით, მისი შემოგარენში (სოფლებში) მცხოვრები მოსახლეობის ჩათვლით, საერთო რაოდენობა 18 მილიონს აღწევს. და მასში მოძრავი 2 მილიონი ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებით. ქალაქის ქუჩები კი მხოლოდ 750 ათას ავტომობილზეა გათვალისწინებული. ქვეყნის ხელისუფლებამ პირველ რიგში მოახერხა ის, რომ გასართობი ცენტრები გაიტანა ქალაქგარეთ. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ქალაქის გარეუბნის აშენება სადაც განთავსდება ქვეყნის სამთავრობო დაწესებულებათა ცენტრალური ადმინისტრაციული შენობები. ამის შედეგად თავიდან აიცილებენ დაახლოვებით 1 მილიონი ადამიანის ყოველდღიურად დედაქალაქში შესვლას. სერიოზულ პრობლემებს ქმნის ავტოტრანსპორტის დგომისა და გაჩერების საკითხი, აუარებელი ავტომანქანა

პირდაპირ გზის სავალ ნაწილზე ჩერდება. საკითხის მოგვარების მიზნით, ქალაქში მიმდინარე ახალშენებისათვის სავალდებულო მოთხოვნადაა დაკანონებული, რომ შენობა-ნაგებობების პირველი სართული გამოყენებულ იქნას ავტოსადგომებისათვის, გარდა ამისა განსაკუთრებული ხელშეწყობით მიმდინარეობს სპეციალური ავტოსადგომების მოწყობა. ფართოდ არის დანერგილი პრაქტიკაში ერთმანეთის პარალელულ ქუჩებში მხოლოდ ცალმხრივი მიმართულებით მოძრაობა. ყველაზე ეფექტური კი დედაქალაქში გვირაბებისა და ესტაკადების მშენებლობის ტენდენციაა, "5 ოქტომბრის" სახელობის ესტაკადის სიგრძე 48 კილომეტრია.

530 კვადრატულ კილომეტრზე გაშენებულ ქალაქი თითქმის შემოფარგლულია 110 კილომეტრის სიგრძის წრიული ა/მაგისტრალით, რომელთანაც არტერიული გზებით დაკავშირებულია ქალაქის ქუჩები. არტერიულ გზებთან მეორეხარისხოვანი გზების მიერთება ხორციელდება მხოლოდ ესტაკადების საშუალებით. ქალაქის მაღლივ შენობებზე დამონტაჟებულია 180 გრადუსით მობრუნებისა და 500-ჯერ გადიდების უნარის მქონე ვიდეო კამერები. მათ მიერ აღბეჭდილ სურათს 24 საათიანი რეჟიმით აკვირდებიან დედაქალაქის საგზაო პოლიციის შტაბში. მონიტორებზე დაფიქსირებულ ნებისმიერ პრობლემის შემთხვევაში, ოპერატორი შემთხვევის ადგილზე აგზავნის პატრულს.

რაც შეეხება საქალაქთაშორისო საავტომობილო გზებს ისინი მაქსიმალურად არიან აღჭურვილნი ელექტრო რადარებით, რომლებიც სიჩქარის გადაჭარბების ნებისმიერ ფაქტზე ცენტრალურ ოფისში გადასცემენ ელექტრო სიგნალს სადაც დარღვევა იბეჭდება ფოტოსურათის სახით. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება, მათი მიზეზით გამოწვეული შედეგების სირთულის შესაბამისად, არის საკმაოდ მკაცრი, მინიმალური ფულადი ჯარიმიდან თავისუფლების 3 წლით ვადით აღკვეთამდე.

გაცილებით საინტერესო და მაღალტექნოლოგიურია მოძრაობის ორგანიზაციის სფერო ქალაქ ტოკიოში. ცენტრალური მართვის შტაბში განთავსებულია ერთი 16X4 მეტრზე და სამი 4X4 მეტრზე ეკრანი, რომლებზეც ადამიანის ჩაურევლად კომპიუტერი აჩვენებს საგზაო მოძრაობის მდგომარეობას. ქალაქში არის კიდევ 36 მიკრო შტაბი, ისინიც დაკავშირებულნი არიან ცენტრალურ შტაბთან. ავარიის შემთხვევიდან 3 წუთში ცენტრალური შტაბი შემთხვევის ადგილზე აგზავნის საპატრულო ავტომანქანას, მისი გადაადგილება მოჩანს ზემოაღნიშნულ ეკრანძე. გზებზე უხვადაა დამონტაჟებული კამერები 360 გრადუსის მობრუნების შესაძლებლობით. მათი საშუალებით შესაძლებელია საავტომობილო გზების ნებისმიერი უბნის ცენტრალურ შტაბში განთავსებულ მონიტორებზე ჩვენება. საავტომობილო გზებზე აგრეთვე დამონტაჟებულია ელექტრო რადარები და ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ მიმართული ინფრაწითელი ინდიკატორები, რომლებიც სხივის წყვეტის ხანგრძლივობით აფიქსირებს საცობს და შეგუბების განსატვირთავად ავტომატურად გადართავს შუქნიშანს. ინვალიდებისათვის არსებობს სპეციალური საშვები, რომელთა მეშვეობითაც აგრეთვე შესაძლებელია შუქნიშნების მართვა.

ესტაკადების მოწყობის საკითხი ქალაქ ტოკიოში მსოფლიოში ყველაზე მაღალ დონეზეა განხორციელებული. მიწის დონეზე განთავსებულ გზებზე მოძრაობა უფასოა და სიჩქარე შეზღუდულია. მეორე დონეზე, რომელიც ამავდროულად პირველი დონის ესტაკადია მოძრაობა დაშვებულია 100 კმ/სთ-ით. საავტომობილო გზების მესამე დონე, ანუ მეორე დონის ესტაკადზე მოძრაობა ფასიანია, ხოლო სიჩქარე შეუზღუდავი.

მოძრაობის წესების ნებისმიერ დარღვევას აფიქსირებს კომპიუტერი, რომელიც შემდგომ ახდენს სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციას. მონიტორზე გამოაქვს ინფორმაცია მის მიერ ადრე ჩადენილი დარღვევების შესახებ. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ იგზავნება დამნაშავის დასაკავებლად საგზაო პატრული სახანძრო და სამედიცინო დახმარების ავტომანქანებთან ერთად. შუქნიშანთან მიახლოვებისას, ოპერატიულ მანქანებში მოთავსებული კომპიუტერების საშუალებით, ავტომატურად ხდება შუქნიშნის მწვანე განათების ჩართვა.

ქუჩებში აგრეთვე მრავლად არის ელექტრონული საინფორმაციო დაფები, რომლებზეც გამოტანილია ინფორმაცია საგზაო პირობებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ და შემოთავაზებულია ალტერნატიული გზები. ასეთი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საკუთარ ავტომანქანებში დამონტაჟებული კომპიუტერების მონიტორებზეც.

ტოკიო გამოირჩევა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობის მაღალი დონით. მათთვის საავტომობილო გზებზე გამოყოფილია სპეციალური, პრივილეგირებული ზოლები. მასზე მოძრაობა შეუძლია პოლიციის, სახანძრო და სამედიცინო ა/მანქანებსაც. ქალაქში არის მეტროს 7 ვერტიკალურად სხვადასხვა დონეზე განთავსებული 17 ხაზი.

ქალაქში ცხოვრობს 13 მილიონზე მეტი ადამიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეგაპოლისის ცენტრია, რომელშიც საერთო ჯამში ცხოვრობს 35 მილიონი ადამიანი. ამ ფაქტის გამო ტოკიოში

დღის განმავლობაში დამატებით შედის 3.5 მილიონი ადამიანი. ტოკიოს ქუჩებში სისტემატურად მოძრაობს რამდენიმე მილიონი სატრანსპორტო საშუალება, მაგრამ ქუჩებში არ იგრძნობა გადატვირთვა. იდეალურად მოწესრიგებული მოძრაობის ორგანიზაციის მეშვეობით მოხერხდა ის, რომ 2000 წელს ტოკიოში ავტოავარიების შედეგად არაოფიციალური ინფორმაციით დაიღუპა მხოლოდ 123 ადამიანი.

თემა # 4
საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება

საგზაო ნიშნები მოძრაობის უსაფრთხოების მოწესრიგებისა და უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებად ითვლება.

- ისინი აფრთხილებენ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სხვადასხვა სახიფათო უბნებთან მიახლოების თაობაზე;
- აწესრიგებენ გზაჯვარედინის, სავალი ნაწილების გადაკვეთისა და გზის ვიწრო უბნის გავლის თანმიმდევრობას;
- ზღუდავენ ან კრძალავენ ქუჩებისა და გზების ცალკეულ უბნებზე ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას;
- ნებას რთავენ იმოძრაონ გარკვეული მიმართულებით;
- აზუსტებენ ძირითადი ნიშნების მოძრაობის ზონას, დროს, მანძილს ობიექტამდე ან ზღუდავენ მათ მოქმედებას.

საგზაო ნიშნები ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებისა და 10807-78 სტანდარტის მიხედვით იყოფა 7 ჯგუფად. ესენია:

1. **გამაფრთხილებელი;**
2. **პრიორიტეტის;**
3. **ამკრძალავი;**
4. **მიმთითებელი;**
5. **საინფორმაციო-მაჩვენებელი;**
6. **სერვისის;**
7. **დამატებითი იფორმაციის ნიშნები.**

1.გამაფრთხილებელი - გამაფრთხილებელი ნიშნები მოძრაობის მონაწილეებს (მძღოლებს ან ფეხით მოსიარულეებს) აუწყებენ გზაზე არსებული კონკრეტული საშიშრობის შესახებ, რომელზედაც მოძრაობა გარკვეული ზომების მიღებას მოითხოვს.

გამაფრთილებელ საგზაო ნიშანს საქართველოში ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმა აქვს, თეთრი ფერის არის და გარშემო წითელი არშია აქვს შემოვლებული. სამკუთხედის ერთო წვერი ყოველთვის ზემოთ არის მიმართული.

2.პრიორიტეტის - პრიორიტეტის ნიშნები ადგენენ გზაჯვარედინის, სავალი ნაწილების გადაკვეთის ან გზის ვიწრო მონაკვეთის გავლის რიგითობას.

პრიორიტეტის ნიშნები სახვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს (წრის, ოთხკუთხედის,სამკუთხედის, რომბის ან რვაკუთხედის). ნიშნების აღქმა შესაძლებელი არის ორივე მხრიდან.

3.ამკრძალავი - ამკრძალავი ნიშნების მიზანია აუწყოს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს ვალდებულებები, შეზღუდვები და სპეციალური აკრძალვები, რომლებიც მათ უნდა დაიცვან. ამკრძალავი ნიშნები ზღუდავენ მოძრაობას ან აუქმებენ ადრე შემოღებულ შეზღუდვებს. ამკრძალავი ნიშნები წრის ფორმისაა, თეთრი ფერის და აქვთ წითელი არშია.

4. მიმთითებელი - მიმთითებელი ნიშნები საგზაო მოძრაობის მონაწილეებს მიუთითებენ იმოძრაონ გარკვეული მიმართულებით, მინიმალური სიჩქარით, მოძრაობის ნებას რთავენ მხოლოდ გარკვეული სახის ტრანსპორტს, აგრეთვე მიუთითებენ გზაზე არსებული დაბრკოლების შემოვლის, ქვეითთა და ველოსიპედისტთა ბილიკებზე მოძრაობის მიმართულებებს.

მიმთითებელი ნიშნები ძირითადად მრგვალი ფორმისაა, ლურჯი შეფერილობის და ზედ თეთრი სიმბოლოებია გამოსახული.

5. საინფორმაციო-მაჩვენებელი - საიფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნები ადგენენ ან აუქმებენ მოძრაობის გარკვეულ რეჟიმებს, აგრეთვე, იძლევიან ინფორმაციას დასახლებული პუნქტებისა და სხვა ობიექტების მდებარეობის შესახებ.

საიფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნები ძირითადად კვადრატული ან სწორკუთხედის ფორმის არის, აქვს ცისფერი ფონი და თეთრი ფერის აღნიშვნები. გარდა ერთეული ნიშნებისა, რომლებიც არის თეთრი, მწვანე ან ყვითელი შეფერილობის შავი აღნიშვნებით

6. სერვისის - სერვისის ნიშნები საგზაო მოძრაობის მონაწილეებს აძლევენ ინფორმაციას გარკვეული ობიექტის მდებარეობის შესახებ.

სერვისის ნიშნები არის სწორკუთხედის ფორმის, ცისფერი ფერის მათზე არის გამოსახული უფრო მცირე ზომის თეთრი სწოკუთხედი შავი ან წითელი ფერის აღნიშვნებით.

7. დამატებითი ინფორმაციის ნიშნები - დამატებითი ინფორმაციის ნიშნები (დაფები) აზუსტებენ ან ზღუდავენ იმ ნიშნების მოქმედებას, რომელთანაც ერთად გამოიყენებიან.

დამატებითი ინფორმაციის ნიშნებს (დაფებს) სწორკუთხედის ფორმა აქვთ. ისინი ძირითადად თეთრი ფერის არის, შავი არშიით ან შავი ფერის, წითელი ან ყვითელი აღნიშვნებით.

ასევე განსაკუთრებულ შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალებების აღნიშვნის მიზნით მათზე მაგრდება საცნობი ნიშნები, რომლებიც საგზაო მოძრაობის წესებში გამოყოფილია ცალკე ჯგუფად.

ყველა ნიშანს მიკუთვნებული აქვს თავისი ნომერი (ინდექსი), რომელიც ორი რიცხვისაგან შედგება. პირველი რიცხვი უჩვენებს ჯგუფს, ხოლო მეორე - ნიშნის რიგით ნომერს ჯგუფის შიგნით.

2.1 მთავარი გზა –
ციფრი 2 მიანიშნებს, რომ ნიშანი მიეკუთვნება მე-2 ჯგუფს პრიორიტეტის ნიშნებს, ხოლო ციფრი ერთი მიანიშნებს, რომ ეს ნიშანი პრიორიტეტეის ნიშნების ჯგუფში რიგით პირველია.

ნიშნის ყოველ ჯგუფს აქვს განსაზღვრული ფორმა და ფერი, რაც მნიშვნელოვან მანძილზე მათი გამოცნობის საშუალებას იძლევა. საგზაო ნიშნები გამოიყენება, როგორც სტაციონალურ(ბოძზე დამაგრებული ხანგრძლივი მოქმედების), ისე დროებით სადგარზე. თუ სტაციონარული და დროებითი საგზაო ნიშნების მოთხოვნები ურთიერთსაპირისპიროა, მძღოლი ხელმძღვანელობს დროებითი ნიშნებით. ასევე თუ სადგარზე გამოსახული დროებითი საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის ხაზების მნიშვნელობა ურთიერთსაპირისპიროა, მძღოლები ხელმძღვანელობენ საგზაო ნიშნებით.

საგზაო მოძრაობის მონაწილე ვალდებულია შეასრულოს საგზაო ნიშნების, მაშუქი საგზაო სიგნალების, მარეგულირებლის და საგზაო მონიშვნების მითითებანი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს მითითებანი საგზაო მოძრაობის სხვა წესების მიმართ ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნად ეჩვენებათ.

საგზაო მოძრაობის მონაწილეს ეკრძალება დაფაროს, დააზიანოს ან თვითნებურად დააყენოს საგზაო ნიშნები, შუქნიშნები და სხვა მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები.

საგზაო მოძრაობის მონაწილენი ასრულებენ შუქნიშნის სიგნალების მოთხოვნებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ეწინააღმდეგება გავლის უპირატესობის განმსაზღვრელი საგზაო ნიშნების მოთხოვნებს, ასევე ასრულებენ მარეგულირებლის სიგნალების და განკარგულებების მოთხოვნებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ეწინააღმდეგება შუქნიშნის სიგნალებს, საგზაო ნიშნებისა, მონიშვნების და საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნებს.

საგზაო ნიშნები იდგმება მოძრაობის მიმართულების შესაბამის მხარეს და მათი მოქმედება ვრცელდება მოძრაობისთვის ღია გზის სავალი ნაწილის მთელ სიგანეზე. ნიშნების მოქმედება შეიძლება შეზღუდული იქნეს ერთი ან რამდენიმე მოძრაობის ზოლით.

1. <u>გამაფრთხილებელი ნიშნები</u>

გამაფრთხილებელი ნიშნები აფრთხილებენ მძღოლებს ქუჩის ან გზის სახიფათო უბნებთან მიახლოვების შესახებ. მძღოლმა გამაფრთხილებელი ნიშნის შემდეგ უნდა გაამახვილოს ყურადღება და შეამციროს მოძრაობის სიჩქარე იმ ზღვრამდე, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს სატრანსპორტო საშუალების სახიფათო უბნის წინ დროული გაჩერება.

გამაფრთხილებელი ნიშნების ფორმაა – წითელარშიანი სამკუთხედი თეთრი ან ყვითელი ფონით.

გამაფრთხილებელი ნიშნები არ აწესებენ შეზღუდვას, მაგრამ მძღოლებს ავალდებულებენ გაამახვილონ ყურადღება და შეარჩიონ შესაბამისი სიჩქარე. აღნიშნული ნიშნები დასახლებულ პუნქტში 50-100 მ მანძილზე იდგმება, დაუსახლებელ პუნქტში კი 150-300 მ მანძილზე.

<u>სულ 43 გამაფრთხილებელი ნიშანია</u>.

გამაფრთხილებელი ნიშნებიდან შემდეგი ექვსი დაუსახლებელ (პუნქტებში გვხვდება ორჯერ სახიფათო უბნამდე. ეს ნიშნებია ნიშანი 1, 1; 1, 2; 1,9; 1, 10; 1, 21; 1, 23; პირველი ნიშანი იდგმება 150-დან 300 მ-მდე, ხოლო მეორე არანაკლებ 50 მეტრის მანძილზე სახიფათო უბნამდე.

განვიხილოთ ცალცალკე.

1.1

1.1 შლაგბაუმიანი რკინიგზის გადასასვლელ

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს შლაგბაუმით აღჭურვილ რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოების შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება ორჯერ, პირველი 150-300 მეტრში, ხოლო მეორე 50 მეტრში რკინიგზის გადასასვლელამდე. თუ რკინიგზის გადასასვლელი მდებარეობს დასახლებულ პუნქტში ნიშანი იდგმება ერთხელ 50-100 მეტრში. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.1 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.



7.1.1 მანძილი ობიექტამდე - მიუთითებს მანძილს საგზაო ნიშნიდან სახიფათო მონაკვეთის დასაწყისამდე, სათანადო შეზღუდვის შემოტანის ადგილამდე ან წინ, მოძრაობის მიმართულებით. არსებულ გარკვეულ ობიექტამდე (ადგილამდე).

1.2 რკინიგზის გადასასვლელი უშლაგბაუმოდ

აფრთხილებს მძღოლს უშლაგბაუმო რკინიგზის გადასასვლელის შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება გადასასვლელამდე ორჯერ: პირველად 150-300 მ. და მეორედ -50 მ.
დასახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება ერთხელ 50-100 მ. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.2 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.2

ყურადღება !!!

ნიშნები 1.1 - რკინიგზის შლაგბაუმიანი გადასასვლელი და 1.2 - რკინიგზის უშლაგბაუმო გადასასვლელი დასახლებული პუნქტების გარეთ აუცილებლად მეორდება და რიგით მეორე ნიშანი იდგმება ობიექტამდე არანაკლებ 50 მ დაშორებით.

1.3.1

1.3.1 ერთ ლიანდაგიანი რკინიგზა

აფრთხილებს რომ რკინიგზის გადასასვლელი არის ერთლიანდაგიანი და მას არ აქვს შლაგბაუმი.იდგმება უშუალოდ რკინიგზის გადასასვლელის წინ.

თუ გადასასვლელს აქვს შუქნიშანი-ნიშანი მაგრდება მასთან ერთად, ხოლო შუქნიშნის არარსებობისას-იდგმება უახლოესი რელსიდან არანაკლებ 20 მ.

1.3.2 მრავალლიანდაგიანი რკინიგზა

აფრთხილებს ორი ან მეტი სალიანდაგო გზით აღჭურვილი უშლაგბაუმო რკინიგზის გადასასვლელის შესახებ.იდგმება 1.3.1 ნიშნის ანალოგიურად.

1.3.2



1.4.1 1.4.2 1.4.3

1.4.1 1.4.2 1.4.3 რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოვება

ნიშნები დამატებით აფრთხილებენ მძღოლს რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოებაზე და იდგმება მხოლოდ დაუსახლებელ პუნქტებში.1.4.1 იდგმება გზის მარჯვნივ 1.1 ან 1.2 ნიშნების ქვეშ 50-100 მ. 1.4.3

ასევეიდგმება მარჯვნივ, ან 1.1 ან 1.2 ნიშნებთან ოღონდ 150-300 მ.-ზე.

ხოლო ნიშანი 1.4.2 დამოუკიდებლად იდგმება ამ ორ ნიშანს შორის.

1.4.4 1.4.5 1.4.6 რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოვება

1.4.4, 1.4.5 და 1.4.6 ნიშნები, 1.4.1,1.4.2,1.4.3 ნიშნების ანალოგიურად დგება მხოლოდ გზის მარცხენა მხარეს ამ უკანასკნელი ნიშნების პარალელურად



1.4.4 1.4.5 1.4.6

1.5

1.5 ტრამვაის ლიანდაგის გადაკვეთა

აფრთხილებს მძღოლს ტრამვაის ხაზის გადაკვეთასთან მიახლოების შესახებ,რადგანაც ვალდებულია გზა დაუთმოს ტრამვაის.

ამდენად ტრამვაის აქვს უპირატესობა გარდა იმ შემთხვევებისა-როდესაც იგი გამოდის დეპოდან ან შედის დეპოში.

დასახლებულ პუნქტში იდგმება 50-100 მ,დაუსახლებელში 150-300 მეტრში ტრამვაის ხაზის გადაკვეთიდან.

1.6 თანაბარმნიშვნელოვანი გზების გადაკვეთა"

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს თანაბარმნიშვნელოვანი გზების გადაკვეთასთან მიახლოების შასახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში არანაკლებ 50 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. ამ ნიშანზე მძღოლმა გზები უნდა ჩათვალოს თანაბარმნიშვნელოვნად, თუნდაც ერთი გზა იყოს მოპირკეთებული მაგარი საფენით, ხოლო მეორე უსაფენო(მიწის).

1.6

1.7

1.7 წრიული მოძრაობით გადაკვეთა

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს იმის შასახებ. რომ უახლოვდება რთულ გზაჯვარედინს, სადაც ორგანიზებულია წრიული მოძრაობა და გზაჯვარედინის წინ დადგმულია 4.3 „წრიული მოძრაობა“ მიმთითებელი ნიშანი. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში გზაჯვარედინამდე.

4.3 წრიული მოძრაობა

ნიშანი ავალდებულებს მძღოლს გზაჯვარედინზე ან მოედანზე იმოძრაოს ნიშანზე ისრებით ნაჩვენები მიმართულებით ერთ-ერთ მოსაზღვრე ქუჩაზე ან გზაზე გასვლამდე.

1.8 შუქნიშნით რეგულირება

1.8

აფრთხილებს გზაჯვარედინთან, ქვეითთა გადასასვლელთან ან გზის იმ მონაკვეთთან მიახლოებაზე, სადაც მოძრაობა რეგულირდება შუქნიშნით. ნიშანი იდგმება მაშინ,როდესაც მხედველობის არე შუქნიშნამდე 100 მ-ზე ნაკლებია, რის შემდეგაც მძღოლი უკვე ემზადება და მისთვის ამკრძალავი სიგნალი არ იქნება მოულოდნელი(ანუ არ მოუწევს მკვეთრი მანევრის შესრულება)

დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე.

1.9

1.9 გასახსნელი ხიდი

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გასახსნელ ხიდთან ან საბორნე გადასასვლელთან მიახლოების შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი მეორდება. მეორე ნიშანი იდგმება სახიფათო უბნის დასწყისამდე არანაკლებ 50 მეტრ მანძილზე.

ყურადღება !!!

ნიშნები 1.9 გასახსნელი ხიდი, 1.10 სანაპიროზე გასასვლელი დასახლებული პუნქტების გარეთ აუცილებლად მეორდება და რიგით მეორე ნიშანი იდგმება ობიექტამდე არანაკლებ 50 მ.

1.10

1.10 სანაპიროზე გასასვლელი

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, იმის შესახებ, რომ გზა გადის სანაპიროზე (მდინარის, ტბის ან ზღვის ნაპირზე) დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი მეორდება. მეორე ნიშანი იდგმება სახიფათო უბნის დასწყისამდე არანაკლებ 50 მეტრ მანძილზე.

1.11.1 სახიფათო მოსახვევი”

1.11.1

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს მარჯვნივ მიმართული სახიფათო ან შეზღუდული ხილვადობის მოსახვევთან მიახლოების შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. შესაძლებელია დაიდგას 3.24 ან 5.18 ნიშნებთან ერთად.

1.11.2

1.11.2 სახიფათო მოსახვევი

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს მარცხვნივ მიმართული სახიფათო ან შეზღუდული ხილვადობის მოსახვევთან მიახლოების შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. შესაძლებელია დაიდგას 3.24 ან 5.18 ნიშნებთან ერთად.

3.24 მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა
კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას სიჩქარით (კმ/სთ), რომელიც აღემატება ნიშანზე აღნიშნულს. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ.

5.18 რეკომენდირებული სიჩქარე
მიუთითებს სიჩქარეს, რომლითაც რეკომენდებულია მოძრაობა გზის მოცემულ მონაკვეთზე.

1.12.1

1.12.1 სახიფათო მოსახვევები

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს პირველი მოსახვევით მარჯვნივ მიმართული სახიფათო ან შეზღუდული ხილვადობის მოსახვევთან მიახლოების შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. 1.12.1 „სახიფათო მოსახვევები“ ნიშანთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნეს 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფა, რომელიც მიუთითებს სახიფათო უბნის სიგრძეს.



7.2.1 „მოქმედების ზონა“

მიუთითებს გამაფრთხილებელი ნიშნებით აღნიშნული გზის სახიფათო მონაკვეთის სიგრძეს ან ამკრძალავი და საინფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნების მოქმედების ზონას.

1.12.2 სახიფათო მოსახვევები

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს პირველი მოსახვევით მარცხნივ მიმართული სახიფათო ან შეზღუდული ხილვადობის მოსახვევთან მიახლოების შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. 1.12.2 „სახიფათო მოსახვევები“ ნიშანთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნეს 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფა, რომელიც მიუთითებს სახიფათო უბნის სიგრძეს.

1.12.2

1.13

1.13 მკვეთრი დაღმართი

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სახიფათო დაღმართის არსებობის შესახებ, რომლის დახრილობა ნაჩვენებია ნიშანზე პროცენტებში. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე.

1.13 „ციცაბო დაღმართი“ ნიშანთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნეს 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფა, რომელიც მიუთითებს სახიფათო უბნის სიგრძეს. საგზაო ნიშნები 1.13 „ციცაბო დაღმართი“ და 1.14 „ციცაბო აღმართი“ შეიძლება დაიდგას უშუალოდ დაღმართის ან აღმართის დასაწყისში, თუ დაღმართი და აღმართი ერთმანეთის მიყოლებითაა.

1.14 მკვეთრი აღმართი

1.14

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სახიფათო აღმართის არსებობის შესახებ, რომლის დახრილობა ნაჩვენებია ნიშანზე პროცენტებში. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. 1.14 „ციცაბო აღმართი“ ნიშანთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნეს 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფა, რომელიც მიუთითებს სახიფათო უბნის სიგრძეს. საგზაო ნიშნები 1.13 „ციცაბო დაღმართი“ და 1.14 „ციცაბო აღმართი“ შეიძლება დაიდგას უშუალოდ დაღმართის ან აღმართის დასაწყისში, თუ დაღმართი და აღმართი ერთმანეთის მიყოლებითაა.

1.15

1.15 მოლიპული გზა

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის მოლიპულ უბანთან მიახლოებაზე, სადაც გაზრდილია მოცურების საშიშროება. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.15 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.16 უსწორმასწორო გზა

1.16

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის უბანთან მიახლოებაზე, რომლის სავალი ნაწილის ზედაპირი უსწორმასწოროა (ტალღოვანი, ღრანტებიანი, ხიდთან უსწორმასწორო შეუღლებებით და ა. შ.).დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.16 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.17

1.17 ქვის ასხლეტა

საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის უბანთან მიახლოებაზე, რომლზედაც მოძრაობისას შესაძლოა სატრანსპორტო საშუალების თვლებიდან ქვის ასხლეტა. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.17 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.18.1 გზის შევიწროება

1.18.1

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის სავალი ნაწილის ან გზის ვაკისის მკვეთრი შევიწროვების შესახებ ორივე მხრიდან. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.18.1 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.18.2

1.18.2 გზის შევიწროება მარჯვნიდან

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის სავალი ნაწილის ან გზის ვაკისის მკვეთრი შევიწროვების შესახებ მარჯვენა მხრიდან. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.18.2 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.18.3 გზის შევიწროება მარცხნიდან

1.18.3

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის სავალი ნაწილის ან გზის ვაკისის მკვეთრი შევიწროვების შესახებ მარცხენა მხრიდან. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.18.3 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.19

1.19 ორმხრივი მოძრაობა

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს ცალმხრივმოძრაობიანი გზის მონაკვეთის დამთავრების და შემხვედრი მოძრაობიანი გზის უბანთან მიახლოების თაობაზე. აქ საჭიროა მნიშვნელოვნად შემცირდეს სიჩქარე და დაიკავოს მარჯვენა მხარე. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.19 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“

დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.20 ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი

1.20

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს 5.16.1 და 5.16.2 საგზაო ნიშნებით ან 1.14.1-1.14.3 საგზაო მონიშვნით აღნიშნული ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლეთან მიახლოების შესახებ, ან გზის სავალ ნაწილზე ქვეითის შესაძლო გამოჩენის შესახებ. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.20 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.21

1.21 ბავშვები

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის მონაკვეთთან მიახლოების შესახებ, რომლის სავალ ნაწილზე შესაძლოა ბავშვების უეცარი გამოჩენა. იდგმება სკოლებთან, საბავშვო დაწესებულებებთან და ა.შ. მძღოლი უნდა იყოს ყურადღებით, შეამციროს სიჩქარე და გზის მონაკვეთი გაიროს განსაკუთრებული ყურადღებით. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი მეორდება. მეორე ნიშანი იდგმება სახიფათო უბნის დაწყებამდე არანაკლებ 50 მეტრ მანძილზე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.21 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

ყურადღება !!!

ნიშნი 1.21 ბავშვები, დასახლებული პუნქტების გარეთ აუცილებლად მეორდება და რიგით მეორე ნიშანი იდგმება ობიექტრამდე არანაკლებ 50 მ მანძილზე.

1.22

1.22 ველოსიპედისტის ბილიკი

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს საველოსიპედო ბილიკთან მიახლოების შესახებ. მძღოლმა უნდა შეამციროს სიჩქარე და იყოს ყურადღებით. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.22 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.23 სარემონტო სამუშაოები

1.23

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის სავალ ნაწილზე სამუშაოების წარმოების შესახებ. აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ღამის საათებში და შეზღუდული მხედველობის პირობებში. უნდა მნიშვნელოვნად შემცირდეს სიჩქარე და უზრუნველყოფილი იქნას გზის საკმარისად განათება. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი მეორდება. მეორე ნიშანი იდგმება სახიფათო უბნის დაწყებამდე არანაკლებ 50 მეტრ მანძილზე. სავალ ნაწილზე ხანმოკლე სამუშაოების ჩატარებისას საგზაო ნიშანი 1.23 „საგზაო სამუშაოები“ შეიძლება დაიდგას სამუშაოს ჩატარების ადგილიდან 10-15 მეტრ მანძილზე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.23 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

ყურადღება !!!

ნიშანი 1.23 საგზაო სამუშაოები დასახლებული პუნქტების გარეთ აუცილებლად მეორდება და რიგით მეორე ნიშანი იდგმება ობიექტამდე არანაკლებ 50 მ დაშორებით.

1.24 პირუტყვის გადარეკვა

1.24

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზაზე შინაური ცხოველების გამოჩენის თაობაზე. მძღოლმა უნდა შეამციროს სიჩქარე და საჭიროების შემთხვევაში გააჩეროს ტრანსპორტი.

დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.24 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.25

1.25 გარეული ცხოველები

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზაზე გარეული ცხოველების გამოჩენის თაობაზე. მძღოლმა უნდა აირჩიოს ისეთი სიჩქარე, რომ საჭიროებისას თავიდან აიცილოს შეჯახება. ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.25 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.26 ქვის ვარდნა

1.26

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის მონაკვეთთან მიახლოების შესახებ, სადაც შესაძლოა ჩამონგრევები, მეწყერი ან ქვის ცვენა. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.26 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.27

1.27 გვერდითი ქარი

აფრთხილებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს გზის უბანთან მიახლოებაზე, სადაც შესაძლებელია ძლიერი გვერდითი ქარი, რაც ხელს შეუშლის ავტომობილის სწორხაზოვან მოძრაობას. მძღოლმა უნდა უზრუნველყოს ავტომობილის დამორჩილება სიჩქარის შეზღუდვითა და საჭის დაკავებით.

დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.27 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.28 დაბლამფრენი თვითმფრინავები

1.28

საგზაო მოძრაობის მონაწილეებს აფრთხილებს, რომ გზასთან ახლოსაა აეროდრომი და შესაძლებელია დაბალ სიმაღლეზე მფრენი თვითმფრინავების ან ვერტმფრენის გამოჩენა, რომლის ხმაურმაც არ უნდა შეაშინოს და დააბნიოს მძღოლი. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.28 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.29

1.29 გვირაბი

საგზაო მოძრაობის მონაწილეებს აფრთხილებს, რომ ვუახლოვდებით გვირაბს, სადაც არ არის ხელოვნური განათება, ანდა გვირაბს, რომლის შესასლელ პორტალში ხილვადობა შეზღუდულია. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.29 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.30 სხვა საშიშროება

1.30

საგზაო მოძრაობის მონაწილეებს აფრთხილებს ისეთი საშიშროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ ჯგუფის სხვა ნიშნებით (მეწყერი, ხრამი,თხრილები და ა.შ.) ამ შემთხვევაში მძღოლმა უნდა იმოძრაოს განსაკუთრებული ყურადღებითა და შემცირებული სიჩქარით და დააკვირდეს გზას.დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე. აუცილებლობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშანი 1.30 შეიძლება დაიდგას სხვა მანძილზეც 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის დაფასთან ერთად.

1.31.1

1.31.1 მოხვევის მიმართულება

ნიშნები 1.31.1 და 1.31.2 დახმარებას უწევენ მძღოლს შეზღუდული მხედველობის პირობებში დროულად განსაზღვრონ გზის მოხვევის მიმართულება (მოძრაობის მიმართულება შეზღუდული ხილვადობის მქონე მცირერადიუსიანი გზის

მომრგვალებაზე; გზის შესაკეთებელი მონაკვეთის შემოვლის მიმართულება).

1.31.2

1.31.2 მოხვევის მიმართულება

ნიშნები 1.31.1 და 1.31.2 დახმარებას უწევენ მძღოლს შეზღუდული მხედველობის პირობებში დროულად განსაზღვრონ გზის მოხვევის მიმართულება (მოძრაობის მიმართულება შეზღუდული ხილვადობის მქონე მცირერადიუსიანი გზის მომრგვალებაზე; გზის შესაკეთებელი მონაკვეთის შემოვლის მიმართულება).

1.31.3

1.31.3 მოხვევის მიმართულება”

იდგმება T-სებური გზაჯვარედინის წინ.(მოძრაობის მიმართულება " T " ნიშნის გზაჯვარედინზე ან გზების განშტოებაზე; გზის შესაკეთებელი მონაკვეთის შემოვლის მიმართულება).

ნიშნები 1.1, 1.2, 1.5–1.30 სახიფათო მონაკვეთის დასაწყისამდე იდგმება დასახლებული პუნქტის გარეთ 150-300 მეტრზე, დასახლებულ პუნქტში კი – 50–100 მეტრ მანძილზე. აუცილებლობისას, ნიშნები იდგმება სხვა მანძილზეც, რომელიც ამ შემთხვევაში მითითებულია 7.1.1 დაფაზე.

ნიშნები 1.13 და 1.14 შეიძლება დაიდგას 7.1.1 დაფის გარეშე, უშუალოდ დაღმართის ან აღმართის დასაწყისში, თუ ისინი ერთმანეთს მიჰყვება.

ნიშანი 1.23 სავალ ნაწილზე ხანმოკლე სამუშაოს ჩატარებისას იდგმება სამუშაოს ჩატარების ადგილიდან 10-15 მეტრ მანძილზე, 7.1.1 დაფის გარეშე.

ნიშნები 1.1, 1.2, 1.10, 1.21 და 1.23 დასახლებული პუნქტის გარეთ მეორდება. მეორე ნიშანი იდგმება სახიფათო მონაკვეთის დასაწყისიდან არანაკლებ 50 მეტრ მანძილზე.

ნიშნები 1.3.1 და 1.3.2 იდგმება უშუალოდ რკინიგზის გადასასვლელის წინ.

ნიშნები 1.31.1, 1.31.2 და 1.31.3 იდგმება უშუალოდ მცირერადიუსიანი გზის მომრგვალებების, შესაკეთებელი მონაკვეთების შემოვლის ადგილების წინ.

საკონტროლო შეკითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. ჩამოთვალეთ საგზაო ნიშნების ძირითადი ფუნქციები.
2. ჩამოთვალეთ საგზაო ნიშნების ძირითადი ჯგუფები.
3. რომელი საგზაო ნიშანი არის სამკუთხედის ფორმის, თეთრი, წითელი არშიით?
4. რომელი საგზაო ნიშანი არის წრის ფორმის, თეთრი, წითელი არშიით?
5. როგორ უნდა მოიქცეს მძღოლი, როდესაც სტაციონარული და დროებითი საგზაო ნიშნების მოთხოვნები ურთიერთსაპირისპიროა?
6. თქვენი აზრით რატომ აქვს საგზაო ნიშნების ჯგუფებს მინიჭებელი კონკრეტული ფერი და ფორმა?
7. რის შესახებ ამცნობენ მგზავრებს გამაფრთხილებელი ნიშნები?
8. რომელი ნიშნები გვხდება დაუსახლებელ ადგილებში ორჯერ?
9. აღნიშნულ ნიშნებს სახიფათო ადგილითან რა მანძილის მოშორებით ვხვდებით პირველად? მეორედ?
10. რომელი ნიშნები იდგმება მხოლოდ დაუსახლებელ პუნქტებში?
11. რა შემთხვევაში არ აქვს ტრავმაის მოძრაძრაობისას უპირატესობა?
12. რის შესახებ აფრთხილებს ნიშანი 1.6. მძღოლს?
13. ნიშნები-1.7; 1.8; 1.9 რა მანძილით არის დაშორებული ა სახიფათო ადგილიდან დასახლებულ პუნქებში; დაუსახლებელში?
14. სახიფათო ადგილამდე რა მანძილის დაშორებით ვხვდებით ნიშნებს: 1.11.1, 1.11.2; 1.12.1;1.12.2-დასახლებულ პუნქტში, დაუსახლებელში?

15. დამატებითი ინფორმაციის დაფასთან 7.2.1 ,,მოძრაობის ზონა” - რომელ გამაფრთხილებელ ნიშნებს ვხვდებით?
16. დამატებითი ინფორმაციის დაფასთან 7.1.1,,მანძილი ობიექტამდე” რომელ გამაფრთხილებელ ნიშნებს ვხვდებით?
17. რომელი გამაფრთხილებელი ნიშანი მეორდება დასახლებული პუნქტების გარეთ?
18. რა მანძილით უნდა იყოს დაშორებული ნიშანი ობიექტიდან?
19. რომელი გამაფრთხილებელი ნიშანი იდგმება აეროდრომთან ახლოს?
20. ნიშნის 1.27. ,,გვერდითი ქარი” შეხვედრისას რა უნდა უზრუნველყოს მძღოლმა?

თემა # 5
საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება

2 . პრიორიტეტის ნიშნები

პრიორიტეტის ნიშნები აწესრიგებენ გზაჯვარედინების, სავალი ნაწილების გადაკვეთისა და გზის ვიწრო უბნების გავლის თანმიმდევრობას. ნიშანი აწესრიგებს მოუწესრიგებელი გზაჯვარედინების გავლის უპირატესობას. პრიორიტეტის ნიშნები გზის დასაწყისში იდგმება ან უშუალოდ გზაჯვარედინის წინ მეორდება. თუ მთავარი გზის მიმართულება იცვლება, მაშინ ნიშნის ქვემოთ დამატებითი ინფორმაციის დაფა იდგმება. <u>სულ 9 პრიორიტეტის ნიშანია.</u> ზოგიერთ პრიორიტეტის ნიშანს დამახასიათებელი განსხვავებული ფორმა აქვს იმ მიზნით, რომ მისი აღქმა მოხდეს საპირისპირო მხრიდანაც.

2.1

2.1 მთავარი გზა

ნიშანი აწესრიგებს არარეგულირებადი გზაჯვარედინების გავლის თანმიმდევრობას და ანიჭებს მძღოლს გავლის უპირატესობას. დგება გზის დასაწყისში და მეორდება უშუალოდ გზაჯვარედინის წინ. თუ იცვლება მთავარი გზის მიმართულება, მაშინ ნიშნის ქვეშ იდგმება 7.13 "მთავარი გზის მიმართულება" დამატებითი ინფორმაციის დაფა, რომელიც მიუთითებს შემდგომში მთავარი გზის მიმართულების გაგრძელებას.

მთავარ გზაზე მძღოლი სარგებლობს უპირატესობით, თუმცა გზა უნდა დაუთმოს სპეციალური ხმოვანი საიგნალით, ლურჯი ან ლურჯი და წითელი ფერის ჩართული შუქურებით აღჭურვილ ტრანსპორს და მის თანმხლებ კოლონას.

2.2 მთავარი გზის დასასრული

ნიშანი მიუთითებს 2.1 ნიშნით აღჭურვილი გზის დასასრულს,სადაც მძღოლს მინიჭებული ჰქონდა გავლის უპირატესობა. ნიშანი იდგმება უშუალოდ მთავარი გზის ბოლოს.



2.2

2.3.1

2.3.1 მეორეხარისხოვანი გზის გადაკვეთა

მიუთითებს, რომ მთავარ გზას ორივე მხრიდან კვეთს მეორეხარისხოვანი გზა, სადაც, მძღოლს ენიჭება არარეგულირებული გზაჯვარედინის გავლის უპირატესობა. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე.

2.3.2 მეორეხარისხოვანი გზის შეერთება მარჯვნიდან”

მიუთითებს, რომ მთავარ გზას მარჯვენიდან უერთდება მეორეხარისხოვანი გზა სადაც, მძღოლს ენიჭება არარეგულირებული გზაჯვარედინის გავლის უპირატესობა. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე.

2.3.2

2.3.3

2.3.3 მეორეხარისხოვანი გზის შეერთება მარცხნიდან

მიუთითებს, რომ მთავარ გზას მარცხნიდან უერთდება მეორეხარისხოვანი გზა სადაც, მძღოლს ენიჭება არარეგულირებული გზაჯვარედინის გავლის უპირატესობა. დაუსახლებელ პუნქტში ნიშანი იდგმება 150-300 მეტრში, ხოლო დასახლებულში 50-100 მეტრში სახიფათო მონაკვეთამდე.

2.4 დაუთმე გზა

2.4

ნიშანი აფრთხილებს რომ გადამკვეთ ქუჩაზე მოძრავ ტრანსპორტს მინიჭებული აქვს გავლის უპირატესობა და მძღოლი ვალდებულია დაუთმოს გზა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გაჩერდეს და გაატაროს ყველა სახის ტრანსპორტი-რომელიც მოძრაობს გადამკვეთ ქუჩაზე, ხოლო 7.13 „მთავარი გზის მიმართულება“ დამატებითი ინფორმაციის დაფის არსებობისას - მთავარ გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზაჯვარედინის წინ.

იმის გამო რომ ეს ნიშანი განსხვავებული იყოს და არ აგვერიოს სხვა მსგავს ნიშნებთან-იგი იდგმება(იკიდება) წვერით ქვემოთ!

სწრაფმავალ გზებზე მძღოლის დროულად გაფრთხილების მიზნით ნიშანი იდგმება დამატებითი ინფორმაციის 7.1.1 ან 7.1.2 "მანძილი ობიექტამდე" ნიშნებთან (დაფებთან) ერთად.

2.5

2.5 მოძრაობა გაუჩერებლივ აკრძალულია

ნიშანი კრძალავს გადამკვეთ გზაზე შეუჩერებლად გავლას ანუ, მძღოლი ვალდებულია აუცილებლად გაჩერდეს გზაზე დახაზული "სდექ" ხაზის წინ (თუ არ არის "სდექ" ხაზი-გადამკვეთი გზის წინ) და გაატაროს გამვლელი ტრანსპორტი, ვალდებულია გზა დაუთმოს გადასაკვეთ გზაზე მოძრავ ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებას, ხოლო 7.13 „მთავარი გზის მიმართულება“ დამატებითი ინფორმაციის დაფის არსებობისას - მთავარ გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას. ნიშანი იდგმება შეზღუდული ხილვადობის მქონე გზაჯვარედინების ან გზის ისეთი უბნების წინ,სადაც გაუჩერებლად გავლამ შეიძლება გამოიწვიოს შეჯახების საშიშროება. საშუალებას. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზაჯვარედინის წინ. ნიშანი ასევე იდგმება რკინიგზის გადასასვლელის ან საკარანტინო საგუშაგოს წინ. ამ შემთხვევაში მძღოლი ჩერდება „სდექ“ ხაზის წინ, ხოლო თუ ის არ არის - ნიშნის წინ.

იმის გამო რომ ამ ნიშანს გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მას ყველა სხვა საგზაო ნიშნისგან განსხვავებული-რვაკუთხედის-ფორმა აქვს, რაც უზრუნველყოფს მის გარჩევას ნებისმიერ რთულ კლიმატურ პირორეგულირებად გზაჯვარედინებზე 2.1, 2.4 და 2.5 ნიშნებს ამაგრებენ შუქნიშნის საყრდენებზე,რათა შუქნიშნის გამორთვის ან გაუმართაობის დროს(როცა გზაჯვარედინი ხდება არარეგულირებადი) მძღოლმა იხელმძღვანელოს პრიორიტეტის ნიშნით.

2.6 შემხვედრი ტრანსპორტის უპირატესობა

2.6

ნიშანი იდგმება გზის ვიწრო უბანზე და ავალდებულებს მძღოლს -გზა დაუთმოს შემხვედრ მოძრაობას.

უკრძალავს მძღოლს გზის ვიწრო მონაკვეთზე შესვლას, თუ ეს აძნელებს საპირისპირო მოძრაობას. მძღოლი გზას უთმობს შემხვედრ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც იმყოფება გზის ვიწრო მონაკვეთზე ან მის მოპირდაპირე მისასვლელთან. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზის ვიწრო უბნის წინ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაიდგას წინასწარ 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის ნიშანთან ერთად.


2.7

2.7 შემხვედრი ტრანსპორტის მიმართ უპირატესობა

ნიშანი იდგმება გზის ვიწრო უბნის წინ და ანიჭებს მძღოლს მოძრაობის უპირატესობას.

აფრთხილებს მძღოლს გზის ვიწრო უბანთან მიახლოების შესახებ, რომელზეც გავლის უპირატესობა ენიჭება შემხვედრ სატრანსპორტო საშუალებასთან შედარებით.

3 . ამკრძალავი ნიშნები

ამკრძალავი ნიშნები განკუთვნილია ქუჩებისა და გზების ცალკეულ უბნებზე მოძრაობის <u>შესაზღუდავად და მოსაწესრიგებლად</u>. აღნიშნული ნიშნები კრძალავენ ან აუქმებენ ადრე აკრძალულ მოძრაობას და შემოაქვთ განსაკუთრებული შეზღუდვები.

ამკრძალავი ნიშნების მიზანია აუწყოს საგზაო მოძრაობის მონაწილეებს ვალდებულებები, შეზღუდვები და სპეციალური აკრძალვები, რომლებიც მათ უნდა დაიცვან. ამკრძალავი ნიშნები წარმოადგენენ თეთრი ფონის, ირგვლივ ფართო წითელი არშიით არანაკლებ 0,6 მეტრის დიამეტრის წრეს.

ნიშნები განსხვავდებიან თავისი დანიშნულებისა და მოქმედების ზონის მიხედვით.

<u>სულ 35 ამკრძალავი ნიშანია.</u>

3.1

3.1 შესვლა აკრძალულია

ნიშანი კრძალავს მოცემული მიმართულებით ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების შესვლას. ნიშანი იდგმება ცალმხრივი მოძრაობის ქუჩის ან გზის გადასრბენის ბოლოში, ან ისეთ ადგილებში, სადაც უსაფრთხოების თვალსაზრისით მოძრაობა არ შეიძლება. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე.

3.2 მოძრაობა აკრძალულია


3.2

ნიშანი კრძალავს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას გზის გარკვეულ მონაკვეთზე ან განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზის უბნის წინ, სადაც ვრცელდება აღნიშნული აკრძალვა.ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება:

- სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე;
- სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ემსახურება აღნიშნულ ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების

ადგილესაკენ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინზე;

- სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც მართავს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი ან ინვალიდის გადამყვან სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

ყურადღება !!!

3.1 , 3.2 , 3.3 , 3.18.1 , 3.18.2 , 3.19 , 3.27 ნიშნების მოქმედება არ ვრცელდება: დადგენილი მარშრუტით მოძრავ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე (ავტობუსი,მ/ავტობუსი,ტრამვაი,ტროლეიბუსი).

ასევე ეს ნიშანი არ ეხება: 1-ლი და მე-2 ჯგუფის ინვალიდებს ან მათ გადამყვანებს,ასევე მოქალაქეებს რომლებიც ცხოვრობენ ამ ზონაში ან ემსახურებიან ამ ზონაში მდებარე საწარმოებს !!!

ყურადღებით: 3.2 , 3.3 , 3.4 , 3.5 , 3.6 , 3.7 , 3.8 , 3.9 , 3.32 , 3.33 ნიშნები კრძალავენ შესაბამისი სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას ორივე მიმართულებით.

3.3 მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია

3.3

ნიშანი კრძალავს ყველა სახის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას გზის გარკვეულ მონაკვეთზე ან განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზის უბნის წინ, სადაც ვრცელდება აღნიშნული აკრძალვა. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება:

- სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე;
- სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ემსახურება აღნიშნულ ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების ადგილესაკენ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინზე;
- სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც მართავს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი ან ინვალიდის გადამყვან სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

3.4

3.4 სატვირთო მოძრაობა

კრძალავს სატვირთო ავტომობილისა და სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობების მოძრაობას, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტონას აღემატება, თუ ნიშანზე მასა არ არის მითითებული, ან აქვთ ნებადართული მაქსიმალური მასა, რომელიც აღემატება ნიშანზე მითითებულს. აგრეთვე ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანის მოძრაობას. ნიშანი არ კრძალავს იმ სატვირთო ავტომობილის მოძრაობას რომელიც ემსახურება აკრძალვის ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ნიშანი 3.4 არ კრძალავს იმ სატვირთო ავტომობილის მოძრაობას, რომელსაც ბორტებზე აქვს დახრილი თეთრი ზოლები ან მგზავრთა გადასაყვანად არის განკუთვნილი.

ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების ადგილესაკენ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინზე. არეთვე იმ სატვირთო ავტომობილების მოძრაობას, რომლებსაც ძარაზე აქვს დახრილი თეთრი ზოლები ან მგზავრთა გადასაყვანად არინ განკუთვნილი. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზის უბნის წინ, სადაც ვრცელდება აღნიშნული აკრძალვა.

3.5 მოტოციკლით მოძრაობა აკრძალულია

3.5

ნიშანი კრძალავს მოტოციკლის მოძრაობას გზის გარკვეულ მონაკვეთზე ან განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშანის მოქმედება არ ვრცელდება სატრანსპოტო საშუალებაზე, რომელიც ემსახურება აკრძალვის ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების ადგილესაკენ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინზე.

3.6

3.6 ტრაქტორის მოძრაობა აკრძალულია

ნიშანი კრძალავს ტრაქტორებისა და თვითმავალი მანქანების მოძრაობას. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშანის მოქმედება არ ვრცელდება სატრანსპოტო საშუალებაზე, რომელიც ემსახურება აკრძალვის ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების ადგილესაკენ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინზე.

3.7 მისაბმელით მოძრაობა აკრძალულია

3.7

კრძალავს ყველა სახის მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილებისა და ტრაქტორების მოძრაობას, აგრეთვე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ბუქსირებას. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშანის მოქმედება არ ვრცელდება სატრანსპოტო საშუალებაზე, რომელიც ემსახურება აკრძალვის ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების ადგილესაკენ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინზე.

3,8

3.8 საჭაპანო ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია

კრძალავს საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის), სასაპალნე და საჯდომი ცხოველების მოძრაობას, აგრეთვე პირუტყვის გადარეკვას. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშანის მოქმედება არ ვრცელდება სატრანსპოტო საშუალებაზე, რომელიც ემსახურება აკრძალვის ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების ადგილესაკენ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინზე.

3.9 ველოსიპედით მოძრაობა აკრძალულია

3.9

ნიშანი კრძალავს ველოსიპედებისა და მოპედების მოძრაობას.

დგავენ ინტენსიური მოძრაობის და ქალაქის გზებზე სადაც გადის საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მარშრუტები და იქმნება დაბრკოლებები მოძრაობაში.

ამ დროს ველოსიპედისტი ვალდებულია ჩამოქვეითდეს და წაიყვანოს ველოსიპედი ხელით. იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ.

3.10

3.10 ქვეითთა მოძრაობა აკრძალულია

ნიშანი კრძალავს ქვეითთა მოძრაობას გზების იმ უბნებზე, სადაც უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს დაუშვებელია (გვირაბებში, ხიდებზე, ესტაკადებზე), სადაც არ არის ფეხით მოსიარულეთა ტროტუარი ან ბილიკი.. აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ ქვეითებზე და ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. 3.10 ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გზის იმ მხარეს, რომელზეც ის დგას.

3.11 მასის შეზღუდვა

ნიშანი კრძალავს სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთე სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობების მოძრაობას, რომელთა საერთო ფაქტიური აღემატება ნიშანზე მითითებულს. ნიშანს როგორც წესი ძირითადად დგამენ საინჟინრო ნაგებობების (ხიდები, ესტაკადები და ა. შ.) წინ, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებების დიდი მასის გამო შეიძლება დაზიანდეს.

3.11

3.12

3.12 ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა

ნიშანი კრძალავს იმ ტრანსპორტის მოძრაობას რომელთა რომელიმე ღერძზე ფაქტობრივი დატვირთვა აღემატება ნიშანზე მითითებულ სიდიდეს. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ.

იანგარიშება შემდეგნაირად: ორღერძიან ავტომობილზე წინა ღერძზე დატვირთვა შეადგენს ფაქტობრივი მასის 1/3.ხოლო უკანაზე– 2/3. სამღერძიანის და მეტის შემთხვევაში დატვირთვა თანაბრად ნაწილდება და შეადგენს შესაბამისად 1/3 ტონა ძალას.მაგალითად თუ მანქანა სამღეძიანია და მას მიაქვს 12 ტონა თვირთი, ამ ნიშანზე გავლა შეეძლება,რადგანაც 12-ის მესამედი 4-ია.იგივე ტვირთიან ორღერძიან მანქანას კი ამ ნიშანზე გავლა აკრძალული აქვს.

3.13 სიმაღლის შეზღუდვა

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, რომლის გაბარიტული სიმაღლე ტვირთით ან უტვირთოდ აღემატება ნიშანზე აღნიშნულს. ნიშან დგამენ ხიდების, თაღებისა და სხვა ისეთი ადგილების წინ, სადაც გაბარიტული სიმაღლის გადამეტება არ მისცემს სატრანსპორტო საშუალების მძღოლს უსაფრთხო გავლის საშუალებას.

3.13

3.14

3.14 სიგანის შეზღუდვა

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, რომლის გაბარიტული სიგანე ტვირთით ან უტვირთოდ აღემატება ნიშანზე აღნიშნულს. ნიშანს დგამენ ვიწრო ხიდების, გვირაბებისა და სხვა ისეთი ადგილების წინ, სადაც გაბარიტული სიგანის გადამეტება არ მისცემს სატრანსპორტო საშუალების მძღოლს უსაფრთხო გავლის საშუალებას.

3.15 სიგრძის შეზღუდვა

ნიშანი კრძალავს სატრანსპორტო საშუალების, აგრეთე სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობების მოძრაობას, რომლის გაბარიტული სიგრძე ტვირთით ან უტვირთოდ აღემატება ნიშანზე აღნიშნულს. ნიშანს დგამენ გზის ძალიან ვიწრო უბნების, სახიფათო და მცირე რადიუსიანი მოსახვევების წინ, სადაც ავტომატარებლებს და შეწყვილებულ ავტობუსებს უჭირთ მანევრირება და უქმნიან საფრთხეს მოძრაობას.

3.15

3.16

3.16 მინიმალური დისტანციის შეზღუდვა

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, რომელთა შორის დისტანცია ნიშანზე აღნიშნულზე ნაკლებია. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. 3.16 ნიშნის მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.16 ნიშნის მოქმედების ზონა შეიძლება შემცირდეს 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფის გამოყენებით.

3.17 პორტალი

აკრძალულია პორტალთან (საქართველოს ეკონომიკურ საზღვართან მდებარე კონტროლის ზონა) გაუჩერებლად გავლა. ნიშანი იდგმება უშუალოდ საკონტროლო პუნქტის წინ.

3.17

3.17.2

3.17.2 საშიშროება

კრძალავს ყველა სატრანსპორტო საშუალების შემდგომ მოძრაობას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან, ავარიასთან ან სხვა საშიშროებასთან დაკავშირებით. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ.

3.18.1 მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია

ნიშანი უკრძალავს მძღოლს მარჯვნივ მოხვევას. მოძრაობა ნებადართულია პირდაპირ,მარცხნივ და უკუმიმართულებით. ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ის დგას. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე.

3.18.1

3.18.2

3.18.2 მარცხნივ მოხვევა აკრძალულია

ნიშანი უკრძალავს მძღოლს მარცხნივ მოხვევას, მობრუნება ნებადართულია. ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ის დგას. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე.

3.19 მობრუნება აკრძალულია

3.19

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მობრუნებას. ნიშანი იდგმება გზაჯვარედინის წინ ან იმ ადგილებში სადაც გზის სიგანის გამო გაძნელებულია მობრუნება და ეს მანევრი საფრთხეს შეუქმნის საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს, ქვეითებს. გზაჯვარედინის წინ დადგმული ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ის დგას. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე.

3.20

3.20 გასწრება აკრძალულია

კრძალავს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების გასწრებას, გარდა 30 კმ/სთ-ზე ნაკლები სიჩქარით მოძრავი ერთეული სატრანსპორტო საშუალებისა, მოპედის და ორთვლიანი მოტოციკლისა ეტლის გარეშე. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. 3.20 ნიშნის მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელ-ლთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.20 ნიშნის მოქმედების ზონა შეიძლება შემცირდეს 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფის გამოყენებით.

ეს ნიშანი (23457-86 სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად) როგორც წესი, გამოიყენება ისეთ გზებზე,რომელსაც ორივე მიმართულებით სამოძრაოდ გააჩნიათ ერთი,ორი ან სამი ზოლი და როდესაც საგზაო პირობების, არასაკმარისი ხილვადობისა და ინტენსიური მოძრაობის გამო გასწრება საფრთხეს უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

3.21 გასწრების აკრძალვის დასასრული

ეს ნიშანი აღნიშნავს 3.20 ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს.

3.21

3.22

3.22 სატვირთო ავტომობილის გასწრება აკრძალულია

კრძალავს სატვირთო ავტომობილებით, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტონას აღემატება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების გასწრებას, გარდა 30 კმ/სთ-ზე ნაკლები სიჩქარით მოძრავი ერთეული სატრანსპორტო საშუალებისა, მოპედის და ორთვლიანი მოტოციკლისა ეტლის გარეშე. ტრაქტორს ეკრძალება ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების გასწრება, გარდა საჭაპანე ტრანსპორტისა და ველოსიპედისა ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. 3.22 ნიშნების მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.22 ნიშნის მოქმედების ზონა მცირდება ნიშნის მოქმედების ზონის ბოლოში 3.23„სატვირთო ავტომობილით გასწრების ზონის დასასრული” ნიშნის დადგმით ან 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფის გამოყენებით.

3.23 სატვირთო ავტომობილის გასწრების ზონის დასასრული
ეს ნიშანი აღნიშნავს 3.22 ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს.

3.23

3.24

3.24 მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა
კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას სიჩქარით (კმ/სთ), რომელიც აღემატება ნიშანზე აღნიშნულს. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. 5.22 „დასახლებული პუნქტის დასაწყისი“ ნიშნით აღნიშნული დასახლებული პუნქტის წინ დადგმული 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ ნიშნის მოქმედება ვრცელდება პუნქტის ამღნიშვნელ 5.22 ნიშნამდე.
3.24 ნიშნების მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი.

ნიშნის მოქმედების ზონა შეიძლება შემცირდეს შემდეგ შემთხვევებში:

ნიშნის შემდგომ 3.25 დადგმით;

ნიშნის შემდგომ სიჩქარის სხვა ნიშნულიანი ანალოგიური ნიშნის დადგმით;

ნიშნის შემდგომ 3.31 დადგმით;

ნიშანთან 7.2.1 დაფის გამოყენებით;

ნიშანთან შეიძლება გაყენებულ იქნას 7.16 და ვრცელდება მხოლოდ დროის იმ პერიოდში – როცა გზის საფარი სველია. ასევე შეიძლება გზის სავალი ნაწილის ზემოთ დაიკიდოს 7.14 ნიშანთან ერთად,სადაც დაადგენს საჩქარის რეჟიმს შესაბამის ზოლზე.

3.25 მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვის დასასრული
ნიშანი მიუთითებს 3.24 ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს.

3.25

3.26

3.26 ხმოვანი სიგნალის აკრძალვა

კრძალავს ხმოვანი სიგნალით სარგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სიგნალი გამოიყენება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. 3.26 ნიშნების მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.26 ნიშნის მოქმედების ზონა შეიძლება შემცირდეს 7.2.1 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფის გამოყენებით.

3.27 გაჩერება აკრძალულია

3.2

7

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების გაჩერებას და დგომას. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე. 3.27 ნიშანი შეიძლება გამოყენებული იქნეს 1.4 მონიშვნასთან ერთად, ამ შემთხვევაში ნიშნების მოქმედების ზონა განისაზღვრება მონიშვნის ხაზის სიგრძით. 3.27 ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გზის იმ მხარეს, რომელზეც ის გდას. 3.27 ნიშნების მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთანმ მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.27 ნიშნის მოქმედების ზონა მცირდება მისი მოქმედების ზონის ბოლოში 7.2.3 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფიანი განმეორებითი 3.27-3.30 ნიშნის დადგმით ან 7.2.2 „მოქმედების ზონა“ დაფის გამოყენებით.

ყურადღება !!!

3.1 , 3.2 , 3.3 , 3.18.1 , 3.18.2 , 3.19 , 3.27 ნიშნების მოქმედება არ ვრცელდება: დადგენილი მარშრუტით მოძრავ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე (ავტობუსი,მ/ავტობუსი,ტრამვაი,ტროლეიბუსი).

ნიშნის მოქმედების ზონა შეიძლება შემცირდეს და/ან დაზუსტდეს:

ნიშანთან ერთად 7.2.2 7.2.3 7.2.4 7.5.4 7.5.5 7.5.6 7.5.7 დაფების გამოყენებით;

7.2.2 მიუთითებს ნიშნის მოქმედების ზონასკონკრეტულ შემთხვევაში ნიშნის მოქმედების ზონა არის 10 მ.

7.2.3 მიუთითებს ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს

7.2.4 დაფა აფრთხილებს, რომ მძღოლი იმყოფება ნიშნის მოქმედების ზონაში

7.5.4; 7.5.5 ;7.5.6 ;7.5.7 "მოქმედების დრო" დაფები მიუთითებენ დღეღამის საათებს და კვირის იმ დღეებს,რომლის დროსაც მოქმედებენ ნიშნები.

3.28 დგომა აკრძალულია

3.2

8

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების დგომას. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება ტაქსზე, რომელსაც ჩართული აქვს ტაქსომეტრი და იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც მართავს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი ან ინვალიდის გადამყვან სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე. 3.28 ნიშანი შეიძლება გამოყენებული იქნეს 1.10 მონიშვნასთან ერთად, ამ შემთხვევაში ნიშნების მოქმედების ზონა განისაზღვრება მონიშვნის ხაზის სიგრძით. 3.28 ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გზის იმ მხარეს, რომელზეც ის დგას. 3.28 ნიშნების მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.28 ნიშნის მოქმედების ზონა მცირდება მისი მოქმედების ზონის ბოლოში 7.2.3 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფიანი განმეორებითი 3.27-3.30 ნიშნის დადგმით ან 7.2.2 „მოქმედების ზონა“ დაფის გამოყენებით.

3.29

3.29 დოგმა აკრძალულია კენტ რიცხვებში

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების დგომას თვის კენტ რიცხვებში. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება ტაქსზე, რომელსაც ჩართული აქვს ტაქსომეტრი და იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც მართავს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი ან ინვალიდის გადამყვან სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე. 3.29 და 3.30 ნიშნების ერთდროულად გამოყენებისას, სატრანსპორტო საშუალების გზის ერთი მხრიდან მეორეზე გადაყენების დროა 19-დან 21 საათამდე. 3.29 ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გზის იმ მხარეს, რომელზეც ის დგას. 3.29 ნიშნების მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.29 ნიშნის მოქმედების ზონა მცირდება მისი მოქმედების ზონის ბოლოში 7.2.3 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფიანი განმეორებითი 3.27-3.30 ნიშნის დადგმით ან 7.2.2 „მოქმედების ზონა“ დაფის გამოყენებით.

3.30 დოგმა აკრძალულია ლუწ რიცხვებში

3.30

კრძალავს სატრანსპორტო საშუალების დგომას თვის ლუწ რიცხვებში. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვის ზონის წინ. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება ტაქსზე, რომელსაც ჩართული აქვს ტაქსომეტრი და იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც მართავს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი ან ინვალიდის გადამყვან სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე. 3.29 და 3.30 ნიშნების ერთდროულად გამოყენებისას, სატრანსპორტო საშუალების გზის ერთი მხრიდან მეორეზე გადაყენების დროა 19-დან 21 საათამდე. 3.30 ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გზის იმ მხარეს, რომელზეც ის დგას. 3.30 ნიშნების მოქმედება ვრცელდება ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი - დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელ-ლთან, საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი. 3.30 ნიშნის მოქმედების ზონა მცირდება მისი მოქმედების ზონის ბოლოში 7.2.3 „მოქმედების ზონა“ დამატებითი ინფორმაციის დაფიანი განმეორებითი 3.27-3.30 ნიშნის დადგმით ან 7.2.2 „მოქმედების ზონა“ დაფის გამოყენებით.



3.31

3.31 ყველა შეზღუდვათა დასასრული

ნიშანი აღნიშნავს ერთდროულად 3.16, 3.20, 3.22, 3.24, 3.26, 3.27, 3.28, 3.29, 3.30 ამკრძალავი ნისნების მოქმედების ზონის დასასრულს.

3.22 საშიში ტვირთის გადამზიდი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა აკრძალულია

3.22

კრძალავს საცნობი ნიშნით „საშიში ტვირთი“ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვი ზონის წინ.

ყურადღებით: 3.2 , 3.3 , 3.4 , 3.5 , 3.6 , 3.7 , 3.8 , 3.9 , 3.32 , 3.33 ნიშნები კრძალავენ შესაბამისი სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას ორივე მიმართულებით.

3.24

3.24 ფეტქებადი და ადვილაადებაი ტვირთის გადამზიდი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა აკრძალულია

აკრძალავს საცნობი ნიშნით „საშიში ტვირთი“ აღჭურვილი და 19433-88 სახელმწიფო სტანდარტით 1.22-2.4, 3.1, 3.2 5.2 კლასის საშიში ტვირთის გადასატანად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას. ნიშანი იდგმება უშუალოდ აკრძალვი ზონის წინ.

3.2–3.9 და 3.33 ნიშნები კრძალავს შესაბამისი სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას ორივე მიმართულებით.

ნიშნების მოქმედება არ ვრცელდება:

ა) 3.1–3.3, 3.18.1, 3.18.2, 3.19, 3.27 ნიშნებისა – სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაზე;

ბ) 3.2–3.8 ნიშნებისა – სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ემსახურება აღნიშნულ ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქიდან დანიშნულების ადგილისაკენ უახლოეს გზაჯვარედინზე;

გ) 3.28–3.30 ნიშნებისა – ტაქსზე, რომელსაც ჩართული აქვს ტაქსომეტრი;

დ) 3.2, 3.3, 3.28–3.30 ნიშნებისა – სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც მართავს პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი, ან ინვალიდის გადამყვან სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე;

3.18.1, 3.18.2 ნიშნების მოქმედება ვრცელდება – სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც დადგმულია სათანადო ნიშანი;

3.16, 3.20, 3.22, 3.24, 3.26–3.30 ნიშნების მოქმედება ვრცელდება – ნიშნის დადგმის ადგილიდან მის შემდეგ მდებარე უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო დასახლებულ პუნქტში, თუ არ არის გზაჯვარედინი – დასახლებული პუნქტის ბოლომდე. ნიშნების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე გზასთან მიმდებარე ტერიტორიების გამოსასვლელთან და საველე, სატყეო და სხვა მეორეხარისხოვანი გზების გადაკვეთასთან (შეერთებასთან), რომელთა წინ არ დგას სათანადო ნიშანი.

5.22 ნიშნით აღნიშნული დასახლებული პუნქტის წინ დადგმული 3.24 ნიშნის მოქმედება ვრცელდება პუნქტის აღმნიშვნელ 5.22 ნიშნამდე.

ნიშნების მოქმედების ზონა მცირდება:

ა) 3.16 და 3.26 ნიშნებისა – 7.2.1 დაფის გამოყენებით;

ბ) 3.20, 3.22, 3.24 ნიშნებისა – მათი მოქმედების ზონის ბოლოში შესაბამისად 3.21, 3.23, 3.25 ნიშნების დადგმით ან 7.2.1 დაფის გამოყენებით. 3.24 ნიშნის მოქმედების ზონა მცირდება მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის სხვა მნიშვნელობის მქონე 3.24 ნიშნის დადგმით;

გ) 3.27–3.30 ნიშნებისა – მათი მოქმედების ზონის ბოლოში 7.2.3 ნიშნის დაფიანი განმეორებითი 3.27–3.30 ნიშნების დადგმით ან 7.2.2 დაფის გამოყენებით. 3.27 ნიშანი გამოიყენება 1.4 მონიშვნასთან, ხოლო 3.28 ნიშანი – 1.10 მონიშვნასთან ერთად. ამასთან, ნიშნების მოქმედების ზონა განისაზღვრება მონიშვნის ხაზის სიგრძით.

3.10, 3.27–3.30 ნიშნების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ გზის იმ მხარეს, რომელზედაც ისინია დადგმული.

საკონტროლო შეკითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რას განსაზღვრავს პრიორიტეთის ნიშნები ?
2. რა ფორმის არსებობს პრიორიტეტის ნიშნები ?

3. ობიექტამდე რა მანძილზე დგება პრიორიტეტის ნიშნები და სადამდე ვრცელდება მათი მოთხოვნები ?
4. რას განსაზღვრავს მიმთითებელი ნიშნები ?
5. რა ფორმის არიან მიმთითებელი ნიშნები ?
6. სად იდგმება ისინი და სად ვრცელდება მათი მოთხოვნები ?
7. რომელი ნიშნების მოქმედება არ ვრჩელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე ?

თემა # 6
საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება

4. მიმთითებელი ნიშნები

მიმთითებელი ნიშნები საგზაო მოძრაობის მონაწილეებს მიუთითებენ იმოძრაონ გარკვეული მიმართულებით, მინიმალური სიჩქარით, მოძრაობის ნებას რთავენ მხოლოდ გარკვეული სახის ტრანსპორტს, აგრეთვე მიუთითებენ გზაზე არსებული დაბრკოლების შემოვლის, ქვეითთა და ველოსიპედისტთა ბილიკებზე მოძრაობის მიმართულებებს.

მიმთითებელი ნიშნები (გარდა 4.9.1-4.9.3 ნიშნებისა) მრგვალი ფორმისაა მათზე გამოსახული თეთრი სიმბოლოებით.

მიმთითებელი ნიშნები იდგმება პირდაპირ იმ ადგილზე, სადაც მოქმედებენ.

მიმთითებელი ნიშნების მოქმედება არ ვრცელდება დადგენილი მარშრუტით მოძრავ საერთო სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებებზე.

<u>სულ 18 მიმთითებელი ნიშანია.</u>

აღნიშნულ ნიშნებს შემოაქვთ ან აუქმებენ მოძრაობის განსაზღვრულ რეჟიმს.

4.1.1

4.1.1 მოძრაობა მხოლოდ პირდაპირ

ავალდებულებს მძღოლს იმოძრაოს მხოლოდ პირდაპირ. ნიშნის მოქმედება ვრცელდება სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ნიშანია დადგმული. 4.1.1 „მოძრაობა პირდაპირ“ ნიშნის მოქმედება, რომელიც გზის დასაწყისშია დადგმული, ვრცელდება უახლოეს გზაჯვარედინამდე. ნიშანი არ კრძალავს მარჯვნივ მოხვევას ეზოში და გზასთან მიმდებარე სხვა ტერიტორიებზე შესასვლელად. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე.

4.1.2 მოძრაობა მარჯვნივ

ავალდებულებს მძღოლს იმოძრაოს მხოლოდ მარჯვნივ. ნიშნის მოქმედება ვრცელდება სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ნიშანია დადგმული. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე.


4.1.2


4.1.3

4.1.3 მოძრაობა მარცხნივ

ავალდებულებს მძღოლს იმოძრაოს მხოლოდ მარცხნივ. ნიშნის მოქმედება ვრცელდება სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ნიშანია დადგმული. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე.

4.1.4 მოძრაობა მხოლოდ პირდაპირ ან მარჯვნივ

ავალდებულებს მძღოლს იმოძრაოს მხოლოდ პირდაპირ ან მარჯვნივ. ნიშნის მოქმედება ვრცელდება სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ნიშანია დადგმული. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე.

4.1.4

4.1.5

4.1.5 მოძრაობა მხოლოდ პირდაპირ ან მარცხნივ

ავალდებულებს მძღოლს იმოძრაოს მხოლოდ პირდაპირ, მარცხნივ და უკუმიმართულებით. ნიშნის მოქმედება ვრცელდება სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ნიშანია დადგმული. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე

4.1.6 მოძრაობა მხოლოდ მარცხნივ ან მარჯვნივ

ავალდებულებს მძღოლს იმოძრაოს მხოლოდ მარჯვნივ, მარცხნივ და უკუმიმართულებით. ნიშნის მოქმედება ვრცელდება სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც ნიშანია დადგმული. ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე.

4.1.6

მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ ნიშანზე ისრით მითითებული მიმართულებებით.
ნიშნები, რომლებიც მარცხნივ მოხვევის ნებას რთავს, მობრუნების ნებასაც იძლევა.
გამოიყენება აგრეთვე 4.1.1–4.1.6 ნიშნები ისრების კონფიგურაციით, რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ გადაკვეთაზე მოძრაობის საჭირო მიმართულებას.
4.1.1–4.1.6 ნიშნების მოქმედება არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე.
4.1.1–4.1.6 ნიშნების მოქმედება ვრცელდება სავალი ნაწილების იმ გადაკვეთაზე, რომლის წინაც დადგმულია სათანადო ნიშანი.
4.1.1 ნიშნის მოქმედება, რომელიც გზის მონაკვეთის დასაწყისშია დადგმული, ვრცელდება უახლოეს გზაჯვარედინამდე. ნიშანი არ კრძალავს მარჯვნივ მოხვევას ეზოში და გზასთან მიმდებარე სხვა ტერიტორიებზე შესასვლელად.

4.2.1

4.2.1 დაბრკოლების შემოვლა მარჯვნიდან

შემოვლა ნებადართულია მხოლოდ ისრით ნაჩვენები მხრიდან

4.2.2

4.2.2 დაბრკოლების შემოვლა მარცხნიდან

შემოვლა ნებადართულია მხოლოდ ისრით ნაჩვენები მხრიდან

4.2.3

4.2.3 დაბრკოლების შემოვლა მარცხნიდან ან მარჯვნიდან

შემოვლა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან

4.3 წრიული მოძრაობა

4.3

ნიშანი ავალდებულებს მძღოლს გზაჯვარედინზე ან მოედანზე იმოძრაოს ნიშანზე ისრებით ნაჩვენები მიმართულებით ერთ-ერთ მოსაზღვრე ქუჩაზე ან გზაზე გასვლამდე.

ნიშანი მოქმედებს მხოლოდ იმ მოედანზე ან გზაჯვარედინზე, რომლის წინაც ის არის დადგმული გზაჯვარედინზე სადაც ორგანიზებულია წრიული მოძრაობა 4.3 ნიშანი არ ადგენს გავლის უპირატესობას. ასეთი გზაჯვარედინის გავლა არარეგულირებადი გზაჯვარედინების გავლის საერთო პრინციპების ანალოგიურია.

4.4

4.4 მსუბუქი ავტომობილების მოძრაობა

ნაბადართულია მსუბუქი ავტომობილის, ავტობუსის, მოტოციკლის, სატვირთო ავტომობილისა და სხვა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტონას არ აღემატება. ნიშანი მოძრაობის უფლებას აძლევს სხვა სატრანსპოტო საშუალებებსაც, რომელებიც ემსახურებიან აღნიშნულ ზონაში მდებარე საწარმოს, ანდა ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება შედის აღნიშნულ ზონაში და გამოდის იქედან დანიშნულების ადგილიდან უახლოეს გზაჯვარედინზე. ნიშანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი ინფორმაციის 7.3.1 , 7.3.2 , 7.3.3 "მოქმედების მიმართულებანი" ნიშნებთან(დაფებთან) ერთად.

4.5 ველოსიპედის ბილიკი

4.5

ნებადართულია მოძრაობა მხოლოდ ველოსიპედითა და მოპედით. საველოსიპედო ბილიკით სარგებლობის უფლება ეძლევა ქვეითებსაც, როცა არ არის ტროტუარი ან ქვეითთა ბილიკი. ნიშანი იდგმება საველოსიპედი ბილიკის არსებობის შემთხვევაში.

4.6

4.6 ქვეითთა ბილიკი

მოძრაობის ნებას რთავს მხოლოდ ქვეითებს, ხოლო დანარჩენ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს უკრძალავს ამ ბილიკით სარგებლობას. ნიშანს დგამენ ქვეითთა ბილიკის არსებობის შემთხვევაში ან გზის სხვა უბნებზე, სადაც შესაძლებელია ქვეითთა მოძრაობა, და მეორდება ბილიკის გზასთან ყოველი გადაკვეთის შემდგომ.

მოძრაობენ მხოლოდ ფეხით მოსიარულენი, ხოლო ველოსიპედის გადატანა შეიძლება ხელით გაგორებით.

4.7 მინიმალური სიჩქარის შეზღუდვა

4.7

ნიშანი ნებას რთავს მძღოლს იმოძრაოს ნიშანზე მითითებული ან უფრო მეტი სიჩქარით. იდგმება ქალაქის ცალკეულ მაგისტრალზე ან ზოგიერთი სავალი ზოლის ზემოთ დამატებითი ინფორმაციის "მოძრაობის ზოლი" დაფასთან ერთად,რათა არ შეიზღუდოს სწრაფმავალი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა.

4.8

4.8 მინიმალური სიჩქარის შეზღუდვის ზონის დასასრული

აღნიშნავს 4.7 „მინიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს.

4.9.1

4.9.2



4.9.3

4.9.1 4.9.2 4.9.3 საშიში ტვირთის გადამზიდი

საცნობი ნიშნით „საშიში ტვირთი" აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ ნიშანზე აღნიშნული მიმართულებებით:

4.9.1 – მარცხნივ, 4.9.2 – პირდაპირ, 4.9.3 – მარჯვნივ.

თემა # 7
საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება

5. საინფორმაციო მაჩვენებლები

საინფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნები ადგენენ ან აუქმებენ მოძრაობის გარკვეულ რეჟიმებს, აგრეთვე დასახლებული პუნქტების და სხვა ობიექტების მდებარეობაზე გვაწვდიან ინფორმაციას.

საინფორმაციო მაჩვენებელი ნიშნები 42 სახის გვაქვს, ეს ნიშნები იწყება 5.1-ით და მთავრდება 5.19.2.-ით.

ეს ნიშნები მძღოლს აძლევს სხვადასხვა ინფორმაციას და უჩვენებს თუ რომელ პუნქტს უახლოვდება ან საით უნდა წავიდეს აღნიშნული პუნქტისკენ.

ისინი თეთრ, ლურჯ ან მწვანე ფონზე შესრულებული მართკუთკუთხა ფორმის ნიშნებს წარმოადგენენ (5.21.1 – მიმართულების მაჩვენებელი ნიშნის გარდა), რომლებზეც შავი ან თეთრი სიმბოლოებით დატანილია საჭირო ინფორმაცია. არსებობს აგრეთვე ყვითელ ფონზე შესრულებული ნიშნებიც.

5.1

5.1 ავტომაგისტრალი

ნიშანს აქვს მწვანე ფონი, იდგმება იმ გზის დასწყისში, რომელზედაც მოქმედებს ავტომაგისტრალზე მოძრაობის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნები და სპეციალურად აშენებული და განკუთვნილია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისათვის, რომელიც არ ემსახურება გზისპირა მფლობელობას და რომელსაც:

- ცალკეული ადგილების გამოკლებით ან დროებითი წესით, ორივე მიმართულებით მოძრაობისათვის გააჩნია ერთმანეთისაგან გამყოფი ზოლით ან განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა საშუალებებით გამოყოფილი ცალკე სავალი ნაწილები.
- არ გააჩნია ერთ დონეზე გადაკვეთა გზასთან, რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებთან, ქვეითთა და ველოსიპედისტთა ბილიკთან.

ავტომაგისტრალზე აკრძალულია:

ა) ქვეითის, შინაური ცხოველების, ველოსიპედისტის, მოპედის, ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანის, აგრეთვე სხვა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, რომელთა სიჩქარე ტექნიკური მახასიათებლებით ან მათი მდგომარეობის გამო 40 კმ/სთ-ზე ნაკლებია;
ბ) მეორე ზოლს იქით იმ სატვირთო ავტომობილების მოძრაობა, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტონას აღემატება;

გ) გაჩერება 5.15 „დგომის ადგილი" და 6.11 „დასვენაბის ადგილი" ნიშნებით აღნიშული სპეციალური სადგომი მოედნების გარეთ;

დ) მობრუნება და შესვლა გამყოფი ზოლის ტექნოლოგიურ წყვეტილებში;
ე) უკუსვლით მოძრაობა;
ვ) სასწავლო სვლა.

ნიშანს დგამენ ავტომაგისტრალზე გასვლამდე გზაჯვარედინის წინ.ასევე შეიძლება დაიდგას 7.1.1 , 7.1.3 , 7.1.4 დაფებთან ერთად.

5.2 ავტომაგისტრალის დასასრული

5.2

მიუთითებს საგზაო ნიშნით 5.1 „ავტომაგისტრალი“ აღნიშნული გზის დასასრულს, რომელზედაც ვრცელდებოდა ავტომაგისტრალზე მოძრაობის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნები, აქვს მწვანე ფონი, იდგმება ავტომაგისტრალის ბოლოში. განმეორებით, მძღოლების გაფრთხილების მიზნით შეიძლება დაიდგას ავტომაგისტრალის დამთავრებამდე 400-1000 მეტრ მანძილზე დამატებითი ინფორმაციის 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ ნიშანთან ერთად, სადაც ნაჩვენები იქნება მანძილი ნიშნიდან ავტომაგისტრალის დასასრულამდე.

5.3

5.3 საავტომობილო გზა

ნიშანს აქვს ციფერი ფონი, იდგმება გზის დასაწყისში, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ავტომობილების, ავტობუსების და მოტოციკლების მოძრაობისათვის. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად საგზაო ნიშნით 5.3 „საავტომობილო გზა“ აღნიშნულ გზაზე ვრცელდება ავტომაგისტრალზე მოძრაობის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნები.

ნიშანს დგავენგზის დასაწყისში,ან წინასწარ 7.1.1 , 7.1.3 , 7.1.4 დაფებთან ერთად.

5.4 საავტომობილო გზის დასარული

5.4

მიუთითებს საგზაო ნიშნით 5.3 „საავტომობილო გზა“ აღნიშნული გზის დასასრულს, აქვს ცისფერი ფონი, იდგმება საავტომობილო გზის ბოლოში. განმეორებით, მძღოლების გაფრთხილების მიზნით შეიძლება დაიდგას საავტომობილო გზის დამთავრებამდე დამატებითი ინფორმაციის 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ ნიშანთან ერთად, სადაც ნაჩვენები იქნება მანძილი ნიშნიდან საავტომობილო გზის დასასრულამდე.

5.5

5.5 ცალმხრივმოძრაობიანი გზა

აღნიშნავს გზას ან სავალ ნაწილს, რომელზეც სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა მთელ სიგანეზე ხორციელდება ერთი მიმართულებით. აქ მობრუნება აკრძალულია. ნიშანი კვადრატული ფორმისაა, ცისფერი ფონით, იდგმება ცალმხრივმოძრაობიანი გზის ან სავალი ნაწილის დასაწყისში.

5.6 ცალმხრივმოძრაობიანი გზის დასასრული

5.6

აღნიშნავს ცალმხრივმოძრაობიანი გზის ან სავალი ნაწილის დასასრულს. ნიშანი კვადრატული ფორმისაა, ცისფერი ფონით, იდგმება ცალმხრივმოძრაობიანი გზის ან სავალი ნაწილის ბოლოში. განმეორებით შეიძლება დაიდგას ცალმხრივმოძრაობიანი გზის დამთავრებამდე დამატებითი ინფორმაციის 7.1.1 „მანძილი ობიექტამდე“ ნიშანთან ერთად, სადაც ნაჩვენები იქნება მანძილი ნიშნიდან ცალმხრივმოძრაობიანი გზის დასასრულამდე.

5.7.1

5.7.2

5.7.1 5.7.2 ცალმხრივ მოძრაობის გზაზე გასვლა

მიუთითებს, რომ გავდივართ გადამკვეთ გზაზე ან სავალ ნაწილზე, რომლის მთელ სიგანეზე ორგანიზებულია ცალმხრივი მოძრაობა მარცხნიდან მარჯვნივ 5.7.1, ან მარჯვნიდან მარცხნივ 5.7.2. ნიშანები გრძელი სწორკუთხა ფორმისაა ცისფერი ფონით, იდგმება უშუალოდ გზაჯვარედინის წინ.

5.8.1

5.8.1 ზოლებზე მოძრაობის მიმართულებანი

მიუთითებს მოძრაობის ზოლების რაოდენობას და მოძრაობის ნებადართულ მიმართულებას ყოველ ზოლში. იდგმება უშულოდ გზაჯვარედინის წინ გზის ზემოთ და ვრცელდება მთელ გზაჯვარედინზე.აუცილებლობისას შეიძლება დაიდგას წინასწარ 50-150 მ.

გზაჯვარედინის წინ დაყენებული 5.8.1 „ზოლებზე მოძრაობის მიმართულებანი“ ნიშნის მოქმედება ვრცელდება მთელ გზაჯვარედინზე, თუ მის შემდეგ დაყენებული სხვა 5.8.1 ნიშანი განსხვავებულ მითითებას არ იძლევა. 5.8.1 „ზოლებზე მოძრაობის მიმართულებანი“ ნიშანი, რომელიც უკიდურეს მარცხენა ზოლიდან მოხვევის ნებას რთავს, ამავე ზოლიდან მობრუნების ნებასაც იძლევა.

5.8.2 ზოლზე მოძრაობის მიმართულებანი

მიუთითებს ზოლების რაოდენობას და მოძრაობის ნებადართულ მიმართულებებს ყოველ ზოლში. გზაჯვარედინის წინ დაყენებული 5.8.2„ზოლზე მოძრაობის მიმართულებანი“ ნიშნის მოქმედება ვრცელდება მთელ გზაჯვარედინზე, თუ მის შემდეგ დაყენებული სხვა 5.8.2 ნიშანი განსხვავებულ მითითებას არ იძლევა. 5.8.2 „ზოლზე მოძრაობის მიმართულებანი“ ნიშანი, რომელიც უკიდურესი მარცხენა ზოლიდან მოხვევის ნებას რთავს, ამავე ზოლიდან მობრუნების ნებასაც იძლევა. აუცილებლობისას შეიძლება დაიდგას წინასწარ 50-150 მ.

5.8.2



5.8.3

5.8.3 ზოლის დასაწყისი

მიუთითებს აღმართზე დამატებითი ზოლის ან დამუხრუჭების ზოლის დასაწყისს. თუ დამატებითი ზოლის წინ დადგმულ 5.8.3 „ზოლის დასაწყისი“ ნიშანზე გამოსახულია ნიშანი 4.7 „მინიმალური სიჩქარის შეზღუდვა“, მაშინ სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელსაც არ შეუძლია განაგრძოს მოძრაობა ძირითად ზოლზე მითითებული ან მეტი სიჩქარით მოძრაობა, ვალდებულია გადადგილდეს დამატებით ზოლზე.

5.8.4 ზოლის დასაწყისი

მიუთითებს სამზოლიან გზაზე შუა ზოლის მონაკვეთის დასაწყისს, რომელიც განკუთვნილია მოცემული მიმართულებით მოძრაობისათვის.

5.8.4

5.8.5

5.8.5 ზოლის დასასრული

აღნიშნავს აღმართზე დამატებითი ან გაქანების ზოლის დასასრულს.

5.8.6 ზოლის დასასრული

ნიშანი გამოიყენება სამზოლიან გზაზე იმ შუა ზოლის მონაკვეთის აღსანიშნავად, რომელიც გამოიყენებოდა მოცემული მიმართულებით მოძრაობისათვის.

5.8.6



5.8.7

5.8.7 ზოლებზე მოძრაობის მიმართულება

მიუთითებს სამზოლიან გზის თითოეულ ზოლზე მოძრაობის მიმართულებას. თუ 5.8.7 „ზოლებზე მოძრაობის მიმართულება“ ნიშანზე გამოსახულია სხვა ნიშანი, რომელიც კრძალავს რომელიმე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, მაშინ ამ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა შესაბამის ზოლზე აკრძალულია. 5.8.7 ნიშანი ისრების შესაბამისი რაოდენობით შეიძლება გამოყენებული იქნას გზაზე, რომელსაც ოთხი და მეტი ზოლი აქვს. შესაცვლელი გამოსახულების მქონე 5.8.7 და 5.8.8 ნიშნებით ხდება რევერსული მოძრაობის ორგანიზება.



5.8.7

5.8.7 ზოლებზე მოძრაობის მიმართულება

მიუთითებს სამზოლიანი გზის თითოეულ ზოლზე მოძრაობის მიმართულებას. 5.8.8 ნიშანი ისრების შესაბამისი რაოდენობით შეიძლება გამოყენებული იქნას გზაზე, რომელსაც ოთხი და მეტი ზოლი აქვს. შესაცვლელი გამოსახულების მქონე 5.8.7 და 5.8.8 ნიშნებით ხდება რევერსული მოძრაობის ორგანიზება.

5.9 სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებათა ზოლი

მიუთითებს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ მოძრაობის ზოლზე, რომელზე მოძრაობაც ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის თანმხვედრი მიმართულებით. ნიშნის მოქმედება ვრცელდება მოძრაობის ზოლზე, რომლის ზემოთაც ის არის მოთავსებული და მეორდება გზაჯვარედინის შემდეგ. თუ გზაჯვარედინის შემდეგ ნიშანი არ გამეორდა-ნიშნის მოქმედების ზონა დასრულებულად ითვლება. გზის მარჯვენა მხარეს დადგმული ნიშნის მოქმედება ვრცელდება მარჯვენა ზოლზე.

5.9

5.10.1

5.10.1 სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ ზოლიანი გზა

მიუთითებს გზაზე, რომელზეც სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებები მოძრაობენ სპეციალურად გამოყოფილ ზოლზე, სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის საპირისპიროდ. ნიშანი იკიდება გზის დასაწყისში, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის სპეციალურად გამოყოფილი ზოლის ზემოთ.

5.10.2 5.10.3 სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ ზოლიანი გზაზე გასვლა

ნიშნები მიუთითებენ, რომ გავდივართ გადამკვეთ გზაზე, რომელზედაც სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებები მოძრაობენ სპეციალურად გამოყოფილ ზოლზე, სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის საპირისპიროდ - მარჯვნიდან მარცხნივ 5.10.2, ან



5.10.2 5.10.3

მარცხნიდან მარჯვნივ 5.10.3.

5.10.4

5.10.4 სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ ზოლიანი გზის დასასრული

მიუთითებს, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ზოლიანი გზის დასასრულზე.

5.11.1 მობრუნების ადგილი

5.11.1

მიუთითებს მობრუნების ადგილს. ნიშანი კრძალავს მარცხნივ მოხვევას, იდგმება გზის მარჯვენა მხარეს უშუალოდ მობრუნების ადგილის წინ ან იკიდება მის ზემოთ.

5.11.2

5.11.2 მობრუნების ზონა

მიუთითებს მოსაბრუნებელი ზონის სიგრძეზე. ნიშანი კრძალავს მარცხნივ მოხვევას, იდგმება გზის მარჯვენა მხარეს უშუალოდ მობრუნების ზონის წინ ან იკიდება მის ზემოთ.

5.12 ავტობუსის და/ან ტროლეიბუსის გაჩერების ადგილი

5.12

მიუთითებს დადგენილი მარშრუტით მოძრავ ავტობუსის ან/და ტროლეიბუსის გაჩერების ადგილზე. დასახლებულ პუნქტში მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს იმ ავტობუსსა და ტროლეიბუსს, რომელებიც მოძრაობას იწყებენ მონიშნული გაჩერებიდან. ავტობუსის და ტროლეიბუსის მძღოლები კი მხოლოდ მაშინ იწყებენ მოძრაობას, როცა დარწმუნდებიან, რომ მათ გზას უთმობენ. მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების გაჩერება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მონიშნული გასაჩერებელი მოედნიდან, ხოლო როცა ის არ არის - სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების ადგილის მაჩვენებლიდან 15 მეტრზე ახლოს, თუ ეს აბრკოლებს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას.

5.13

5.13 ტრამვაის გაჩერების ადგილი

მიუთითებს ტრამვაის მონიშნულ გაჩერების ადგილზე. მძღოლმა გზა უნდა დაუთმოს სავალი ნაწილის შუაში, თანმხვედრი მიმართულებით მოძრავ ტრამვაის მონიშნულ გაჩერებაზე მდგომ ტრამვაისკენ მიმავალ ან ტრამვაის კარის მხრიდან მომავალ ქვეითებს.

5.14 მსუბუქი ტაქსის გაჩერების ადგილი

5.14

მიუთითებს მსუბუქი ტაქსის მონიშნულ გაჩერების ადგილზე. მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების გაჩერება ტაქსის მონიშნული გასაჩერებელი მოედნიდან, ხოლო როცა ის არ არის - ტაქსის გაჩერების ადგილის მაჩვენებლიდან 15 მეტრზე ახლოს, თუ ეს აბრკოლებს მსუბუქი ტაქსის მოძრაობას.

5.15

5.15 დგომის ადგილი

ნიშანი გამოიყენება ტრანსპორტისათვის სპეციალურად გამოყოფილი სადგომი მოედნების მისათითებლად.

შეიძლება დაიდგას 7.6.1 , 7.6.2 , 7.6.3 , 7.6.4 , 7.6.5 , 7.6.6 , 7.6.7 , 7.6.8 , 7.6.9 დაფებთან ერთად – რაც მიუთითებს ავტომობილებისა და მოტოციკლების ტროტუართან დაყენების ხერხებზე.

შეიძლება დაიდგას ასევე 7.7 , 7.8 , 7.9 დაფებთანაც და მიუთითოს შესაბამისი მოქმედებები.

5.16.1 5.16.2 ქვეითთა გადასასვლელი

5.16.1 და 5.16.2 ნიშნები იდგმება გზაზე ქვეითთა ორგანიზებული გადასასვლელის აღსანიშნავად. ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ჰორიზონტალური მონიშვნის ხაზებთან ერთად,ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში 5.16.2 იდგმება გზის მარჯვნივ გადასასვლელის ახლო საზღვართან,ხოლო 5.16.1 გზის მარცხნივ გადასასვლელის შორ საზღვართან (ანუ გადასასვლელის შემდეგ).

5.16.1

5.16.2

5.17.1

5.17.2

5.17.1 5.17.2 ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი

ნიშნები მიუთითებს ქვეითთა მიწისქვეშა გასასვლელის მდებარეობის შესახებ. ქვეითი ვალდებულია გზის სავალი ნაწილი გადაკვეთოს მხოლოდ მიწისქვეშა გადასასვლელის საშუალებით.

5.17.3 5.17.4 ქვეითთა მიწისზედა გადასავლელი

ნიშნები მიუთითებს ქვეითთა მიწისზედა გასასვლელის მდებარეობის შესახებ. ქვეითი ვალდებულია გზის სავალი ნაწილი გადაკვეთოს მხოლოდ მიწისზედა გადასასვლელის საშუალებით.

5.17.3

5.17.4

5.18.

5.18 რეკომენდირებული სიჩქარე

მიუთითებს სიჩქარეს, რომლითაც რეკომენდებულია მოძრაობა გზის მოცემულ მონაკვეთზე. ნიშნის მოქმედება ვრცელდება ნიშნიდან უახლოეს გზაჯვარედინამდე, ხოლო 5.18 ნიშნის გამაფრთხილებელ ნიშანთან ერთად გამოყენებისას მოქმედების ზონა განისაზღვრება სახიფათო უბნის სიგრძით. ეს ნიშანი იძლევა რეკომენდაციას იმოძრაოთ მითითებული სიჩქარით, თუმცა დასაშვებია ნაკლები სიჩქარით მოძრაობაც,მაგრამ ისე ,რომ ხელი არ შეეშალოს სხვა ტრანსპორტს.

5.19.1. 5.19.2 5.19.3 ჩიხი

ეს ნიშები მიუთითებენ რომ პირდაპირ გამავალ, ან მარჯვნიდან/მარცხნიდან მიერთებულ გზას არა აქვს გამჭოლი გასასვლელი.ნიშანი იდგმება გზის დასაწყისში, ან სავალი ნაწილების გადაკვეთამდე.

ეს ნიშნები არ კრძალავენ მოძრაობას იმ გზაზე, რომელსაც არა აქვს გამჭოლი მოძრაობა.

5.19.1

5.19.2

5.19.3

5.20.1

5.20.1 მიმართულებათა წინასწარი მაჩვენებელი

მიუთითებენ დასახლებული პუნქტებისაკენ და სხვა ობიექტებისაკენ მოძრაობის მიმართულებას. 5.20.1 ნიშანი გამოიყენება აგრეთვე გზის იმ მონაკვეთის შემოვლის მისათითებლად, რომელზედაც დადგმულია ერთ-ერთი 3.11–3.15 ამკრძალავი ნიშნებიდან. 5.20.1 ნიშანზე აღიბეჭდება აგრეთვე 5.29.1 „გზის (მარშრუტის) ნომერი და მიმართულება“ ნიშნის გამოსახულება, ავტომაგისტრალის, აეროპორტის სიმბოლოები, სპორტული და სხვა პიქტოგრამები, ასევე აღიბეჭდება სხვა ისეთი ნიშნების გამოსახულებები, რომლებიც იძლევა ინფორმაციას მოძრაობის თავისებურებებზე. 5.20.1 ნიშნის ქვემო ნაწილზე მითითებულია მანძილი ნიშნის დადგმის ადგილიდან გზაჯვარედინამდე ან დამუხრუჭების ზოლის დასაწყისამდე. დაუსახლებელ პუნქტში დადგმული 5.20.1 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით. დასახლებულ პუნქტში დადგმულ 5.20.1 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე მოცემული დასახლებული პუნქტიდან გასვლის შემდეგ ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით, თეთრი ფონი კი აღნიშნავს, რომ მითითებული ობიექტი მოცემულ დასახლებულ პუნქტშია. ნიშნებს დგავენ გზაჯვარედინამდე ან შენელების ზონის დაწყებამდე არანაკლებ 300 მეტრში,ხოლო დასახლებულ პუნქტებში არანაკლებ 50 მეტრში. ავტობანზე იდგმება დამუხრუჭების ზოლამდე 800 მეტრში.

5.20.2 მიმართულების წინასწარი მაჩვენებელი

5.20.2

მიუთითებენ დასახლებული პუნქტებისაკენ მოძრაობის მიმართულებას. 5.20.2 ნიშანზე აღიბეჭდება აგრეთვე 5.29.1 „გზის (მარშრუტის) ნომერი და მიმართულება“ ნიშნის გამოსახულება, ავტომაგისტრალის, აეროპორტის სიმბოლოები, სპორტული და სხვა პიქტოგრამები. დაუსახლებელ პუნქტში დადგმული 5.20.2 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით. დასახლებულ პუნქტში დადგმულ 5.20.2 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე მოცემული დასახლებული პუნქტიდან გასვლის შემდეგ ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით, თეთრი ფონი კი აღნიშნავს, რომ მითითებული ობიექტი მოცემულ დასახლებულ პუნქტშია. ნიშნები იკიდება გზაჯვარედინის წინ დაუსახლებელ პუნქტებში 100 მ., ხოლო დასახლებულში–არანაკლებ 50 მ-ში.

5.20.3

5.20.3 მოძრაობის სქემა

ნიშანი მიუთითებს მოძრაობის მარშრუტს, გზაჯვარედინზე ცალკეული მანევრების აკრძალვაზე და ნებადართულ მიმართულებებს რთულ გზაჯვარედინზე.

ნიშანი იდგმება გზაჯვარედინის წინ დასახლებულ პუნქტში 50-100 მ,დაუსახლებელში 150-300მ.

5.21.1 მიმართულების მაჩვენებელი”

5.21.1

მიუთითებს დასახლებული პუნქტებისაკენ და სხვა ობიექტებისაკენ მოძრაობის მიმართულებაზე. ნიშანზე შეიძლება დატანილი იყოს მანძილი მასზე აღნიშნულ ობიექტამდე, აგრეთვე ავტომაგისტრალის, აეროპორტის სიმბოლოები და სხვა პიქტოგრამები. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზაჯვარედინის ან გადასხვევის წინ. დაუსახლებელ პუნქტში დადგმულ 5.21.1 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით. დასახლებულ პუნქტში დადგმულ 5.21.1 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე მოცემული დასახლებული პუნქტიდან გასვლის შემდეგ ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით, თეთრი ფონი კი აღნიშნავს, რომ მითითებული ობიექტი მოცემულ დასახლებულ პუნქტშია.

5.21.2

5.21.2 მიმართულებების მაჩვენებელი

მიუთითებს დასახლებული პუნქტებისაკენ და სხვა ობიექტებისაკენ მოძრაობის მიმართულებებს (მოძრაობის მიმართულებები მარშრუტის პუნქტებისაკენ). ნიშანზე შეიძლება დატანილი იყოს მანძილი მასზე აღნიშნულ ობიექტამდე. აგრეთვე ავტომაგისტრალის, აეროპორტის სიმბოლოები და სხვა პიქტოგრამები. ნიშანი იდგმება უშუალოდ გზაჯვარედინის ან გადასახვევის წინ. დაუსახლებელ პუნქტში დადგმული 5.21.2 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით. დასახლებულ პუნქტში დადგმულ 5.21.2 ნიშანზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე მოცემული დასახლებული პუნქტიდან გასვლის შემდეგ ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით, თეთრი ფონი კი აღნიშნავს, რომ მითითებული ობიექტი მოცემულ დასახლებულ პუნქტშია, ან გადასახვევების წინ.



5.22

5.22 დასახლებული პუნქტის დასაწყისი

მიუთითებს დასახელებას და დასახლებული პუნქტის დასაწყისს. ნიშნის მოქმედების ზონაში (5.23 ნიშნამდე) მოქმედებს დასახლებულ პუნქტში მოძრაობის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნები.

5.23

5.23 დასახლებული პუნქტის დასასრული

მიუთითებს 5.22. ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს, ადგილს, საიდანაც მოცემულ გზაზე ძალას კარგავს დასახლებულ პუნქტში მოძრაობის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნები.

5.24

5.24 დასახლებული პუნქტის დასაწყისი

ნიშანი ლურჯ ფონზეა და გვიჩვენებს მიუთითებს დასახელებას და დასახლებული პუნქტის დასაწყისს, სადაც მოცემულ გზაზე არ მოქმედებს დასახლებულ პუნქტში მოძრაობის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნები.

5.25

5.25 დასახლებული პუნქტის დასასრული

მიუთითებს 5.24 ნიშნით აღნიშნული დასახლებული პუნქტის დასასრულზე.

5.26

5.26 ობიექტის დასახელება
მიუთითებს დასახლებული პუნქტისაგან განსხვავებული ობიექტის დასახელებას (მდინარე, ტბა, უღელტეხილი, ღირსშესანიშნაობა და სხვა). იდგმება უშუალოდ ობიექტის წინ ან წინასწარ 7.1.1, 7.1.3 ან 7.1.4 „მანძილი ობიექტამდე“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნებთან ერთად.

5.27 მანძილის აღნიშვნა
გვიჩვენებს მანძილს მარშრუტზე მდებარე დასახლებულ პუნქტებამდე კმ-ში.

5.27

5.28

5.28 კილომეტრის აღმნიშვნელი ნიშანი
გვიჩვენებს მანძილს გზის დასაწყისამდე ან ბოლომდე კმ-ში

5.29.1 გზის (მარშრუტის) ნომერი და მიმართულება
გვიჩვენებს გზისთვის (მარშრუტისათვის) მინიჭებულ ნომერს.
მწვანე ფონით იდგმება ავტომაგისტრალზე,ხოლო ლურჯით–საავტომობილო გზებზე.
ასო "E" გვიჩვენებს, რომ გზა შედის ევრომაგისტრალების სისტენაში,ხოლო ციფრი აღნიშნავს – ნომერს. იდგმება გზის დასაწყისში და მეორდება ყოველ 15–20 კმ-ში.

5.29.1



5.29.2

5.29.2 სვლაგეზის (მარშრუტის) ნომერი და მიმართულება
გვიჩვენებს გზის (მარშრუტის) ნომერს და მიმართულებას. იდგმება გზაჯვარედინების წინ.

5.30.1 მოძრაობის მიმართულება სატვირთო ავტომობილისათვის
მიუთითებს მოძრაობის რეკომენდებულ, ამ შემთხვევაში პირდაპირ, მიმართულებას სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანისათვის, თუ გზაჯვარედინზე მათი ერთ-ერთი მიმართულებით მოძრაობა აკრძალულია.

5.30.1

5.30.2

5.30.2 მოძრაობის მიმართულება სატვირთო ავტომობილისათვის
მიუთითებს მოძრაობის რეკომენდებულ, ამ შემთხვევაში მარჯვნივ, მიმართულებას სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანისათვის, თუ გზაჯვარედინზე მათი ერთ-ერთი მიმართულებით მოძრაობა აკრძალულია.

5.30.3 მოძრაობის მიმართულება სატვირთო ავტომობილისათვის
მიუთითებს მოძრაობის რეკომენდებულ, ამ შემთხვევაში მარცხნივ, მიმართულებას სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანისათვის, თუ გზაჯვარედინზე მათი ერთ-ერთი მიმართულებით მოძრაობა აკრძალულია.

5.30.3

5.31

5.31 შემოვლის სქემა

მიუთითებს მოძრაობისათვის დროებით დაკეტილი გზის მონაკვეთის შემოვლის მარშრუტს. იდგმება უშუალოდ შემოვლის ზონის დაწყების წინ,ან წინასწარ დაუსახლებელ პუნქტში 150-300 მ,დასახლებულში გზაჯვარედინამდე 50-100 მ.

5.32.1

5.32.2

5.32.3

5.32.1. 5.32.2 5.32.3 შემოვლის მიმართულება

მიუთითებს დროებით დაკეტილი გზის მონაკვეთის შემოვლის მიმართულებაზე პირდაპირ, მარჯვნივ ან მარცხნივ. ნიშანი იდგმება შემოვლის დაწყების წინ და მეორდება ყველა გზაჯვარედინზე, რომელიც მდებარეობს შემოვლის მარშრუტზე.

5.33 სდექ ხაზი

5.33

მიუთითებს ტრანსპორტის გაჩერების ადგილს შუქნიშნის (მარეგულირებლის) ამკრძალავ სიგნალზე.

იდგმება გზის მარჯვენა მარეს, ან ჩამოკიდებულია გზის სავალი ნაწილის ზემოთ და ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ჰორიზონტალური მონიშვნის "სდექ" ხაზთან ერთად.

5.34.1

5.34.1 სხვა სავალ ნაწილზე გადაადგილების წინასწარი მაჩვენებელი

მიუთითებს მოძრაობისათვის დაკეტილი სავალი ნაწილის მონაკვეთის შემოვლის მიმართულებას გზაზე, რომელსაც აქვს გამყოფი ზოლი.

5.34.2 სხვა სავალ ნაწილზე გადაადგილების წინასწარი მაჩვენებელი

ნაჩვენებია მოძრაობის მიმართულება მარჯვენა სავალ ნაწილზე დასაბრუნებლად.

5.34.2

5.35

5.35 რევერსიული მოძრაობა მიუთეთებს გზის მონაკვეთის დასაწყისზე, სადაც ერთ ან რამდენიმე ზოლზე მოძრაობის მიმართულება იცვლება საპირისპიროდ.

5.36 რევერსიული მოძრაობის დასასრული

მიუთითებს 5.35 „რევერსული მოძრაობა“ ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს.

5.36

5.37

5.37 რევერსიული მოძრაობის გზაზე გასვლა
მიუთითებს, რომ გადამკვეთ გზაზე ან მის რამდენიმე ზოლზე ორგანიზებულია რევერსული მოძრაობა. ნიშანი იდგმება რევერსულ მოძრაობიანი გზის ყველა გასასვლელის წინ.

5.38 საცხოვრებელი ზონა
მიუთითებს რომ ტრანსპორტი მოძრაობს საცხოვრებელ ზონაში,სადაც ქვეითთა მოძრაობა ნებადართულია როგორც ტროტუარზე–ისევე სავალ ნაწილზე. აქ უპირატესობა ენიჭება ქვეითს, მაგრამ მან არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება ტრანსპორტს. დასაშვები სიჩქარეა 20 კმ/სთ.

5.38

5.39

5.39 საცხოვრებელი ზონის დასასრული
მიუთითებს 5.38 „საცხოვრებელი ზონა“ნიშნის მოქმედების ზონის დასასრულს.

დაუსახლებელ პუნქტში დადგმული 5.20.1, 5.20.2, 5.21.1 და 5.21.2 ნიშნებზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით.

დასახლებულ პუნქტში დადგმულ 5.20.1, 5.20.2, 5.21.1 და 5.21.2 ნიშნებზე მწვანე ან ლურჯი ფონი აღნიშნავს, რომ მოძრაობა მითითებულ დასახლებულ პუნქტამდე ან ობიექტამდე მოცემული დასახლებული პუნქტიდან გასვლის შემდეგ ხორციელდება შესაბამისად ავტომაგისტრალით ან სხვა გზით, თეთრი ფონი კი აღნიშნავს, რომ მითითებული ობიექტი მოცემულ დასახლებულ პუნქტშია.

თემა # 8
საგზაო ნიშნები და მათი დახასიათება

6. მომსახურების (სერვისის) ნიშნები

სერვისის ნიშნები საგზაო მოძრაობის მონაწილეებს აძლევენ ინფორმაციას შესაბამისი ობიექტის მდებარეობაზე. სერვისის ნიშნები წარმოადგენს ცისფერი ფონის სწორკუთხედს, რომელზეც დატანილია უფრო მცირე ზომის თეთრი სწორკუთხედი შავი ან წითელი ფერის აღნიშვნებით, ხოლო ნიშნის ქვედა მხარეს ცისფერი ზოლში თეთრი ფერის აღნიშვნებით შეიძლება ნაჩვენები იყოს მანძილი და მიმართულების მაჩვენებელი ისარი ობიექტამდე ან ასევე წარწერა ობიექტის დასახელებით.

ნიშნები დგება ობიექტების წინ ან წინასწარ. დაუსახლებელ პუნქტებში ნიშნებს წინასწარ დგავენ 60-80 კმ-ზე, 15-20 კმ-ზე და 400-800 მ-ზე ნიშანზე მითითებულ ობიექტამდე. გარდა ამისა, დასახლებულ პუნქტებში სერვისის ნიშნები წინასწარ მითითებულ ობიექტამდე 100-150 მ მანძილზე უნდა დაიდგას.

6.1

6.1 პირველი სამედიცინო დახმარების პუნქტი
ნიშანი აძლევს ინფორმაციას იმ ობიექტის შესახებ, სადაც შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

6.2

6.2 საავადმყოფო

ობიექტი, სადაც დაზარალებულს შეიძლება აღმოუჩინოთ სამედიცინო დახმარება და მოთავსდეს სტაციონარში.

6.3

6.3 ავტოგასამართი სადგური

მიუთითებს ობიექტს, სადაც შეიძლება ავტომობილის გამართვა საწვავ-საპოხი მასალებით.

6.4

6.4 ავტოტექ.მომსახურების სადგური

ობიექტი, სადაც შესაძლებელია მანქანას ჩაუტარდეს ტექნიკური მომსახურება.

6.5

6.5 ავტოსამრეცხაო

მიუთითებს ობიექტს, სადაც შეიძლება ავტომობილის გარეცხვა.

6.6

6.6 ტელეფონი

მიუთითებს ტელეფონ-ავტომატის ან კავშირგაბმულობის სამსახურის მდებარეობის შესახებ.

6.7

6.7 კვების პუნქტი

ნიშანი მიუთითებს კვების ობიექტის მდებარეობის შესახებ.

6.8

6.8 სასმელი წყალი

ნიშანი მიუთითებს სასმელი წყლის ადგილმდებარეობის შესახებ.

6.9

6.9 სასტუმრო ან მოტელი

ნიშანი მიუთითებს იმ ობიექტის (სასტუმრო მოტელი) ადგილმდებარეობის შესახებ,სადაც მძღოლს და მგზავრებს შეუძლიათ გაჩერდნენ და დაისვენონ.

6.10

6.10 კემპინგი

ნიშანი მიუთითებს ტურისტთა დასასვენებელი ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ.

6.11

6.11 დასვენების ადგილი

ნიშანი მიუთითებს გზის მახლობლად დასასვენებელი ადგილის მდებარეობაზე მანძილისა და მიმართულების ჩვენებით.

6.12

6.12 საპატრულო პოლიციის საგუშაგო

ნიშანი მიუთითებს საპატრულო პოლიციის საგუშაგოს ადგილმდებარეობის შესახებ.

აღნიშნულ ნიშნებზე შესაძლოა აღინიშნოს ობიექტამდე დარჩენილი მანძილი ან მიმართულება.

7. <u>დამატებითი ინფორმაციის ნიშნები ნიშნები (დაფები)</u>

დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით ზუსტდება ძირითადი ნიშნების მოქმედების ზონა, დრო, მანძილი ობიექტამდე, მოქმედების მიმართულება და სხვა, ან იზღუდება მათი მოქმედება.

აღნიშნული ნიშნები შემოღებულია ყველა სხვა ნიშნების შეზღუდვისა და დაზუსტებისათვის. აღნიშნავს თუ რომელ ტრანსპორტს ეკრძალება გავლა, აგრეთვე მიუთითებს ნიშნის მოქმედების ზონას, დროს, მანძილს ობიექტამდე, მოქმედების მიმართულებას და სხვა.

დამატებითი ინფორმაციის ნიშნები (დაფები) წარმოადგენენ თეთრი ფერის სწორკუთხედს შავი არშიით და შავი, წითელი ან ყვითელი აღნიშვნებით. გამონაკლისია წითელ ფონზე შავი სიმბოლოებით შესრულებული საგზაო ნიშანი 7.19 - საშიში ტვირთი.

დამატებითი ინფორმაციის ნიშნები (დაფები) თავსდება უშუალოდ იმ ნიშნის ქვემოთ, რომელთანაც ის გამოიყენება. 7.2.2-7.2.4, 7.13 დაფები თავსდება ნიშნის გვერდით, თუ ეს ნიშანი განლაგებულია სავალი ნაწილის, გზისპირის ან ტროტუარის ზემოთ.

<u>სულ არის 50 სახის დამატებითი ინფორმაციის ნიშანი (დაფა).</u>



7.1.1

7.1.1 მანძილი ობიექტამდე

მიუთითებს მანძილს ნიშნიდან სახიფათო მონაკვეთის დასაწყისამდე, სათანადო შეზღუდვის შემოტანის ადგილამდე ან წინ, მოძრაობის მიმართულებით არსებულ გარკვეულ ობიექტამდე (ადგილამდე).

მაფრთხილებელ ნიშნებთან გამოყენების დროს ის მიუთითებს მანძილს ნიშნიდან სახიფათო უბნის დაწყებამდე;

პრიორიტეტისა და ამკრძალავ ნიშნებთან გამოყენების დროს წინასწარ მიუთითებს ადგილს, საიდანაც იწყება ნიშნის მოქმედება;

საინფორმაციო–მაჩვენებელ ნიშნებთან გამოყენების დროს იძლევა ინფორმაციას დგომის ადგილის, ავტობანის დაწყება-დამთავრების შესახებ და ა.შ;

ყურადღებით !!!

7.1.1 ; 7.1.2 ; 7.1.3 ; 7.1.4 ნიშნების დანიშნულების ცოდნა აუცილებელია !!!

არ აგერიოთ "მოქმედების ზონა"– ნიშნებთან!!!

7.1.2 მანძილი ობიექტამდე

მიუთითებს მანძილს 2.4 „დაუთმე გზა“ ნიშნიდან გზაჯვარედინამდე, თუ უშუალოდ გზაჯვარედინის წინ დადგმულია ნიშანი 2.5 „გაუჩერებლად გავლა აკრძალულია“.

7.1.2



7.1.3



7.1.4

7.1.3 7.1.4 მანძილი ობიექტამდე

ეს და 7.1.4 ნიშნები მიუთითებენ მანძილს ობიექტამდე და მის მდებარეობას გზის მარცხნივ ან მარჯვნივ. ძირითადად გამოიყენება 5.1 , 5.3 , 5.15 , 5.16.1 , 5.16.2 , 5.17.1 , 5.17.2 , 5.17.3 , 5.17.4 საინფორმაციო მაჩვენებელ ნიშნებთან ერთად და მიუთითებენ მანძილს და მიმართულებას ავტობანამდე, საავტომობილო გზამდე, დგომის ადგილამდე, ქვეითთა გადასასვლელამდე და ა.შ.

7.2.1 მოქმედების ზონა

მიუთითებს გამაფრთხილებელი ნიშნებით აღნიშნული გზის სახიფათო მონაკვეთის სიგრძეს ან ამკრძალავი და საინფორმაციო-მაჩვენებელი ნიშნების მოქმედების ზონას.

7.2.1

7.2.2

7.2.2 მოქმედების ზონა

ეს ნიშანი 3.27 , 3.28 , 3.29 და 3.30 ამკრძალავ ნიშნებთან ერთად მიუთითებს რომ ამ ნიშნების მოქმედების ზონაა დაფაზე მითითებული მანძილი (ამ შემთხვევაში 10 მეტრი).

7.2.3 მოქმედების ზონა

ნიშანი მიუთითებს 3.27 , 3.28 , 3.29 და 3.30 ამკრძალავი ნიშნების მოქმედების ზონის დასასრულზე.

7.2.3

7.2.4

7.2.4 მოქმედების ზონა

ნიშანი მიუთითებს 3.27 , 3.28 , 3.29 და 3.30 ამკრძალავი ნიშნების მოქმედების ზონაში ყოფნის თაობაზე.

როგორც წესი–იდგმება 7.2.2 და 7.2.3 ნიშნების შუაში (რათა კიდევ ერთხელ შეახსენოს მძღოლს აკრძალვის ზონაში ყოფნის შესახებ).

7.2.5 7.2.6 მოქმედების ზონა

ეს ნიშნები მიუთითებენ 3.27 , 3.28 , 3.29 და 3.30 ამკრძალავი ნიშნების მოქმედების მიმართულებასა და მოქმედების ზონაზე მოედნების, შენობის ფასადების გასწვრივ დგომისა და (ან) გაჩერების აკრძალვისას.



7.2.5



7.2.6

7.2.2 მიუთითებს 3.27–3.30 ამკრძალავი ნიშნების მოქმედების ზონას;
7.2.3 მიუთითებს 3.27–3.30 ნიშნების მოქმედების ზონის დასასრულს;
7.2.4 მძღოლს აწვდის ინფორმაციას 3.27–3.30 ნიშნების მოქმედების ზონაში მისი ყოფნის შესახებ;
7.2.5, 7.2.6 მიუთითებენ 3.27–3.30 ნიშნების მიმართულებისა და მოქმედების ზონას გაჩერებისა და დგომის აკრძალვისას მოედნის, შენობის ფასადისა და ა. შ. ერთი მხარის გასწვრივ

7.3.1

7.3.2

7.3.3

7.3.1 7.3.2 7.3.3 მოქმედების მიმართულება

ეს ნიშნები მიუთითებენ გზაჯვარედინების წინ დადგმული სხვა საგზაო ნიშნების მოქმედების მიმართულებაზე,აგრეთვე, უშუალოდ გზასთან ახლოს მდებარე ობიექტებისაკენ მოძრაობის მომართულებაზე.

7.4.1

7.4.1 სატრანსპორტო საშუალების სახეობა

დაფა ავრცელებს ნიშნის მოქმედებას იმ სატვირთო ავტომობილებზე(მათ შორის მისაბმელიანზე), რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3.5 ტონას (ანუ მეტია 3.5 ტონაზე).

7.4.2 სატრანსპორტო საშუალების სახეობა

7.4.2

დაფა ნიშნის მოქმედებას ავრცელებს ყველა სახის მისაბმელიან სატვირთო ავტომობილებზე და ტრაქტორებზე, აგრეთვე იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ახორციელებენ ბუქსირებას.

7.4.3

7.4.3 სატრანსპორტო საშუალების სახეობა

დაფა ავრცელებს ნიშნის მოქმედებას ავტომობილებზე ,მათ შორის იმ სატვირთო ავტომობილებზეც, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა ტოლია ან ნაკლებია 3.5 ტონაზე.

7.4.4 სატრანსპორტო საშუალების სახეობა


7.4.4

დაფა ნიშნის მოქმედებას ავრცელებს ავტობუსებზე, აგრეთვე იმ სატვირთო ავტომობილებზე, რომლებიც მოწყობილია მგზავრთა გადასაყვანად.

7.4.5

7.4.5 სატრანსპორტო საშუალების სახეობა

დაფა ავრცელებს ნიშნის მოქმედებას მხოლოდ ტრაქტორებზე და თვითმავალ მანქანებზე.

7.4.6 სატრანსპორტო საშუალების სახეობა

7.4.6

დაფა ნიშნის მოქმედებას ავრცელებს მოტოციკლებზე (მოტოეტლზე) და ოთხთვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა წონა დაუტვირთავად არ აღემატება 400 კილოგრამს.

7.4.7

7.4.7 სატრანსპორტო საშუალების სახეობა

დაფა ავრცელებს ნიშნის მოქმედებას მხოლოდ ველოსიპედებზე.

7.4.8 სატრანსპორტო საშუალების სახეობა


7.4.8

დაფა ნიშნის მოქმედებას ავრცელებს საცნობი ნიშნით „საშიში ტვირთი“ აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებებზე.

7.5.1

7.5.1 შაბათის, კვირის და სადღესასწაულო დღეებში

დაფა მიუთითებს, რომ ნიშანი მოქმედებს მხოლოდ შაბათ-კვირასა და სადღესასწაულო დღეებში.

7.5.2 სამუშაო დღეს

7.5.2

დაფა მიუთითებს,რომ ნიშანი მოქმედებს მხოლოდ სამუშაო დღეებში.



7.5.3

7.5.3 კვირის დღეებს

დაფა მიუთითებს, რომ ნიშანი მოქმედებს მხოლოდ დაფაზე ნაჩვენებ კვირის განსაზღვრულ დღეებში (ამ შემთხვევაში მხოლოდ ორშაბათსა და სამშაბათს).

7.5.4 მოქმედების დრო



7.5.4

ეს , 7.5.5 , 7.5.6 , 7.5.7 დაფები გამოიყენება ამკრძალავ, მიმთითებელ, საინფორმაციო–მაჩვენებელ ნიშნებთან ერთად და მიუთითებენ დღე-ღამის საათებსა და კვირის იმ დღეებზე, რომლის დროსაც მოქმედებენ ნიშნები.

7.6.1

7.6.2

7.6.3

7.6.4

7.6.5

7.6.6

7.6.7

7.6.8

7.6.9

სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი

ეს დაფები გამოიყენება 5.15 "დგომის ადგილი" საინფორმაციო-მაჩვენებელ ნიშანთან ერთად და მიუთითებენ ავტომობილებისა და მოტოციკლეტების დაყენების ხერხებზე ტროტუართან ან ტროტუარზე.

7.6.1 მიუთითებს, რომ სადგომზე ყველა სატრანსპორტო საშუალება უნდა დადგეს სავალ ნაწილზე ტროტუარის გასწვრივ;

7.6.2–7.6.9 მიუთითებენ მსუბუქი ავტომობილისა და მოტოციკლის დაყენების ხერხზე ტროტუართან მიმდებარე სადგომზე.

7.7

7.7 დგომა გამორთული ძრავით

დაფა მიუთითებს რომ 5.15 ნიშნით აღჭურვილ სადგომზე დგომა შეიძლება მხოლოდ გამორთული ძრავით.

7.8 ფასიანი მომსახურება

7.8

მიუთითებს, რომ მომსახურება ხდება მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით.



7.9

7.9 დგომის ხანგრძლივობის შეზღუდვა”

მიუთითებს 5.15 “დგომის ადგილი“ ნიშნით აღნიშნულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალებათა დგომის მაქსიმალურ ხანგრძლივობაზე.

7.10 ავტომობილის დათვალიერების ადგილი


7.10

დაფა მიუთითებს, რომ **5.15** ან **6.11** ნიშნებით მითითებულ მოედნებზე მოწყობილია ესტაკადა ან დასათვალიერებელი თხრილი.



7.11

7.11 ნებადართული მაქსიმალური მასის შეზღუდვა

დაფა მიუთითებს,რომ ნიშნის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ტრანსპორტზე, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება დაფაზე მითითებულ სიდიდეს. (ეს სიდიდე შეიძლება შეიცვალოს)

7.12 სახიფათო გზისპირი

7.12

მიუთითებს, რომ გზისპირზე გადასვლა სახიფათოა მასზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, და გამოიყენება 1.23 „საგზაო სამუშაოები“

ნიშანთან ერთად.

7.13

7.13 მთავარი გზის მიმართულება

მიუთითებს მთავარი გზის მიმართულებას გზაჯვარედინზე და გამოიყენება გზაჯვარედინის წინ დადგმული 2.1 „მთავარი გზა“, 2.4 „დაუთმე გზა“, და 2.5 „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“ ნიშნებთან ერთად.

7.14 მოძრაობის ზოლი

7.14

დაფა გამოიყენება ამკრძალავ და მიმთითებელ ნიშნებთან ერთად და მიუთითებს ზოლზე, რომელზედაც ვრცელდება ნიშნის ან შუქნიშნის მოქმედება.

7.15

7.15 უსინათლო ქვეითი

დაფა მიუთითებს, რომ ქვეითთა გადასასვლელით სარგებლობს უსინათლო და გამოიყენება ქვეითთა გადასასვლელის აღმნიშვნელ 1.20, 5.16.1, 5.16.2 ნიშნებთან და შუქნიშნებთან ერთად.

"სველი საფარი"

7.16

დაფა მიუთითებს, რომ ნიშნის მოქმედება ვრცელდება მანამ, სანამ სავალი ნაწილის საფარი სველია.

7.17

7.16 ინვალიდი

დაფა მიუთითებს, რომ 5.15 ნიშნის მოქმედება ვრცელდება იმ მოტოეტლსა და ავტომობილზე,, რომელსაც მართავენ ინვალიდები და რომელზედაც დაყენებულია საცნობი ნიშანი „ინვალიდი”.

7.18 გარდა ინვალიდისა

7.18

დაფა მიუთითებს, რომ ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება იმ მოტოეტლსა და ავტომობილზე,, რომელსაც მართავენ ინვალიდები და დადგმულია საცნობი ნიშანი „ინვალიდი”.

7.19

7.19 საშიში ტვირთი

მიუთითებს საშიში ტვირთის კლასის (კლასების) ნომერს 19433-88 სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, რომელთა გადამტან სატრანსპორტო საშუალებებზე ვრცელდება ნიშნის მოქმედება.

დაფა თავსდება უშუალოდ იმ ნიშნის ქვემოთ, რომელთანაც ის გამოიყენება.

7.2.2–7.2.4, 7.13 დაფები თავსდება ნიშნის გვერდით, თუ ეს ნიშანი განლაგებულია სავალი ნაწილის, გზისპირის ან ტროტუარის ზემოთ. თუ დროებითი (გადასატანი სადგარი) და სტაციონარული საგზაო ნიშნები ურთიერთსაპირისპიროა, მძღოლი ხელმძღვანელობს დროებითი ნიშნებით.

შეიძლება შეგვხვდეს სხვა დაფებიც, რომელიც არ ზღუდავენ მოძრაობას, არამედ ეხმარებიან მძღოლებს.

თემა # 9
საგზაო მონიშვნა და მათი დახასიათება

1. ჰორიზონტალური მონიშვნა

ჰორიზონტალური მონიშვნა (ხაზი, ისარი, წარწერა და სხვა აღნიშვნები სავალ ნაწილზე) აწესებს მოძრაობის გარკვეულ რეჟიმებსა და წესრიგს. ჰორიზონტალური მონიშვნა თეთრი ფერისაა, გარდა ყვითელი ფერის 1.4, 1.10 და 1.17 ხაზებისა.



1.1. ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს და გზის სახიფათო მონაკვეთზე აღნიშნავს:

- მოძრაობის ზოლების საზღვრებს;
- აღნიშნავს სავალი ნაწილის საზღვრებს, რომლებზედაც შესვლა აკრძალულია;
- აღნიშნავს სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილის საზღვრებს და იმ გზის სავალი ნაწილის ნაპირებს, რომლებიც მოძრაობის პირობებით არ განეკუთვნება ავტომაგისტრალს.

- ამ ხაზის გადაკვეთა აკრძალულია !
- დასაშვებია მხოლოდ სავალი ნაპირის აღმნიშვნელი და მძღოლის მარჯვენა მხარეს მხარეს მდებარე ხაზის გადაკვეთა ტრანსპორტის გვერდულთან გაჩერების მიზნით !

იმ შემთხვევაში, როდესაც სადგარზე განლაგებული დროებითი საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის ხაზების მნიშვნელობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მძღოლებმა უნდა იხელმძღვანელონ (პრიორიტეტი მიანიჭონ) ნიშნებით !!!



1.2 - ხაზი (მთლიანი ფართო ხაზი) – აღნიშნავს ავტომაგისტრალზე სავალი ნაწილის ნაპირებს. 1.2 ხაზის გადაკვეთა დასაშვებია სატრანსპორტო საშუალების გზის ნაპირზე გასაჩერებლად.



1.3. ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს გზაზე, რომელსაც მოძრაობის ოთხი და მეტი ზოლი აქვს.1.3 ხაზის გადაკვეთა აკრძალულია.



1.4 ყვითელი უწყვრტი ხაზი - აღნიშნავს ადგილს, სადაც აკრძალულია გაჩერება; გამოიყენება დამოუკიდებლად ან 3.27 ნიშანთან შეერთებით; იხაზება სავალი ნაწილის ნაპირთან ან ბორდიურზე ზემოდან



1.5 ხაზი - ყოფს საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს გზაზე, რომელსაც მოძრაობის ორი ან სამი ზოლი აქვს; აღნიშნავს მოძრაობის ზოლების საზღვრებს ერთი მიმართულებით მოძრაობისათვის განკუთვნილი ორი და მეტი ზოლის არსებობისას. 1.5 ხაზის გადაკვეთა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან.

1.6 ხაზი - (მიახლოების ხაზი–წყვეტილი ხაზი,რომლის შტრიხების სიგრძე სამჯერ აღემატება მათ შორის არსებულ შუალედებს)

- აფრთხილებს საპირისპირო ან თანმხვედრი მიმართულების სატრანსპორტო ნაკადების გამყოფ 1.1 ან 1.11 მონიშვნასთან მიახლოების შესახებ;
- ხაზების გადაკვეთა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან;





1.7 ხაზი (წყვეტილი ხაზი მოკლე შტრიხებითა და მისი ტოლი შუალედებით) -აღნიშნავს მოძრაობის ზოლებს გზაჯვარედინის ფარგლებში; ხაზების გადაკვეთა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან;

1.8 ხაზი (განიერი წყვეტილი ხაზი) -აღნიშნავს საზღვრებს გაქანების ან დამუხრუჭების ზოლებსა და სავალი ნაწილის ძირითად ზოლს შორის (გზაჯვარედინებზე, სხვადასხვა დონეზე გზების გადაკვეთაზე, ავტობუსების გაჩერების ზონაში და ა.შ.);
ხაზების გადაკვეთა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან;





1.9 ხაზი აღნიშნავს რევერსიულად რაგულირებული მოძრაობის ზოლების საზღვრებს, ყოფს საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს (როდესაც გამორთულია რევერსიული შუქნიშნები) გზებზე, რომლებიც რეგულირდება რევერსიულად;

1.9. ხაზის გადაკვეთა ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ის მძღოლისაგან მარჯვნივ მდებარეობს და რევერსული შუქნიშანი არ არის ან გამორთულია. როდესაც ჩართულია რევერსული შუქნიშანი, 1.9 ხაზის გადაკვეთა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან იმ შემთხვევაში, თუ ის ყოფს ზოლებს, რომლებზედაც მოძრაობა ნებადართულია ერთი მიმართულებით. რევერსული შუქნიშნის გამორთვის შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაადგილდეს მარჯვნივ - 1.9 ხაზის იქით. თუ გამორთულია რევერსული შუქნიშანი, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების გამყოფი 1.9 ხაზის გადაკვეთა აკრძალულია !

1.10 ყვითელი წყვეტილი ხაზი - აღნიშნავს ადგილებს, სადაც აკრძალულია დგომა. გამოიყენება დამოუკიდებლად ან 3.28 ამკრძალავ ნიშანთან ერთად და იხაზება სავალი ნაწილის ნაპირთან ან ბორდიურზე ზემოდან;





1.11 ხაზი ყოფს საწინააღმდეგო ან იმავე მიმართულებით მოძრავ ტრანსპორტის ნაკადებს გზების უბნებზე, სადაც გადაჯგუფება ნებადართულია მხოლოდ ერთი ზოლიდან; აღნიშნავს მობრუნების ადგილებს, სადგომი მოედნებიდან გამოსასვლელებსა და შესასვლელებს და ა.შ., სადაც მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ ერთ მხარეს;

- ხაზის გადაკვეთა ნებადართულია როგორც წყვეტილი, ასევე უწყვეტი მხრიდან, მაგრამ მხოლოდ გასწრების ან შემოვლის დამთავრებისას;

1.12 ხაზი ("სდექ"–ხაზი) უჩვენებს ადგილს,სადაც მძღოლი აუცილებლად უნდა გაჩერდეს 2.5 ნიშნის არსებობისას, ან შუქნიშნის (მარეგულირებლის) ამკრძალავ სიგნალზე;





1.13 ხაზი - აჩვენებს ადგილს,სადაც მძღოლი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაჩერდეს და გზა დაუთმოს გადასაკვეთ ქუჩაზე მოძრავ ტრანსპორტს; შეიძლება გამოყენებულ იქნას 2.4 პრიორიტეტის ნიშანთან ერთად;



1.14.1 ("ზებრა") - აღნიშნავს ქვეითთა არარეგულირებად გადასასვლელს;



1.14.2 ("ზებრა") - აღნიშნავს ქვეითთა არარეგულირებად გადასასვლელს; მონიშვნის ისრები უჩვენებენ ქვეითთა მოზრაობის მიმართულებას;



1.14.3 ხაზები აღნიშნავს ქვეითთა გადასასვლელს, სადაც მოძრაობა რეგულირდება შუქნიშნით;



1.15 ხაზები - აღნიშნავს ადგილს, სადაც საველოსიპედო ბილიკი კვეთს სავალ ნაწილს;

1.16.1 (1.16.2და 1.16.3) აღნიშნავს მიმმართველ კუნძულებს სატრანსპორტო ნაკადების გაყოფის ან შერწყმის ადგილებში;





1.17 ყვითელი ხაზი – აღნიშნავს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისა და ტაქსების სადგომებს;

1.18 აღნიშნავს გზაჯვარედინის ზოლებზე მოძრაობის ნებადართულ მიმართულებებს.გამოიყენება დამოუკიდებლად ან 5.8.1 და 5.8.2 ნიშნებთან შერწყმით;უკიდურესი მარცხენა ზოლიდან მარცხნივ მოხვევის ნებადამრთველი მონიშვნა,ამავე დროს ამ ზოლიდან მობრუნების ნებასაც იძლევა!





1.19 აფრთხილებს სავალი ნაწილის შევიწროებასთან მიახლოებას (უბანი,სადაც მცირდება მოცემული მიმართულებით მოძრაობის ზოლების რიცხვი) ან ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის ნაკადების გამყოფ 1.1 ან 1.11 მონიშვნის ხაზებთან მიახლოებას; მონიშვნა პირველ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს 1.18.1, 1.18.2 , 1.18.3 მაფრთხილებელ ნიშნებთან შერწყმით;



1.20 აფრთხილებს მძღოლს 1.13 მონიშვნასთან მიახლოების შესახებ;



1.21 (წარწერა "სდექ") აფრთხილებს 1.2 მონიშვნასთან მიახლოების შესახებ,როცა ის გამოიყენება 2.5 პრიორიტეტის ნიშანთან ერთად;

1.22 წარწერა - უჩვენებს გზის (მარშრუტის) ნომერს;





1.23 წარწერა - აღნიშნავს ზოლს,რომელიც განკუთვნილია სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის;

1.1 და 1.3 ხაზების გადაკვეთა აკრძალულია.

დასაშვებია სავალი ნაწილის ნაპირის აღმნიშვნელი და მძღოლის მარჯვენა მხარეს განლაგებული 1.1 და 1.2 ხაზების გადაკვეთა სატრანსპორტო საშუალების გზის ნაპირზე გასაჩერებლად.

1.5–1.8 ხაზების გადაკვეთა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან.

1.9. ხაზის გადაკვეთა ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ის მძღოლისაგან მარჯვნივ მდებარეობს და რევერსული შუქნიშანი არ არის ან გამორთულია. როდესაც ჩართულია რევერსული შუქნიშანი, 1.9 ხაზის გადაკვეთა ნებადართულია ნებისმიერი მხრიდან იმ შემთხვევაში, თუ ის ყოფს ზოლებს, რომლებზედაც მოძრაობა ნებადართულია ერთი მიმართულებით. რევერსული შუქნიშნის გამორთვის შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაადგილდეს მარჯვნივ – 1.9 ხაზის იქით.

თუ გამორთულია რევერსული შუქნიშანი, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების გამყოფი 1.9 ხაზის გადაკვეთა აკრძალულია.

1.11 ხაზის გადაკვეთა ნებადართულია როგორც წყვეტილი, ასევე უწყვეტი მხრიდან, მაგრამ მხოლოდ გასწრების ან შემოვლის დამთავრებისას.

თუ სადგარზე გამოსახული დროებითი საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის ხაზების მნიშვნელობა ურთიერთსაპირისპიროა, მძღოლები ხელმძღვანელობენ საგზაო ნიშნებით.

თემა # 10
საგზაო მონიშვნა და მათი დახასიათება

2. ვერტიკალური მონიშვნა

ვერტიკალური მონიშვნა, თეთრი და შავი ზოლების შეერთებით კეთდება ხიდური ნაგებობების საყრდენებზე, გვირაბების პორტალის ტორსულ ზედაპირზე, გალავანზე, პარაპეტებზე, ბორდიურებზე და გზის აღჭურვილობის სხვა ელემენტებზე, საგზოა მოძრაობის მონაწილეების მხედველობის ორიენტირების გაუმჯობესების მიზნით.


2.2
2.1
2.1
2.1


2.1


2.7
2.1



2.1 აღნიშნავს საგზაო ნაგებობების ვერტიკალურ ელემენტებს, განათების ბოძებს, ხეებს, ბუფერულ მოწყობილობებს და ა. შ. როდესაც ისინი წარმოადგენენ ხიფათს მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისათვის.

2.2. აღნიშნავს გვირაბის, ხიდის და გზაგამტარის და სხვა ნაგებობათა ელემენტების ქვედა ნაპირს, რომლების განთავსებულნი არიან 5 მ-ზე ნაკლებ სიმაღლეზე გზის სავალი ნაწილიდან და რომელთა ქვეშ მთლიანად ან ნაწილობრივ გადის გზის სავალი ნაწილი.

2.3. აღნიშნავს გამყოფ ზოლზე, ამაღლებულ მიმმართველ ან უსაფრთხოების კუნძულზე დადგმულ მრგვალ ტუმბოს (ბოძკინტს).

2.4. აღნიშნავს მიმმართველ ბოძს, ბოძკინტს, გზის შემოღობვის საყრდენსა და სხვა.

2.5. აღნიშნავს საგზაო ზღუდის მოწყობილობების გვერდით ზედაპირს გზის სწორ მონაკვეთებზე, სხვადასხვა დონის გადაკვეთებზე, 50 მ-ზე ნაკლები რადიუსიან მრუდეებზე, ციცაბო დაღმართებზე და სავალი ნაწილის შევიწროებულ ადგილებში.

2.6. აღნიშნავს საგზაო ზღუდის მოწყობილობების გვერდით ზედაპირს 2.5 მონიშვნით განსაზღვრულისგან განსხვავებულ გზის სხვა მონაკვეთებზე.

2.7. აღნიშნავს გზის სავალი ნაწილიდან 1 მ-ზე ახლოს განთავსებული ამაღლებული მიმმართველი კუნძულების, უსაფრთხოების კუნძულების, ბორდიურებისა და წინაღობების გვერდით ზედაპირს მცირერადიუსიან მრუდეებზე, გზის შევიწროებულ ადგილებში, სანაპიროებზე და სხვა სახიფათო მონაკვეთების გასასვლელებში.

თემა # 11

საგზაო მოძრაობის წესები - მძღოლის ზოგადი მოვალეობები. სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციოდ დაშვება. თანამდებობის პირთა ვალდებულებები. სატრანსპორტო საშუალებებზე დასამაგრებელი საცნობი ნიშნები

თავი V

საგზაო მოძრაობის წესები

საგზაო მოძრაობის მონაწილეთა შორიე ყველაზე აქტიური როლი სატრანსპორტო საშუალების მძღოლს და მასთან გათანაბრებულ პირებს აკისრიათ, შესაბამისად კანონმდებლობა ამ ადამიანების მიმართ გაცილებით მეტ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს აყენებს. საქართველოს კანონის "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" მე-20 მუხლი მიხედვით:

მუხლი 20. მძღოლის ზოგადი მოვალეობები

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია თან ჰქონდეს:

- იმ კატეგორიის მძღოლის მოწმობა, რომელ სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, ხოლო მძღოლის მოწმობის ჩამორთმევის შემთხვევაში – სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა;
- სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები;
- მოცემული სატრანსპორტო საშუალების ფლობის, სარგებლობის ან განმკარგულებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი – მფლობელის არყოფნის შემთხვევაში მისი სატრანსპორტო საშუალებით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ან ქვეყნის იმ ტერიტორიაზე გადასვლის შემთხვევაში, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. (24.06.2004. N206)

მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლს და მგზავრს აუცილებლად უნდა ეხუროთ შეკრული მოტოჩაფხუტი.

საერთაშორისო საგზაო მოძრაობაში მონაწილე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია:

- თან ჰქონდეს საგზაო მოძრაობის შესახებ კონვენციის შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტები და მძღოლის მოწმობა;
- სატრანსპორტო საშუალებაზე დაამაგროს იმ სახელმწიფოს სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები, სადაც ეს ტრანსპორტია რეგისტრირებული.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია:

- მგზავრობის დაწყებამდე შეამოწმოს და მგზავრობისას უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობა, მისი საექსპლუატაციოდ დაშვებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ ძირითადი დებულებების შესაბამისად;
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის კონსტრუქცია არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს) მართვისას ისარგებლოს უსაფრთხოების ღვედით და უზრუნველყოს მისგან მარჯვენა (ან მარცხენა) მხარეს მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედით სარგებლობა ავტომაგისტრალზე, გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის და ქალაქების ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზებისა; (23.06.2005.N1747)
- არ იმოძრაოს მუშა სამუხრუჭო სისტემის, საჭის მექანიზმის, მისაბმელი მოწყობილობის (მატარებლის შემადგენლობაში) გაუმართაობისას, დღე-ღამის ბნელ დროს მწყობრიდან გამოსული ჩამქრალი ფარებით (ან მათ გარეშე) და უკანა საგაბარიტო სინათლეებით გზაზე, რომელზედაც არ არის ხელოვნური განათება, ან არასაკმარისი ხილვადობის პირობებში, აგრეთვე მძღოლის მხარეს არსებული მინასაწმენდის უმოქმედობისას ნისლის, წვიმის ან თოვის დროს;
- გზაში სხვა გაუმართაობის წარმოქმნისას, რომლის დროსაც აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია, აღმოფხვრას იგი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – წაიყვანოს ტრანსპორტი სადგომში ან სარემონტო ადგილზე სიფრთხილის ყველა აუცილებელი ზომის გათვალისწინებით.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას მძღოლი ვალდებულია საგზაო პოლიციელის მოთხოვნით გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება და წარუდგინოს მას:

- იმ კატეგორიის მძღოლის მოწმობა, რომელ სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, ხოლო მძღოლის მოწმობის ჩამორთმევის შემთხვევაში – სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა;
- სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები;

თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მძღოლი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან სხვა სახის სიმთვრალის მდგომარეობაშია, საგზაო პოლიციელის მოთხოვნით მან უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება სიმთვრალე-სიფხიზლის დასადგენად.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ გააჩეროს (არ დაძრას ადგილიდან) სატრანსპორტო საშუალება, ჩართოს საავარიო მაშუქი სიგნალიზაცია;
- მიიღოს საჭირო ზომები დაშავებულისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საჭიროების შემთხვევაში გაგზავნოს დაშავებული უახლოეს სამკურნალო დაწესებულებაში გზად მიმავალი სატრანსპორტო საშუალებით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – გამოიყენოს საკუთარი სატრანსპორტო საშუალება, აცნობოს იქ თავისი გვარი, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (სახელმწიფო) ნომერი (წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მძღოლის მოწმობა და სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები) და დაბრუნდეს შემთხვევის ადგილზე;
- გაათავისუფლოს სავალი ნაწილი, თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა შეუძლებელია;
- სავალი ნაწილის გათავისუფლების, დაშავებულის საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, მოწმეთა თანდასწრებით, წინასწარ დააფიქსიროს სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, შემთხვევასთან დაკავშირებული ნაკვალევი და საგნები, მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი შენარჩუნებისა და შემთხვევის ადგილის შემოსაზღვრისათვის;
- მომხდარის შესახებ აცნობოს პოლიციას, ჩაიწეროს თვითმხილველთა გვარები და დაელოდოს პოლიციის (საგზაო პოლიციელის) მოსვლას.

თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, მძღოლებს, არსებულ გარემოებათა შეფასებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ წინასწარ შეადგინონ შემთხვევის სქემა, მოაწერონ ხელი და მივიდნენ საგზაო პოლიციის უახლოეს საგუშაგოზე ან პოლიციის ორგანოში ამ ფაქტის გასაფორმებლად.

მძღოლს ეკრძალება:

- მართოს სატრანსპორტო საშუალება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან სხვა სახის სიმთვრალის მდგომარეობაში, ან იმ სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედებისას, რომლებიც აქვეითებს რეაქციას და ყურადღებას, ანდა ავადმყოფობისას, რაც ქმნის მოძრაობის უსაფრთხოების საშიშროებას;
- სატრანსპორტო საშუალების მართვისას ისარგებლოს მობილური კომუნიკაციის საშუალებით, აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მძღოლი სარგებლობს მობილური კომუნიკაციის საშუალების ყურსასმენით ან მობილური კომუნიკაციის ხმამაღალი (ან დისტანციური) საუბრის ფუნქციით და ორივე ხელი აქვს სატრანსპორტო საშუალების საჭესა და სიჩქარეთა გადამრთველზე; (23.06.2005.N1747)
- გადასცეს სატრანსპორტო საშუალება სამართავად პირს, რომელიც იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან სხვა სახის სიმთვრალის მდგომარეობაში, ან განიცდის იმ სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედებას, რომლებიც აქვეითებს რეაქციას და ყურადღებას, აგრეთვე იმ პირს, რომელსაც თან არა აქვს მოცემული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების დამადასტურებელი მძღოლის მოწმობა.

კანონის 21-ე მუხლში ჩამოყალიბებულია სატრანსპორტო საშუალების პოლიციაში რეგისტრაციის პირობები, აგრეთვე თანამდებობის პირთა ვალდებულებები სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით. აგრეთვე ჩამოყალიბებულია განსხვავებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების განთავსების ვალდებულებები და ამ ნიშნების სტანდარტები.

მუხლი 21. სატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ დაშვებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები. თანამდებობის პირთა ვალდებულებანი

- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა (ტრამვაისა და ტროლეიბუსის გარდა) და მისაბმელის სპეციალურ ადგილებზე კეთდება შესაბამისი ნიმუშის სარეგისტრაციო ნიშნები, ხოლო ავტომობილზე, დამატებით, საქარე მინის ქვედა მარცხენა კუთხეში თავსდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიში. (29.12.2006. N4221)
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიზნით, საგზაო მოძრაობის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა და აღჭურვილობა უნდა უპასუხებდეს შესაბამის სტანდარტებსა და წესებს.
- მგზავრთა გადასაყვანი ბორტის პლატფორმიანი სატვირთო ავტომობილი უნდა აღიჭურვოს იატაკიდან 0,3–0,5 მეტრ სიმაღლეზე და ბორტის ზედა ნაპირიდან არანაკლებ 0,3 მეტრზე დამაგრებული დასაჯდომებით, ხოლო ბავშვების გადაყვანისას ბორტების სიმაღლე იატაკიდან არ უნდა იყოს 0,8 მეტრზე ნაკლები. უკანა ან გვერდითი ბორტების გასწვრივ განლაგებულ დასაჯდომებს უნდა ჰქონდეთ მყარი საზურგეები.
- სასწავლო ორგანიზაციის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ავტომობილის მართვის სწავლებისათვის გამოიყენება, უნდა აღიჭურვოს გადაბმულობის ამძრავითა და მუხრუჭის დამატებითი სატერფულებით.
- ველოსიპედს უნდა ჰქონდეს გამართული მუხრუჭი, საჭე და ხმოვანი სიგნალი, აღიჭურვოს წინ – შუქამრეკლითა და თეთრი ფერის ფარნით ან ფარით (დღე-ღამის ბნელ დროს ან არასაკმარისი ხილვადობის პირობებში მოძრაობისათვის), უკან – შუქამრეკლით ან წითელი ფერის ფარნით, ხოლო ორივე გვერდითი მხრიდან – ნარინჯისფერი ან წითელი ფერის შუქამრეკლით.
- საჭაპნე ოთხთვალას უნდა ჰქონდეს კონსტრუქციით გათვალისწინებული გამართული სადგომი სამუხრუჭო მოწყობილობა და დაგორების საწინააღმდეგო საყრდენები, აღიჭურვოს წინ – ორი შუქამრეკლითა და თეთრი ფერის ფარნით, უკან – ორი შუქამრეკლით ან წითელი ფერის ფარნით.
- ტრამვაისა და ტროლეიბუსზე კეთდება შესაბამისი უწყებების მიერ მიკუთვნებული სარეგისტრაციო ნომრები.

სატრანსპორტო საშუალებაზე მაგრდება საცნობი ნიშნები:

„ავტომატარებელი" – კაბინის თავზე ჰორიზონტალურად განლაგებული, ერთმანეთისაგან 150-დან 300 მმ-დე დაშორებული, სამი ნარინჯისფერი ფარანი – მისაბმელიან სატვირთო ავტომობილსა და ბორბლიან ტრაქტორზე (1,4 ტონისა და მეტი კლასის), აგრეთვე შეუღლებულ ავტობუსსა და ტროლეიბუსზე;



„კოტები" – წვერით ზევით მიმართული თეთრი ფერის ტოლგვერდა სამკუთხედი წითელი ფერის არშიით, რომელშიც ჩაწერილია შავი ფერის ასო „კ" (სამკუთხედის გვერდი არანაკლებ 200 მმ-ია, არშიის სიგანე – გვერდის 1/10) – იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების უკანა მხარეს, რომელზედაც დამაგრებულია კოტებიანი სალტეები;

„ბავშვების გადაყვანა" – ყვითელი ფერის კვადრატი წითელი არშიით (კვადრატის გვერდი არანაკლებ 250 მმ-ია, არშიის სიგანე – გვერდის 1/10), 1.21 საგზაო ნიშნის სიმბოლო შავი გამოსახულებით – ავტობუსის ან სატვირთო ავტომობილის წინა და უკანა მხარეს;

„ყრუ მძღოლი" – წვერით ქვევით მიმართული, 160 მმ დიამეტრის, ყვითელი ფერის წრე შიგნით ჩახაზული შავი ფერის 40 მმ დიამეტრის სამი წრით, რომლებიც განლაგებულია წარმოსახვითი ტოლგვერდა სამკუთხედის კუთხეებში – იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წინა და უკანა მხარეს, რომელსაც ყრუ-მუნჯი ან ყრუ მძღოლი მართავს;

„საშიში ტვირთი" – 690X300 მმ ზომის სწორკუთხედი, რომლის მარჯვენა ნაწილის სიგანეა 400X300 მმ და შეღებილია ნარინჯისფრად, ხოლო მარცხენა ნაწილი –

თეთრად, გარშემო შავი ფერის არშიით (სიგანე 15 მმ)– ასეთი ტვირთის გადამტანი სატრანსპორტო საშუალების წინა და უკანა მხარეს;

„სასწავლო-სატრანსპორტო საშუალება" – წვერით ზემოთ მიმართული თეთრი ფერის ტოლფერდა სამკუთხედი წითელი ფერის არშიით, რომელშიც ჩაწერილია შავი ფერის ასო „ს" (სამკუთხედის გვერდი არანაკლებ 200 მმ-ია, არშიის სიგანე – გვერდის 1/10) – მართვის სწავლებისათვის განკუთვნილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წინა და უკანა მხარეს (აგრეთვე დასაშვებია მსუბუქი ავტომობილის სახურავზე ორმხრივი ნიშნის დაყენება);

„სიჩქარის შეზღუდვა" – 3.24 საგზაო ნიშნის შემცირებული ფერადი გამოსახულება, რომელზედაც მითითებულია ნებადართული მოძრაობის სიჩქარე (ნიშნის დიამეტრი არანაკლებ 160 მმ-ია, არშიის სიგანე – დიამეტრის 1/10)– იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ძარის უკანა მხარეს, მარცხნივ, რომელსაც მართავს მძღოლად მუშაობის 2 წლამდე სტაჟის მქონე მძღოლი საშიში და მსხვილგაბარიტიანი ტვირთის გადატანისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ტექნიკური მახასიათებლით სატრანსპორტო საშუალების მაქსიმალური სიჩქარე ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულზე ნაკლებია;

„მსხვილგაბარიტიანი ტვირთი" – 400X400 მმ ზომის დაფა, რომელზედაც დიაგონალურადაა დახაზული 50 მმ სიგანის ურთიერთმონაცვლე წითელი და თეთრი ფერის ზოლები შუქამრეკლი ზედაპირით;

„გრძელი სატრანსპორტო საშუალება" – არანაკლებ 1200X200 მმ ზომის ყვითელი ფერის მართკუთხედი წითელი ფერის არშიით (სიგანე 40 მმ) და შუქამრეკლი ზედაპირით – იმ სატრანსპორტო საშუალების უკანა მხარეს, რომლის სიგრძე ტვირთით ან უმისოდ აღემატება 20 მეტრს, და ავტომატარებელზე ორი ან მეტი მისაბმელით. თუ აღნიშნული ზომის ნიშნის დადგმა შეუძლებელია, დასაშვებია დამაგრდეს არანაკლებ 600X200 მმ ზომის ორი ერთნაირი ნიშანი, სატრანსპორტო საშუალების ღერძის სიმეტრიულად.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მძღოლის სურვილისამებრ სატრანსპორტო საშუალებაზე მაგრდება საცნობი ნიშანი:

„ინვალიდი" – ყვითელი ფერის კვადრატი 150 მმ-იანი გვერდით და 7.17 საგზაო ნიშნის სიმბოლო შავი ფერის გამოსახულებით – იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წინა და უკანა მხარეს, რომელსაც პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები მართავენ, ან ტრანსპორტზე, რომელსაც გადაჰყავს ინვალიდები.

„ექიმი“ - ლურჯი ფერის კვადრატი (გვერდი 104მმ) შიგ ჩახაზული თეთრი წრით (დიამეტრიც 125მმ), რომელზეც გამოსახულია წითელი ჯვარი (სიმაღლე 90მმ, შტრიხის სიგანე 25მმ) მაგრდება მძღოლის სუვილისამებრ ავტომობილებზე, რომლებსაც ექიმი მძღოლები მართავენ.

მძღოლი აგრეთვე ვალდებულია სატრანსპორტო საშუალებაში ჰქონდეს

„ავარიული გაჩერების ნიშანი“ - დაფა. ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმისა არანაკლებ 0.4 მ (16 დუიმი) სიგრძის გვერდებით და არანაკლებ 0.05 მ (2 დუიმი) სიგანის წითელი ნაპირებით; ამ სამკუთხედის შუა ნაწილი შეიძლება ღრუ იყოს, ან ღია ფერის საღებავით შეღებილი; წითელი ნაპირები თავისი გამჭირვალობით ან უნდა ატარებდეს შუქს, ან უნდა ჰქონდეს შუქამრეკლი თვისების მქონე ზოლი; დაფა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებელი იყოს მისი მდგრად ვერტიკალურ მდგომარეობაში დაყენება. იდგმება სავალდებულო წესით.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ბუქსირების დროს დრეკადი შემაერთებელი რგოლების აღსანიშნავად გამოიყენება ალმები, გამაფრთხილებელი მოწყობილობა ან 200X200 მმ ზომის დაფა, რომელზედაც დიაგონალურადაა დახაზული წითელი და თეთრი ფერის 50 მმ სიგანის ურთიერთმონაცვლე ზოლები შუქამრეკლი ზედაპირით; დრეკად შემაერთებელ რგოლზე მაგრდება არანაკლებ ორი გამაფრთხილებელი მოწყობილობა (ალამი).

ხისტი საბუქსირო მოწყობილობის კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს 25907-89 სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მდგომარეობისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს ეკრძალებათ:

- ხაზზე გაუშვან ტექნიკურად გაუმართავი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის ექსპლუატაციაც აკრძალულია, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გადაკეთებულია დადგენილი წესების დარღვევით, ან არ არის დადგენილი წესით რეგისტრირებული, ანდა არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება;“ (22.02.2011. N4216 ამოქმედდეს 2011 წლის 15 აპრილიდან.)
- დაუშვან სატრანსპორტო საშუალების სამართავად პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან სხვა სახის სიმთვრალის მდგომარეობაშია, ან განიცდის იმ სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედებას, რომლებიც აქვეითებს რეაქციას და ყურადღებას, ანდა არის ავად, რაც ქმნის მოძრაობის უსაფრთხოების საშიშროებას, აგრეთვე ის პირი, რომელსაც არ აქვს მოცემული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;
- ასფალტის, ცემენტ-ბეტონის საფარიან გზებზე მოძრაობისათვის გაუშვან ტრაქტორი და მუხლუხასვლიანი სხვა თვითმავალი მანქანები.

გზის, რკინიგზის გადასასვლელისა და სხვა საგზაო ნაგებობათა მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან:

- გზა, რკინიგზის გადასასვლელი და სხვა საგზაო ნაგებობანი შეინახონ მოძრაობისათვის უსაფრთხო მდგომარეობაში;
- მიიღონ ზომები მოძრაობისათვის შექმნილი დაბრკოლების დროულად აღმოფხვრისათვის, აგრეთვე გზის ცალკეულ მონაკვეთზე მოძრაობის აკრძალვისათვის ან შეზღუდვისათვის, თუ ამ გზით სარგებლობა ქმნის მოძრაობის უსაფრთხოების საშიშრობას.

გზაზე სამუშაოთა წარმოებისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან:

- გზაზე სამუშაოს მიმდინარეობის ადგილზე უზრუნველყონ მოძრაობის უსაფრთხოება. ეს ადგილი, აგრეთვე იქ გაჩერებული საგზაო მანქანები, სამშენებლო მასალა, კონსტრუქციები და ა. შ., რომლებიც არ გააქვთ გზის მიღმა, აღჭურვონ შესაბამისი საგზაო ნიშნებით, მიმანიშნებელი და შესაღობი მოწყობილობებით, ხოლო დღე-ღამის ბნელ დროს ან არასაკმარისი ხილვადობის პირობებში – დამატებითი წითელი და ყვითელი ფერის სასიგნალო სინათლეებით;

- სამუშაოს დამთავრებისას გზაზე უზრუნველყონ სატრანსპორტო საშუალებისა და ქვეითის უსაფრთხო მოძრაობა.

თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილი წესით, შესაბამის უწყებებთან ათანხმებენ:

- ქალაქში და საავტომობილო გზაზე მოძრაობის ორგანიზების სქემებს;
- გზის, საგზაო ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის პროექტებს;
- უშუალოდ გზასთან ჯიხურის დადგმას, ტრანსპარანტისა და პლაკატის გამოფენას, სარეკლამო დაფისა და სხვა საგნის დაყენებას, რომლებიც აუარესებენ ხილვადობას და აძნელებენ ქვეითის მოძრაობას;
- სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მარშრუტებსა და გასაჩერებელ პუნქტებს (გაჩერებებს);
- გზაზე მასობრივ, სპორტულ და სხვა ღონისძიებათა ჩატარებას;
- სატრანსპორტო საშუალების გადაკეთებას, მასზე სპეციალური მაშუქი და ხმოვანი სიგნალების დამაგრებას, სატრანსპორტო საშუალების ძარის გვერდებზე დახრილი თეთრი ზოლების დახაზვას;
- საშიში, მძიმეწონიანი და მსხვილგაბარიტიანი ტვირთის გადატანას;
- ავტომატარებლის მოძრაობას, რომლის საერთო სიგრძე აღემატება 20 მეტრს, ან ორ- ან მეტმისაბმელიანი ავტომატარებლის მოძრაობას;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სპეციალისტის, მართვის სწავლების ინსტრუქტორისა და მძღოლის მოსამზადებელ პროგრამებს;
- გზების ნუსხას, რომლებზედაც აკრძალულია სასწავლო სვლა;
- გზაზე ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულებას, რომელიც დაბრკოლებას უქმნის სატრანსპორტო საშუალებას ან ქვეითის მოძრაობას.

თემა # 12

სპეციალური სიგნალების გამოყენება. ქვეითისა და მგზავრის მოვალეობები

კანონის 22-ე მუხლში აღწერილია სპეციალური სიგნალების (რომელშიც იგულისხმება ლურჯი, წითელი, ნარინჯისფერი სანათი მოწყობილობები და სპეციალური ხმოვანი სიგნალები) გამოყენების უფლებამოსილებისა და წესების შესახებ. აგრეთვე საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ვალდებულებები ასეთი სიგნალებით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების მოახლოების შემთხვევაში.

მუხლი 22. სპეციალური სიგნალების გამოყენება

ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალების მძღოლს, რომელსაც სატრანსპორტო საშუალებაზე ჩართული აქვს ლურჯი ფერის შუქურა და ასრულებს სამსახურებრივ დავალებას, შეუძლია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გადაუხვიოს ამ კანონის 25-ე და 27–37-ე მუხლების მოთხოვნებს ***მარეგულირებლის სიგნალების გარდა***.

ლურჯი ფერის შუქურასთან ერთად შეიძლება ჩაირთოს წითელი ფერის შუქურაც. საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების მიმართ უპირატესობის მისაღებად ამ სატრანსპორტო საშუალების მძღოლი რთავს ლურჯი ფერის შუქურასა და სპეციალურ ხმოვან სიგნალს. პრიორიტეტით სარგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მძღოლი დარწმუნდება, რომ მას გზას უთმობენ.

ასეთივე უფლებით სარგებლობს იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელსაც მიაცილებენ ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებები.

მძღოლი გზას უთმობს ლურჯი ფერის შუქურით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას, აგრეთვე გასაცილებელ სატრანსპორტო საშუალებას, რომელზედაც ჩართულია ახლო განათების ფარები მისი შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

ჩართული ლურჯი ფერის შუქურით მდგომ სატრანსპორტო საშუალებასთან მიახლოებისას მძღოლი ანელებს სიჩქარეს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში ჰქონდეს ტრანსპორტის დაუყოვნებელი გაჩერების შესაძლებლობა.

იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლს, რომელიც გზაზე ასრულებს სამშენებლო, სარემონტო ან დასასუფთავებელ სამუშაოებს და ჩართული აქვს ***ნარინჯისფერი ან ყვითელი ფერის შუქურა***, შეუძლია გადაუხვიოს

საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების, აგრეთვე ამ კანონის 28-ე მუხლის მე-4–8 და 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, თუ უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას. სხვა მძღოლებმა მას არ უნდა შეუქმნან მუშაობაში დაბრკოლება. ნარინჯისფერი ან ყვითელი შუქურა არ იძლევა უპირატესობას საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების მიმართ და გამოიყენება მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 23. ქვეითის მოვალეობანი

- ***ქვეითმა უნდა იაროს ტროტუარსა და ქვეითთა ბილიკზე***, ხოლო თუ ისინი არ არის – გვერდულაზე. ქვეითს, რომელსაც გადააქვს დიდი ზომის ნივთი, აგრეთვე ძრავის გარეშე ინვალიდის ეტლით, პირს, რომელიც გადაადგილდება შეუძლიათ იარონ სავალი ნაწილის ნაპირზე, თუ ტროტუარსა და გვერდულაზე მათი მოძრაობა დაბრკოლებას უქმნის სხვა ქვეითებს. თუ არ არის ტროტუარი, გვერდულა და ქვეითთა ბილიკი, ან მათზე მოძრაობა შეუძლებელია, ქვეითმა უნდა იაროს საველოსიპედო ბილიკზე ან იმოძრაოს ერთ რიგად სავალი ნაწილის ნაპირას (გზაზე, რომელზედაც გამყოფი ზოლი სავალი ნაწილის გარეთა ნაპირზეა). ***დაუსახლებელ პუნქტში ქვეითმა უნდა იაროს სავალ ნაწილზე, სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის საპირისპიროდ***. პირმა, რომელიც გადაადგილდება ძრავის გარეშე ინვალიდის ეტლით, აგრეთვე პირებმა, რომლებიც მართავენ მოტოციკლს, მოპედს, ველოსიპედს, უნდა იმოძრაონ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მიმართულებით.
- სავალ ნაწილზე ქვეითთა ორგანიზებული კოლონის მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მიმართულებით, მარჯვენა მხარეს, რიგში არა უმეტეს ოთხი კაცისა. ჯგუფს წინ და უკან, მარცხენა მხარეს უნდა მიჰყვებოდნენ გამცილებლები წითელი ალმებით, ხოლო დღე-ღამის ბნელ დროს ან არასაკმარისი ხილვადობის პირობებში – ჩართული ფარებით: წინ – თეთრით, უკან – წითლით. ბავშვებმა უნდა იარონ მხოლოდ ტროტუარსა და ქვეითთა ბილიკზე, ხოლო თუ ისინი არ არის – გვერდულაზე, ისიც დღისით, გამცილებლის თანხლებით.
- ***ქვეითი სავალ ნაწილს გადაკვეთს ქვეითთა გადასასვლელზე, მათ შორის, მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელებით, ხოლო თუ ის არ არის – გზაჯვარედინზე, ტროტუარის ან გვერდულის ხაზზე.*** თუ ხილვადობის ზონაში არ არის გადასასვლელი ან გზაჯვარედინი, გზაზე გადასვლა ნებადართულია სწორი კუთხით სავალი ნაწილის ნაპირთან იმ მონაკვეთში, სადაც არ არის გამყოფი ზოლი, ღობურა და გზა ორივე მხრიდან კარგად ჩანს.
- რეგულირებად ადგილებში ქვეითი ხელმძღვანელობს მარეგულირებლის ან ქვეითთა შუქნიშნის სიგნალებით, ხოლო თუ ის არ არის – სატრანსპორტო შუქნიშნის სიგნალებით.
- ქვეითთა გადასასვლელზე, რომელზედაც არ რეგულირდება მოძრაობა, ქვეითი სავალ ნაწილს გადაკვეთს მოახლოებულ სატრანსპორტო საშუალებამდე მანძილის, მისი სიჩქარის განსაზღვრისა და გადასვლის უსაფრთხოებაში დარწმუნების შემდეგ. ამასთან, სავალი ნაწილის გადაკვეთისას (სადაც არ არის ქვეითთა გადასასვლელი) ქვეითმა არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობას, არ უნდა გამოვიდეს გაჩერებული სატრანსპორტო საშუალების ან ხილვადობის შემზღუდველი სხვა წინააღმდეგობის მხრიდან.
- ქვეითი არ უნდა შეყოვნდეს ან გაჩერდეს სავალ ნაწილზე, თუ ეს არ ქმნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშიშროებას. ქვეითი, რომელმაც ვერ მოასწრო გზაზე გადასვლა, ჩერდება საპირისპირო მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების გამყოფ ზოლზე და გადასვლას აგრძელებს მხოლოდ შემდგომი მოძრაობის უსაფრთხოებაში დარწმუნების შემდეგ, შუქნიშნის (მარეგულირებლის) სიგნალების გათვალისწინებით.

ქვეითი ვალდებულია თავი შეიკავოს სავალ ნაწილზე გადასვლისაგან იმ სატრანსპორტო საშუალების მოახლოებისას, რომელსაც ჩართული აქვს ლურჯი ფერის შუქურა და სპეციალური ხმოვანი სიგნალი, ხოლო სავალ ნაწილზე მყოფმა ქვეითმა ასეთ სატრანსპორტო საშუალებას უნდა დაუთმოს გზა ან დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს იგი.

- ***სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისა და ტაქსის მოცდა ნებადართულია მხოლოდ სავალი ნაწილის შედარებით ამაღლებულ ჩასასხდომ ბაქანზე, ხოლო თუ ის არ არის – ტროტუარზე ან გვერდულაზე.*** ამაღლებული ჩასასხდომი ბაქნის გასაჩერებელი პუნქტიდან (გაჩერებიდან) სატრანსპორტო საშუალებაში ჩასასხდომად სავალ ნაწილზე გადასვლა ნებადართულია მხოლოდ

ტრანსპორტის გაჩერების შემდეგ, ხოლო სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოსვლისას ქვეითმა დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს სავალი ნაწილი.

მუხლი 24. მგზავრის მოვალეობანი

მგზავრი ვალდებულია:

სატრანსპორტო საშუალებაში ჩაჯდეს და გადმოვიდეს ტროტუარის ან გვერდულის მხრიდან ტრანსპორტის სრული გაჩერების შემდეგ, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სავალი ნაწილის მხრიდან, თუ იგი არ შეუქმნის დაბრკოლებას საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს.

მგზავრს ეკრძალება:

- მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მართვისას მძღოლის ყურადღების გადატანა სხვა რამეზე;
- ბორტის პლატფორმიანი სატვირთო ავტომობილით მგზავრობისას ძარაზე დგომა, ბორტებზე ჩამოჯდომა ან მათზე ტვირთის დადება;
- მოძრავი სატრანსპორტო საშუალების კარის გაღება.

თემა # 13

შუქნიშნისა და მარეგულირებლის სიგნალები. საავარიო შუქური სიგნალიზაცია

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკურ საშუალებებს შორის ყველაზე დიდი როლი აკისრია შუქნიშნებს. შუქნიშნები არსებობ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების. მათი სახეობებისა და მოთხოვნების შესახებ განმართებები მოცემულია კანონის 25-ე მუხლში. ამავე მუხლში საუბარია ამ კანონის ტერმინებში განმარტებული "მარეგულირებლის" მიერ მიცემული სიგნალების დანიშნულების შესახებ.

მუხლი 25. შუქნიშნისა და მარეგულირებლის სიგნალები

შუქნიშანზე გამოყენებულია ***მწვანე, ყვითელი, წითელი და მოყვითალო ფერის მაშუქი სიგნალები***. შუქნიშნის მაშუქი სიგნალები გამოისახება ისრით, (ისრებით), ქვეითის ან ველოსიპედისტის სილუეტითა და X ნიშნით. მრავალსიგნალიან შუქნიშანს შეიძლება ჰქონდეს მრგვალი მწვანე სიგნალის დონეზე განლაგებული მწვანე ისრიანი (ისრებიანი) სიგნალების ორი დამატებითი სექცია.

შუქნიშნის მრგვალ სიგნალებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **მწვანე სიგნალი** – რთავს მოძრაობის ნებას;
- **მწვანე მოციმციმე სიგნალი** – რთავს მოძრაობის ნებას და საგზაო მოძრაობის მონაწილეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მისი მოქმედების დრო იწურება და მალე ჩაირთვება ამკრძალავი სიგნალი. მწვანე მოციმციმე სიგნალის ჩაქრობამდე დარჩენილი დროის (წამების) შესახებ მძღოლის დამატებით ინფორმირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ციფრობრივი დაფა;
- **ყვითელი სიგნალი** – კრძალავს მოძრაობას, ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, და იძლევა ინფორმაციას სიგნალის შეცვლის შესახებ;
- **ყვითელი მოციმციმე სიგნალი** – რთავს მოძრაობის ნებას და იძლევა აწვდის ინფორმაციას არარეგულირებული გზაჯვარედინის, ქვეითთა გადასასვლელის არსებობის ან მოსალოდნელი საშიშროების შესახებ;
- **წითელი სიგნალი, აგრეთვე წითელი მოციმციმე სიგნალი** _ კრძალავს მოძრაობას. წითელი და ყვითელი სიგნალების ერთობლივი ჩართვა კრძალავს მოძრაობას და იძლევა ინფორმაციას მწვანე სიგნალის ჩართვის შესახებ.

მწვანე, ყვითელი და წითელი ფერის ისრიანი (ისრებიანი) ან შუქნიშნის სიგნალებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც შესაბამისი ფერის მრგვალ სიგნალებს, მაგრამ მათი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ისრით მითითებული მიმართულებით (მიმართულებებით). ამასთან, ისარი, რომელიც მარცხნივ მოხვევის ნებას რთავს, მობრუნების უფლებასაც იძლევა, თუ ეს შესაბამისი საგზაო ნიშნით არ არის აკრძალული. იგივე მნიშვნელობა აქვს მწვანე ისარს დამატებით სექციაში. დამატებითი სექციის გამორთული სიგნალი იძლევა ინფორმაციას, რომ მოძრაობა აკრძალულია ამ სექციით რეგულირებული მიმართულებით.

შუქნიშნის ძირითად მწვანე სიგნალზე აღბეჭდილი შავი კონკრეტული ისარი (ისრები) მძღოლს აწვდის ინფორმაციას შუქნიშნის დამატებითი სექციის არსებობის შესახებ და მიუთითებს ამ სექციის სიგნალისაგან განსხვავებული მოძრაობის სხვა ნებადართულ მიმართულებებს.

თუ შუქნიშნის სიგნალზე ქვეითის ან ველოსიპედისტის სილუეტია გამოსახული, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ქვეითზე ან ველოსიპედისტზე. ამასთან, მწვანე სიგნალი ნებას რთავს, ხოლო წითელი კრძალავს ქვეითის ან ველოსიპედისტის მოძრაობას. ველოსიპედისტთა მოძრაობის რეგულირებისათვის გამოიყენება შემცირებული ზომის მრგვალსიგნალიანი შუქნიშანი სწორკუთხოვანი (200X200 მმ) თეთრი ფერის დამატებითი დაფით, რომელზედაც აღბეჭდილია შავი ფერის ველოსიპედის სილუეტი.

სავალ ნაწილზე გადასვლის შესაძლებლობის შესახებ ბრმა ქვეითის ინფორმირებისათვის შუქნიშნის შუქურა სიგნალებს ემატება აგრეთვე ხმოვანი სიგნალი.

სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის რეგულირებისათვის სავალი ნაწილის ზოლებზე, სადაც მოძრაობის მიმართულება საპირისპიროდ იცვლება, გამოიყენება რევერსული შუქნიშნები, წითელი ფერის X ნიშნის სიგნალითა და ქვემოთ მიმართული მწვანე ისრით. ეს სიგნალები შესაბამისად კრძალავს ან ნებას რთავს იმ ზოლზე მოძრაობას, რომლის ზემოთაც ისინია განლაგებული. რევერსული შუქნიშნის ძირითად სიგნალებს შეიძლება დაემატოს დიაგონალურად ქვემოთ – მარჯვნივ ან მარცხნივ დახრილისრიანი ყვითელი სიგნალი, რომლის ჩართვა იძლევა ინფორმაციას სიგნალის შემდგომი შეცვლისა და ისრით მითითებულ ზოლზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

ტრამვაისათვის სპეციალურად გამოყოფილ ზოლზე, აგრეთვე სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის რეგულირებისათვის გამოიყენება შუქნიშნები ერთი და იმავე ფერის სიგნალიზაციით, ნიშნის მსგავსად განლაგებული მოყვითალო ფერის ოთხი მრგვალი სიგნალით. მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როცა ერთდროულად ჩართულია ქვედა და ერთი ან რამდენიმე ზედა სიგნალი, რომელთა შორის მარცხენა – მარცხნივ, საშუალო – პირდაპირ, მარჯვენა კი მარჯვნივ მოძრაობის უფლებას იძლევა. თუ მხოლოდ სამი ზედა სიგნალია ჩართული, მოძრაობა აკრძალულია.

რკინიგზის გადასასვლელზე არსებული მოყვითალო ფერის მრგვალი მოციმციმე სიგნალი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უფლებას იძლევა. თუ მოციმციმე მოყვითალო და წითელი ფერის სიგნალები გამორთულია, მოძრაობა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როცა ხილვადობის ფარგლებში არ ჩანს გადასასვლელთან მოახლოებული მატარებელი (ლოკომოტივი, დრეზინა).


ორგანიზაციის


მიმართულების


რკინიგზის


მაფრთხილებელი


ჰორიზონტალური განლაგების


დამატებითი სექცია


ვერტიკალური განლაგების

სდექ

პირდაპირ

პირდაპირ და მარჯვნივ

პირდაპირ და მარცხნივ









რევერსიული	წითელი შუქნიშანი, (ამასთანავე მოციმციმე) კრძალავს მოძრაობას	ყვითელი შუქნიშანი, კრძალავს მოძრაობას მხოლოდ დასაშვებია დაწყებული მოძრაობის დამთავრება	მწვანე შუქნიშანი მიუთითებს ოძრაობას



ციმციმა ვითელი უშვებს გზაჯვარედინზე დიდი სიფრთხილით მოძრაობას



მოციმციმე მწვანე შუქნიშანი მიუთითებს მოძრაობაზე და თან ატყობიებს მძღოლს, რომ შემდეგ რამოდენიმე წუთში აინთება ამკრძალავი შუქნიშანი



მოციმციმე წითელი შუქნიშანი მიუთითებს რომ რამოდენიმე წამში აინთება ყვითელი შუქნიშანი და უნდა მოვემზადოთ მწვანე შუქნიშნისთვის

შუქნიშნები

შუქნიშნებში გამოყენებულია მწვანე,ყვითელი,წითელი და მოყვითალო ფერის მაშუქი სიგნალები.

მწვანე სიგნალი – მოძრაობის ნებას რთავს.

მწვანე მოციმციმე – მოძრაობის ნებას რთავს და იუწყება,რომ მისი მოქმედების დრო იწურება და მალე ჩაირთვება ამკრძალავი სიგნალი.

ყვითელი სიგნალი – კრძალავს მოძრაობას,გარდა იმ შემთხვევისა,როდესაც ყვითელი სიგნალის ჩართვის (ან მარეგულირებლის მიერ ხელის მაღლა აწევის) დროს მძღოლს ექსტერნული დამუხრუჭების გარეშე გაჩერება არ შეუძლია; აგრეთვე აფრთხილებს მომდევნო სიგნალის ჩართვის შესახებ.

ყვითელი მოციმციმე – მოძრაობის ნებას რთავს,აწვდის ინფორმაციას მძღოლს არარეგულირებადი გზაჯვარედინისა და ქვეითთა გადასასვლელის არსებობის შესახებ და აფრთხილებს საშიშროების თაობაზე.

წითელი სიგნალი (წითელი მოციმციმე) – კრძალავს მოძრაობას.

წითელი და ყვითელის შეხამება – კრძალავს მოძრაობას და იტყობინება,რომ ჩაირთვება მწვანე სიგნალი.

თუ შუქნიშანი აღჭურვილია დამატებითი სექციით,ტრანსპორტს შეუძლია იმოძრაოს სექციაში ისრით ნაჩვენები მიმართულებით მხოლოდ მაშინ,როდესაც ის ჩართულია.

შუქნიშნის ძირითად მწვანე სიგნალზე დატანილი შავი კონტურული ისარი(ისრები) იუწყება შუქნიშნის დამაატებითი სექციის არსებობის შესახებდა მიუთითებს დამატებითი სექციის სიგნალისგან განსხვავებული მოძრაობის სხვა ნებადართულ მიმართულებაზე.

რევერსიული მოძრაობის გზებზე გამოიყენება რევერსიული შუქნიშნები.

მწვანე – მოძრაობის ნებას რთავს იმ ზოლზე,რომლის ზემოთაც ის არის განლაგებული.

წითელი – კრძალავს მოცემულ ზოლზე მოძრაობას

ყვითელი – თუ იგი არსებობს – იტყობინება სიგნალის მომდევნო შეცვლისა და მითითებულ ზოლზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

გამორთული რევერსიული შუქნიშანი - კრძალავს ამ ზოლზე გასვლას.

მარეგულირებლის სიგნალებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ხელები განზეა გაშვერილი ან ჩამოშვებული:



- მარჯვენა და მარცხენა გვერდების მხრიდან ტრამვაის უფლება აქვს იმოძრაოს პირდაპირ,\;
- ურელსო სატრანსპორტო საშუალებებს – პირდაპირ და მარჯვნივ;
- ქვეითს უფლება აქვს გადავიდეს სავალ ნაწილზე;
- მარეგულირებლის მკერდისა და ზურგის მხრიდან – ყველა სატრანსპორტო საშუალებისა და ქვეითის მოძრაობა აკრძალულია;

მარჯვენა ხელი წინ არის გაშვერილი:

- მარცხენა გვერდის მხრიდან ტრამვაის უფლება აქვს იმოძრაოს მარცხნივ, ურელსო სატრანსპორტო საშუალებებს – ყველა მიმართულებით;
- მკერდის მხრიდან ყველა სატრანსპორტო საშუალებას უფლება აქვს იმოძრაოს მხოლოდ მარჯვნივ;
- მარჯვენა გვერდისა და ზურგის მხრიდან ყველა სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა აკრძალულია;
- ქვეითს უფლება აქვს გადავიდეს სავალ ნაწილზე მარეგულირებლის ზურგს უკან;

ხელი ზემოთ არის აწეული:

ყველა სატრანსპორტო საშუალებისა და ქვეითის მოძრაობა ნებისმიერი მიმართულებით აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მძღოლს, ყვითელი სიგნალის ჩართვის ან მარეგულირებლის მიერ ხელის ზემოთ აწევის დროს დამუხრუჭების გარეშე არ შეუძლია გაჩერდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილებში, ან ქვეითს, რომელიც სიგნალის მიცემისას იმყოფება სავალ ნაწილზე, უნდა გაათავისუფლოს იგი.

მარეგულირებელს ხელების საშუალებით შეუძლია მძღოლსა და ქვეითს მისცეს სხვა გასაგები სიგნალები და ამისათვის გამოიყენოს კვერთხი ან დისკო წითელი სიგნალით (შუქამრეკლით).

მარეგულირებელი სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ მოთხოვნას გადასცემს ხმამაღლა – მოლაპარაკე მოწყობილობის ან სატრანსპორტო საშუალებისაკენ მიმართული ჟესტიკულაციით. ამ შემთხვევაში მძღოლი ჩერდება მითითებულ ადგილზე.

სასტვენით მიცემული დამატებითი სიგნალი გამიზნულია მოძრაობის მონაწილეთა ყურადღების მისაპყრობად.

შუქნიშნის (რევერსულის გარდა) ან მარეგულირებლის ამკრძალავი სიგნალის დროს მძღოლი ვალდებულია გაჩერდეს „სდექ" ხაზთან (5.33 ნიშანთან), ხოლო თუ ის არ არის:

- გზაჯვარედინზე – გადასაკვეთ სავალ ნაწილზე (ამ კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად) ისე, რომ არ შეუქმნას დაბრკოლება ქვეითს;
- რკინიგზის გადასასვლელის წინ – ამ კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;
- სხვა ადგილებში – შუქნიშნის ან მარეგულირებლის წინ ისე, რომ არ შეუქმნას დაბრკოლება სატრანსპორტო საშუალებასა და ქვეითს, რომლებსაც მიეცათ მოძრაობის უფლება.
-

მძღოლს, რომელსაც ყვითელი სიგნალის ჩართვის ან მარეგულირებლის მიერ ხელის ზემოთ აწევის დროს დამუხრუჭების გარეშე არ შეუძლია გაჩერდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილებში, უფლება აქვს განაგრძოს მოძრაობა. ქვეითმა, რომელიც სიგნალის მიცემისას იმყოფება სავალ ნაწილზე, უნდა გაათავისუფლოს იგი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ქვეითი უნდა გაჩერდეს ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადების გამყოფ ხაზზე.

მძღოლი და ქვეითი ასრულებენ სიგნალების მოთხოვნებსა და მარეგულირებლის განკარგულებებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ეწინააღმდეგება შუქნიშნის სიგნალებს, საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოთხოვნებს.

რკინიგზის გადასასვლელზე შუქნიშნის წითელ მოციმციმე სიგნალთან ერთად მიეცემა ხმოვანი სიგნალი, რომელიც მოძრაობის სხვა მონაწილეებს დამატებით აწვდის ინფორმაციას გადასასვლელზე მოძრაობის აკრძალვის შესახებ.

მუხლი 26. საავარიო შუქური სიგნალიზაცია

საავარიო შუქური სიგნალიზაცია ირთვება:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს;
- იძულებითი გაჩერების დროს იმ ადგილას, სადაც აკრძალულია გაჩერება;
- მძღოლის შემხვედრი ავტოსატრანსპორტო საშუალების ფარების სინათლით თვალის მოჭრის დროს;
- ბუქსირების დროს (ბუქსირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე);
- მოძრაობის მონაწილეთა გასაფრთხილებლად იმ საშიშროების გამო, რომელიც მოსალოდნელია სატრანსპორტო საშუალებისაგან.

თემა # 14

მოძრაობის დაწყება, მანევრირება. სატრანსპორტო საშუალების განლაგება სავალ ნაწილზე. მოძრაობის სიჩქარე

ამ თემაში მოცემულ მუხლებში ჩამოყალიბებულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთA დარღვევაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ძირითად მიზეზებს წარმოადგენენ, ესენია მოძრაობის დაწყება, მანევრილება, მოძრაობის სიჩქარე და სხვა.

მუხლი 27. მოძრაობის დაწყება, მანევრირება

მოძრაობის დაწყების, ზოლიდან ზოლში გადასვლის, მოხვევის (მობრუნების) და გაჩერების წინ, მძღოლი ვალდებულია ჩართოს სიგნალების შესაბამისი მიმართულების შუქური მოხვევის მაჩვენებლები, ხოლო თუ ისინი არ არის ან გამოსულია მწყობრიდან, ანიშნოს ხელით. ამასთან, მანევრი უნდა იყოს უსაფრთხო, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ შეექმნათ დაბრკოლება. მარცხნივ მოხვევის (მობრუნების) სიგნალს შეესაბამება გვერდზე გაშვერილი მარცხენა ხელი ან გვერდზე გაშვერილი, იდაყვში სწორი კუთხით ზემოთ მოხრილი მარჯვენა ხელი. მარჯვნივ მოხვევის სიგნალს შეესაბამება გვერდზე გაშვერილი მარჯვენა ხელი ან გვერდზე გაშვერილი, იდაყვში სწორი კუთხით ზემოთ მოხრილი მარცხენა ხელი. დამუხრუჭების სიგნალი მიეცემა ზემოთ აწეული მარცხენა ან მარჯვენა ხელით.

მოხვევის მაჩვენებლებით ან ხელით სიგნალი მიეცემა დროულად, მანევრის დაწყების წინ და წყდება მისი დასრულებისთანავე (სიგნალის ხელით მიცემა შეიძლება შეწყდეს უშუალოდ მანევრის დაწყების წინ). ამასთან, სიგნალმა შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მოძრაობის სხვა მონაწილეები. სიგნალის მიცემა მძღოლს არ აძლევს უპირატესობას და არ ათავისუფლებს სიფრთხილის აუცილებელი ზომების მიღებისაგან.

მიმდებარე ტერიტორიიდან გზაზე გასვლისას მძღოლი გზას უთმობს მასზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას და ქვეითს, ხოლო გზიდან გადასვლისას – იმ ქვეითსა და ველოსიპედისტს, რომლებსაც უჭრის გზას.

მოძრაობის მიმართულების შეუცვლელად ზოლიდან ზოლში გადასვლისას მძღოლი გზას უთმობს თანმხვედრ სატრანსპორტო საშუალებას. ერთი მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებათა ზოლიდან ზოლში ერთდროულად გადასვლისას მძღოლი გზას უთმობს მარჯვნივ მყოფ სატრანსპორტო საშუალებას.

მარჯვნივ ან მარცხნივ მოხვევის წინ მძღოლი ვალდებულია დროულად დაიკავოს შესაბამისი განაპირა მდებარეობა სავალ ნაწილზე, რომელიც მოცემული მიმართულებით მოძრაობისთვისაა განკუთვნილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოხვევა სრულდება გზაჯვარედინზე გასასვლელად, სადაც წრიული მოძრაობაა ორგანიზებული.

მარცხენა მხარეს სავალ ნაწილთან ერთ დონეზე განლაგებული, თანმხვედრი მიმართულების ტრამვაის ლიანდაგების არსებობის შემთხვევაში მობრუნება სრულდება ამ ვაკისზე, თუ 5.8.1, 5.8.2 ნიშნებით მოძრაობის სხვა წესრიგი არ არის დადგენილი. ამასთან, ტრამვაის მოძრაობას არ უნდა შეექმნას დაბრკოლება.

მოხვევა სრულდება ისე, რომ სავალი ნაწილების გადაკვეთიდან გამოსვლისას სატრანსპორტო საშუალება არ აღმოჩნდეს საპირისპირო მოძრაობის მხარეს. მარჯვნივ მოხვევისას სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს რაც შეიძლება ახლოს სავალი ნაწილის მარჯვენა ნაპირთან.

თუ თავისი გაბარიტის ან სხვა მიზეზთა გამო, სატრანსპორტო საშუალება ვერ ასრულებს მოხვევას ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დასაშვებია ამ წესებიდან გადახვევა, თუ უზრუნველყოფილი იქნება მოძრაობის უსაფრთხოება და დაბრკოლება არ შეექმნება სხვა სატრანსპორტო საშუალებებს.

გზაჯვარედინის მიღმა, მარცხნივ მოხვევის ან მობრუნების დროს ურელსო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს საპირისპიროდ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას და თანმხვედრი მიმართულებით მოძრავ ტრამვაის. თუ გზაჯვარედინის მიღმა მობრუნებისას სავალი ნაწილის სიგანე არასაკმარისია უკიდურესი მარცხენა მდებარეობიდან მანევრისათვის, ეს უკანასკნელი შეიძლება შესრულდეს სავალი ნაწილის მარჯვენა ნაპირიდან (მარჯვენა გვერდულიდან). ამასთან, მძღოლმა გზა უნდა დაუთმოს თანმხვედრი და საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს.

თუ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ტრაექტორიები იკვეთება, ხოლო გავლის რიგითობა განსაზღვრული არ არის, მძღოლი გზას უთმობს იმ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მას მარჯვნიდან უახლოვდება.

დამუხრუჭების ზოლის არსებობის შემთხვევაში მძღოლი, რომელიც აპირებს მოხვევას, დროულად უნდა გადაადგილდეს ამ ზოლზე და შემდეგ შეანელოს სიჩქარე.

გზაზე გასასვლელ ადგილზე გაქანების ზოლის არსებობის შემთხვევაში მძღოლი ამ ზოლზე მოძრაობისას და მეზობელ ზოლზე გადაადგილებისას გზას უთმობს მასზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს.

მობრუნება აკრძალულია:

ა) ქვეითთა გადასასვლელზე;
ბ) გვირაბში;
გ) ხიდზე, გზაჯვარედინზე, ესტაკადაზე და მის ქვეშ;
დ) რკინიგზის გადასასვლელზე;
ე) გზაზე, სადაც ხილვადობა თუნდაც ერთი მიმართულებით 100 მეტრზე ნაკლებია;
ვ) იმ ადგილას, სადაც გასაჩერებელი პუნქტია.

სატრანსპორტო საშუალების უკუსვლით მოძრაობა ნებადართულია, თუ ეს მანევრი უსაფრთხოა და დაბრკოლებას არ უქმნის მოძრაობის სხვა მონაწილეებს. უკუსვლით მოძრაობა აკრძალულია გზაჯვარედინზე და დამუხრუჭების ზოლში.

მუხლი 28.სატრანსპორტო საშუალებათა განლაგება სავალ ნაწილზე

- ურელსო სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისათვის ზოლების რაოდენობა განისაზღვრება მონიშვნით ან 5.1, 5.8.7, 5.8.8. ნიშნებით, ხოლო თუ ისინი არ არის – თვით მძღოლის მიერ, სავალი ნაწილის სიგანის, სატრანსპორტო საშუალებების გაბარიტისა და მათ შორის აუცილებელი ინტერვალის გათვალისწინებით. ამასთან, საპირისპირო მოძრაობისათვის განკუთვნილ მხარედ ითვლება მარცხნივ განლაგებული სავალი ნაწილის სიგანის ნახევარი.
- გზაზე, რომელზედაც ოთხი ან მეტი ზოლი და ორმხრივი მოძრაობაა, აკრძალულია გზის სანაპირო მოძრაობისათვის განკუთვნილ მხარეზე გასვლა.
- მონიშვნით (1.9 მონიშვნის გარდა) აღნიშნულ სამზოლიან გზაზე, სადაც ორმხრივი მოძრაობაა და შუა ზოლი ორივე მიმართულებით მოძრაობისათვის გამოიყენება, ნებადართულია ამ ზოლზე გასვლა მხოლოდ გასწრების, შემოვლის, მარცხნივ მოხვევის ან მობრუნების დროს. აკრძალულია საპირისპირო მოძრაობისათვის განკუთვნილ უკიდურეს მარცხენა ზოლზე გადასვლა.
- მძღოლი მოძრაობს რაც შეიძლება ახლოს სავალი ნაწილის მარჯვენა ნაპირთან. აკრძალულია მარცხენა ზოლის დაკავება, როცა მარჯვენა ზოლი თავისუფალია.
- სატრანსპორტო საშუალება, რომლის მოძრაობის სიჩქარე არ აღემატება 40 კმ/სთ-ს, ან რომელიც ტექნიკური მდგომარეობის გამო ვერ ავითარებს ამ სიჩქარეს, უნდა მოძრაობდეს განაპირა მარჯვენა ზოლზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა ხორციელდება შემოვლა, გასწრება, მარცხნივ მოხვევის ან მობრუნების წინ გადაჯგუფება.
- მოძრაობა ნებადართულია თანმხვედრი მიმართულების ტრამვაის ლიანდაგზე, რომელიც მარცხენა მხარეს სავალ ნაწილთან ერთ დონეზე მდებარეობს, თუ მოცემული მიმართულებით მოძრაობისათვის ყველა ზოლი დაკავებულია, აგრეთვე შემოვლის, გასწრების, მარცხნივ მოხვევის ან მობრუნების დროს ამ კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთან, ტრამვაის მოძრაობას არ უნდა შეექმნას დაბრკოლება. საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ტრამვაის ლიანდაგზე გასვლა აკრძალულია.
- თუ სავალი ნაწილი მონიშვნის ხაზებითაა ზოლებად დაყოფილი, სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს მკაცრად მონიშნულ ზოლებზე. მონიშვნის წყვეტილ ხაზებზე გასვლა ნებადართულია მხოლოდ გადაჯგუფების დროს.
- იმ გზაზე მოხვევის დროს, რომელზედაც რევერსული მოძრაობაა, მძღოლმა ისე უნდა ატაროს სატრანსპორტო საშუალება, რომ სავალი ნაწილების გადაკვეთიდან გამოსვლისას მან განაპირა მარჯვენა ზოლი დაიკავოს. გადაჯგუფება დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მძღოლი დარწმუნდება რომ მოცემული მიმართულებით მოძრაობა ნებადართულია სხვა ზოლებზეც.
- აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა გვერდულაზე, ტროტუარსა და ქვეითთა ბილიკზე (ამ კანონის 31-ე მუხლის პირველი და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა). ნებადართულია საგზაო-საექსპლუატაციო და კომუნალური სამსახურების ავტომობილების მოძრაობა უშუალოდ გვერდულასთან, ტროტუართან ან ქვეითთა ბილიკთან განლაგებულ სავაჭრო და სხვა საწარმოებსა და ობიექტებთან, ტვირთის მიმტანი სატრანსპორტო საშუალებების უმოკლესი გზით მიდგომა, თუ ამისათვის სხვა შესაძლებლობა არ არსებობს. ამასთან, მძღოლმა უნდა უზრუნველყოს მოძრაობის უსაფრთხოება.
- მძღოლი მის წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებამდე იცავს დისტანციას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თავიდან აიცილოს შეჯახება. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია აგრეთვე გვერდითი ინტერვალის დაცვა.
- დაუსახლებელ პუნქტში გზაზე მოძრაობისას სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომლის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 40 კმ/სთ-ს, ვალდებულია დაიცვას მის წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებამდე ისეთი დისტანცია, რომ სხვა სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც მათ წინ უსწრებენ, დაუბრკოლებლად შეეძლოთ ადრე დაკავებულ ზოლზე გადაჯგუფება. ეს მოთხოვნა არ მოქმედებს, თუ მძღოლი გასასწრებად ემზადება, აგრეთვე ინტენსიური მოძრაობის დროს და ორგანიზებულ სატრანსპორტო კოლონაში მოძრაობისას.

მუხლი 29. მოძრაობის სიჩქარე

მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება უნდა მართოს ისეთი სიჩქარით, რომელიც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვებს, ამასთან, მან უნდა გაითვალისწინოს მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის თავისებურება და მდგომარეობა, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით. სიჩქარე საშუალებას აძლევს მძღოლს, მუდმივი კონტროლი გაუწიოს სატრანსპორტო საშუალებას

მოძრაობის წესების მოთხოვნათა შესასრულებლად. მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მძღოლი იღებს შესაბამის ზომებს მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე.

- ☐ დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ნებადართულია არა უმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით.
- ☐ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებში – თბილისსა და ქუთაისში მოძრაობის სიჩქარე (3.24 შესაბამისი ნიშნების დადგმით) შეიძლება გაიზარდოს გზის ცალკეულ მონაკვეთზე, თუ საგზაო პირობები ქმნის მაღალი სიჩქარით მოძრაობის შესაძლებლობას.
- ☐ დაუსახლებელ პუნქტში ნებადართულია მოძრაობა:
  - მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3,5 ტონას, ავტომაგისტრალზე – არა უმეტეს 110 კმ/სთ, სხვა გზებზე – არა უმეტეს 90 კმ/სთ სიჩქარით;
  - საქალაქთაშორისო და მცირე ზომის ავტობუსისა და მოტოციკლისა, ყველა გზაზე – არა უმეტეს 80 კმ/სთ სიჩქარით; (15.06.2005. N1621)
  - მსუბუქი ავტომობილის მისაბმელის ბუქსირებისას, სხვა ავტობუსისა და სატვირთო ავტომობილისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3,5 ტონას, ავტომაგისტრალებზე – არა უმეტეს 80კმ/სთ, სხვა გზებზე – არა უმეტეს 70 კმ/სთ სიჩქარით; (15.06.2005. N1621)
  - ძარით მგზავრთა გადამყვანი სატვირთო ავტომობილისა – არა უმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით;
  - ისეთი სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებსაც გადააქვთ საშიში, მძიმეწონიანი და მსხვილგაბარიტიანი ტვირთი – არა უმეტეს იმ სიჩქარისა, რომელიც გათვალისწინებულია გადაზიდვის პირობებით.

მძღოლს ეკრძალება:

- სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლით განსაზღვრული მაქსიმალური სიჩქარის გადაჭარბება;
- სატრანსპორტო საშუალებაზე დამაგრებულ საცნობ ნიშანზე „სიჩქარის შეზღუდვა" მითითებული სიჩქარის გადაჭარბება;
- გსხვა სატრანსპორტო საშუალებებისათვის დაბრკოლების შექმნა ნელი მოძრაობით, თუ ეს აუცილებლობით არ არის განპირობებული;
- მკვეთრი დამუხრუჭება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილების აუცილებლობით გამოწვეული დამუხრუჭების გარდა.

თემა # 15

გასწრება, შემხვედრის გვერდის აქცევა. სატრანსპორტო საშუალების გაჩერება და დგომა

სატრანსპორტო საშუალების გასწრება ე.ი. წინ მიმავალი სატრანსპორტო საშუალების გვერდის ავლა დაკავებული მოძრაობის ზოლიდან გამოსვლით. აღნიშნული მოქმედება გაცილებით რთულია თუ მძღოლი გასწრებისთვის იყენებს საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადებისათვის განკუთვნილ მოძრაობის ზოლს. სწორედ ამიტომ ის ვალდებულია უცილობლად დაიცვას კანონის მოთხოვნები.

მუხლი 30. გასწრება, შემხვედრის გვერდის აქცევა

გასწრების დაწყებამდე მძღოლი ვალდებულია დარწმუნდეს დარწმუნდეს, რომ:

- მოძრაობის ზოლი, რომელზედაც აპირებს გასვლას, თავისუფალია გასწრებისათვის საკმაო მანძილზე და ამ მანევრით ის დაბრკოლებას არ შეუქმნის საპირისპიროდ და ამ ზოლზე მოძრავ სხვა სატრანსპორტო საშუალებებს;
- ამავე ზოლზე უკან მომავალმა სატრანსპორტო საშუალებამ არ მისცა გასწრების, მარცხნივ მოხვევის (გადაჯგუფების) სიგნალი;
- გასწრების დამთავრებისას გასასწრები სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შეუქმნელად შეძლებს ადრე დაკავებულ ზოლზე დაბრუნებას.

ურელსო სატრანსპორტო საშუალების გასწრება ნებადართულია მხოლოდ მარცხენა მხრიდან, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალების გასწრება, რომლის მძღოლმაც მისცა მარცხნივ მოხვევის სიგნალი და შეუდგა ამ მანევრის შესრულებას, წარმოებს მარჯვენა მხრიდან.

გასასწრები სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ეკრძალება ხელი შეუშალოს გასწრებას მოძრაობის სიჩქარის მომატებით ან სხვა მოქმედებით.

გასწრების დამთავრებისას (ნებადართული მარჯვნიდან გასწრების გარდა) მძღოლი ვალდებულია დაბრუნდეს ადრე დაკავებულ მოძრაობის ზოლზე. მოცემული მიმართულებით ორი ან მეტი მოძრაობის ზოლის არსებობის შემთხვევაში გამსწრებ მძღოლს შეუძლია დარჩეს ამ კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მარცხენა ზოლზე, თუ ადრე დაკავებულ ზოლზე დაბრუნებისთანავე მას მოუხდება ახალი გასწრების დაწყება და თუ იგი არ შეუქმნის დაბრკოლებას მის უკან უფრო მეტი სიჩქარით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას.

გასწრება აკრძალულია:

- რეგულირებულ გზაჯვარედინზე საპირისპირო მოძრაობის ზოლზე გასვლით და არარეგულირებულ გზაჯვარედინზე იმ გზაზე მოძრაობისას, რომელიც არ არის მთავარი (გარდა გზაჯვარედინისა, სადაც წრიული მოძრაობაა, აგრეთვე იმ ორთვლიანი სატრანპორტო საშუალებისა, რომელსაც არა აქვს გვერდითი მისაბმელი, ან ნებადართული მარჯვნივ მოხვევის შემთხვევებისა);
- ქვეითთა გადასასვლელზე, თუ მასზე მოძრაობს ქვეითი;
- რკინიგზის გადასასვლელზე და მის წინ, 100 მეტრზე ახლოს;
- იმ სატრანპორტო საშუალებისა, რომელიც ახორციელებს გასწრებას ან შემოვლას;
- აღმართის ბოლოში და გზის სხვა მონაკვეთზე, სადაც ხილვადობა შეზღუდულია საპირისპირო მოძრაობის ზოლზე გასვლით.

ნელა მიმავალი მსხვილგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალების მძღოლი დაუსახლებელ პუნქტში მოძრაობისას, თუ ამ სატრანსპორტო საშუალების გასწრება გაძნელებულია, იკავებს რაც შეიძლება მარჯვენა მხარეს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – ჩერდება, რათა გაატაროს მის უკან მოძრავი სხვა სატრანსპორტო საშუალებები.

თუ შემხვედრის გვერდის აქცევა გაძნელებულია, გზა უნდა დათმოს იმ მძღოლმა, რომლის მხარეზეც არსებობს დაბრკოლება. 1.13 და 1.14 ნიშნებით აღნიშნულ აღმართზე დაბრკოლების არსებობისას გზას თმობს დაღმართზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მძღოლი.

მუხლი 31. სატრანსპორტო საშუალების გაჩერება და დგომა

სატრანსპორტო საშუალების გაჩერება და დგომა ნებადართულია გზის მარჯვენა მხარეს გვერდულაზე, ხოლო თუ ის არ არის – სავალი ნაწილის ნაპირთან. გზის მარცხენა მხარეს გაჩერება და დგომა ნებადართულია დასახლებულ პუნქტში იმ გზაზე, სადაც თითოეული მიმართულებისათვის ერთი სამოძრაო ზოლია შუაში, ტრამვაის ლიანდაგების გარეშე, და გზაზე, სადაც ცალმხრივი მოძრაობაა (3,5 ტონაზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე სატვირთო ავტომობილის ცალმხრივმოძრაობიანი გზის მარცხენა მხარეს დგომა შეიძლება მხოლოდ მისი დატვირთვის ან გადმოტვირთვის დროს).

სატრანსპორტო საშუალების დაყენება ნებადართულია ერთ რიგად სავალი ნაწილის ნაპირის პარალელურად, იმ ადგილის (სავალი ნაწილის ადგილობრივი გაფართოება) გარდა, რომელიც სატრანსპორტო საშუალების სხვაგვარად დაყენების პირობებს ქმნის. დასაშვებია გვერდითი მისაბმელით ორთვლიანი სატრანსპორტო საშუალების ორ რიგად დაყენებაც. სავალ ნაწილთან მოსაზღვრე ტროტუარის ნაპირზე დგომა ნებადართულია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, მოპედისა და ველოსიპედისათვის, თუ ისინი დაბრკოლებას არ უქმნიან ქვეითს.

ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალების დგომის/გაჩერების წესებს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. (30.12.2008 N 957)

დაუსახლებელ პუნქტში ხანგრძლივი დასვენება, ღამის გასათევად და სხვა ამგვარი მიზნით დგომა ნებადართულია მხოლოდ ამისათვის განკუთვნილ მოედნებზე ან გზის ფარგლებს მიღმა.

გაჩერება აკრძალულია:

- ტრამვაისა და რკინიგზის ლიანდაგებთან ახლოს, თუ ეს დაბრკოლებას უქმნის ტრამვაისა და მატარებლის მოძრაობას;
- რკინიგზის გადასასვლელზე, გვირაბში, აგრეთვე ესტაკადაზე, ხიდზე, გზაგამტარზე (თუ მოცემული მიმართულებით მოძრაობისათვის სამ ზოლზე ნაკლებია) და მათ ქვეშ;
- იმ ადგილას, სადაც მონიშვნის უწყვეტ ხაზსა (სავალი ნაწილის ნაპირის აღმნიშვნელი მონიშვნის გარდა) და გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებას შორის მანძილი 3 მეტრზე ნაკლებია;
- ქვეითთა გადასასვლელზე და მის წინ, 5 მეტრზე ახლოს;
- სავალ ნაწილზე სახიფათო მოსახვევისა და გზის გრძივი პროფილის ამობურცული გადატეხვის ახლოს, სადაც გზის ხილვადობა თუნდაც ერთი მიმართულებით 100 მეტრზე ნაკლებია;
- სავალი ნაწილების გადაკვეთაზე და გადასაკვეთი სავალი ნაწილის ნაპირიდან 5 მეტრზე ახლოს, იმ შემთხვევების გარდა, როცა გაჩერება ხდება იმ გვერდითი გასასვლელების მოპირდაპირე სამმხრივ გადაკვეთებზე (გზაჯვარედინებზე), რომლებზედაც მონიშვნის უწყვეტი ხაზი ან გამყოფი ზოლია;
- სადგომი მოედნიდან, ხოლო როცა ის არ არის – სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების ან ტაქსის გაჩერების მაჩვენებლიდან 15 მეტრზე ახლოს, თუ ეს აბრკოლებს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას;
- იმ ადგილას, სადაც სატრანსპორტო საშუალება ეფარება შუქნიშნის სიგნალებს ან საგზაო ნიშნებს, ან შეუძლებელია სხვა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა (შესვლა ან გამოსვლა), ან აბრკოლებს ქვეითის მოძრაობას.

დგომა აკრძალულია:

- იმ ადგილას, სადაც აკრძალულია გაჩერება;
- დაუსახლებელ პუნქტში 2.1 ნიშნით აღნიშნული გზის სავალ ნაწილზე რკინიგზის გადასასვლელიდან 50 მეტრზე ახლოს.

იმ ადგილას, სადაც იძულებითი გაჩერებისას გაჩერება აკრძალულია, მძღოლი იღებს ყველა შესაძლო ზომას სატრანსპორტო საშუალების ამ ადგილიდან გასაყვანად.

აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების კარის გაღება, თუ ეს დაბრკოლებას უქმნის საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს.

მძღოლს შეუძლია გადმოვიდეს სატრანსპორტო საშუალებიდან, თუ წინასწარ მიიღებს სატრანსპორტო საშუალების თვითნებური მოძრაობის, ან სხვა პირის მიერ მისი გამოყენების გამომრიცხავ ზომებს.

თემა # 16

გზაჯვარედინის გავლა. ქვეითთა გადასასვლელი და სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებათა გაჩერება. მოძრაობა რკინიგზის ლიანდაგზე. მოძრაობა ავტომაგისტრალზე. მოძრაობა საცხოვრებელ ზონაში. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებათა პრიორიტეტი

სატრანსპორტო მოძრაობაში ყველაზე რთული მონაკვეთია საავტომობილო გზების ერთ დონეზე გადაკვეთის ადგილები _ გზაჯვარედინები. მათზე მოძრაობა შეიძლება რეგულირდებოდეს შუქნიშნის სიგნალებით ან მარეგულირებლის მიერ. გამორთული შუქნიშნების, მათი საერთოდ არ არსებობის შემთხვევაში გზაჯვარედინი არის არარეგულირებული, შესაბამისად მათი გავლა შედარებით უფრო რთულია.

მუხლი 32. გზაჯვარედინის გავლა

მარჯვნივ ან მარცხნივ მოხვევისას მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს ქვეითს, რომელიც გზის იმ სავალ ნაწილზე გადადის, სადაც ის უხვევს, აგრეთვე ველოსიპედისტს, რომელიც კვეთს ამ სავალ ნაწილს საველოსიპედო ბილიკიდან.

აკრძალულია გასვლა გზაჯვარედინზე ან სავალი ნაწილების გადაკვეთაზე იმ შემთხვევაში, თუ მათ წინ ჩახერგილია ტრანსპორტი და მძღოლი იძულებულია გაჩერდეს, რაც დაბრკოლებას უქმნის სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობას განივი მიმართულებით.

გზაჯვარედინი, რომელზედაც მოძრაობის რიგითობა შუქნიშნის ან მარეგულირებლის სიგნალებით განისაზღვრება, ***რეგულირებული*** გზაჯვარედინია. თუ ანთია ყვითელი მოციმციმე სიგნალი, ან შუქნიშანი არ მუშაობს, ან არ არის მარეგულირებელი, გზაჯვარედინი ითვლება ***არარეგულირებულად*** და მძღოლი ვალდებულია იხელმძღვანელოს არარეგულირებული გზაჯვარედინის გავლის წესებითა და გზაჯვარედინზე დაყენებული პრიორიტეტის ნიშნებით.

რეგულირებული გზაჯვარედინი:

- შუქნიშნის მწვანე სიგნალის ჩართვის დროს მარცხნივ მოხვევისას ან მობრუნებისას ურელსო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს საპირისპირო მიმართულებიდან პირდაპირ ან მარჯვნივ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას. ამავე წესით ხელმძღვანელობენ ურთიერთშორის მოძრავი ტრამვაის მძღოლებიც;
- შუქნიშნის დამატებით სექციაში ყვითელ ან წითელ სიგნალთან ერთად ჩართული ისრის მიმართულებით მოძრაობისას მძღოლი გზას უთმობს შუქნიშნის ძირითად მწვანე სიგნალზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას;
- თუ შუქნიშნის ან მარეგულირებლის სიგნალები ერთდროულად ტრამვაისა და ურელსო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ნებას რთავს, მაშინ ტრამვაის აქვს უპირატესობა, მიუხედავად მისი მოძრაობის მიმართულებისა, მაგრამ შუქნიშნის დამატებით სექციაში ყვითელ ან წითელ სიგნალებთან ერთად ჩართული ისრის მიმართულებით მოძრაობისას ტრამვაიმ გზა უნდა დაუთმოს სხვა მიმართულებიდან მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას;
- შუქნიშნის ნებადამრთველი სიგნალის ჩართვისას გზაჯვარედინზე შესული მძღოლი მოძრაობს დასახული მიმართულებით გზაჯვარედინიდან გასასვლელზე არსებული შუქნიშნის სიგნალების მიუხედავად, მაგრამ თუ გზაჯვარედინზე მისი მოძრაობისას გზაზე არსებული შუქნიშნების წინ „სდექ" ხაზებია (5.33 ნიშნები), მძღოლი ხელმძღვანელობს თითოეული შუქნიშნის სიგნალით;
- შუქნიშნის ნებადამრთველი სიგნალის ჩართვისას მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც ამთავრებს გზაჯვარედინზე გადასვლას, და ქვეითს, რომელმაც ვერ დაამთავრა სავალ ნაწილზე გადასვლა მოცემული მიმართულებით.

არარეგულირებული გზაჯვარედინი:

- არათანაბარმნიშვნელოვან გზების გადაკვეთაზე მეორეხარისხოვან გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მძღოლი გზას უთმობს მთავარი გზიდან მოახლოებულ სატრანსპორტო საშუალებას, მისი შემდგომი მოძრაობის მიმართულების მიუხედავად;
- თუ გზაჯვარედინზე მთავარი გზა იცვლის მიმართულებას, ამ გზაზე მოძრავი მძღოლები ხელმძღვანელობენ თანაბარმნიშვნელოვანი გზების გავლის წესებით. ამავე წესით ხელმძღვანელობენ მეორეხარისხოვან გზაზე მოძრავი მძღოლებიც;
- თანაბარმნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზე ურელსო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი გზას უთმობს მარჯვნიდან მოახლოებულ სატრანსპორტო საშუალებას. ამავე წესით ხელმძღვანელობენ ტრამვაის მძღოლები. ასეთ გზაჯვარედინზე ტრამვაის უპირატესობა აქვს ურელსო სატრანსპორტო საშუალების მიმართ, მიუხედავად მისი მოძრაობის მიმართულებისა.

მარცხნივ მოხვევისას ან მობრუნებისას ურელსო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს თანაბარმნიშვნელოვან გზაზე საპირისპირო მიმართულებიდან პირდაპირ ან მარჯვნივ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას. ამავე წესით ხელმძღვანელობენ ტრამვაის მძღოლებიც.

თუ მძღოლი ვერ განსაზღვრავს გზაზე საფარის არსებობას (სიბნელის, თოვლის, ტალახის გამო ან სხვა მიზეზით) და არც პრიორიტეტის ნიშნებია, ითვლება, რომ ის მეორეხარისხოვან გზაზე იმყოფება.

მუხლი 33. ქვეითთა გადასასვლელი და სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება

სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს ქვეითთა არარეგულირებული გადასასვლელით სავალ ნაწილზე მიმავალ ქვეითს.

თუ ქვეითთა არარეგულირებული გადასასვლელის წინ გაჩერდა ან მოძრაობა შეანელა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებამ, მეზობელ ზოლებზე მოძრავ სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები განაგრძობენ სვლას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ გაჩერებული სატრანსპორტო საშუალების წინ არ არის ქვეითი.

- აკრძალულია გადასვლა ქვეითთა გადასასვლელზე, თუ მის უკან ტრანსპორტია ჩახერგილი და მძღოლი იძულებულია გაჩერდეს.
- სხვა შემთხვევაში, აგრეთვე იქ, სადაც არ არის ქვეითთა გადასასვლელი, მძღოლი გზას უთმობს თეთრი ხელჯოხით სიგნალის მიმცემ ბრმა ქვეითს.
- მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს გაჩერებაზე მდგომ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებისაკენ მიმავალ ან ამ ტრანსპორტის კარის მხრიდან მომავალ ქვეითს, თუ ჩასხდომა და გადმოსხდომა ხდება სავალ ნაწილზე ან მასზე განლაგებული ჩასასხდომი მოედნიდან.
- იმ სატრანსპორტო საშუალებასთან მიახლოებისას, რომელსაც აქვს საცნობი ნიშანი „ბავშვების გადაყვანა", მძღოლი ანელებს სიჩქარეს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ჩერდება და ატარებს ბავშვებს.

ქვეითთა რეგულირებულ გადასასვლელზე შუქნიშნის ნებადამრთველი სიგნალის ჩართვისას მძღოლი საშუალებას აძლევს ქვეითს, დაასრულოს მოცემული მიმართულებით სავალ ნაწილზე გადასვლა.

მუხლი 34. მოძრაობა რკინიგზის ლიანდაგებზე

სატრანსპორტო საშუალების მძღოლი რკინიგზის ლიანდაგზე გადასვლისას სარგებლობს მხოლოდ რკინიგზის გადასასვლელით და გზას უთმობს მატარებელს (ლოკომოტივს, დრეზინას).

რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოებისას მძღოლი ხელმძღვანელობს საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, მონიშვნის მოთხოვნებით, შლაგბაუმის მდებარეობითა და გადასასვლელის მორიგის მითითებით, რათა დარწმუნდეს, რომ გადასასვლელს მატარებელი (ლოკომოტივი, დრეზინა) არ უახლოვდება.

აკრძალულია რკინიგზის გადასასვლელზე გადასვლა:

- თუ შლაგბაუმი დაკეტილია ან იკეტება (შუქნიშნის სიგნალის მიუხედავად);
- შუქნიშნის ამკრძალავი სიგნალის დროს (მიუხედავად შლაგბაუმის მდებარეობისა ან მისი არსებობისა);
- გადასასვლელის მორიგის ამკრძალავი სიგნალის დროს (მორიგე დგას მძღოლის მიმართ მკერდით ან ზურგშექცევით, თავს ზემოთ აწეული კვერთხით, წითელი ფარნით ან ალმით, ან ხელები განზე აქვს გაშვერილი);
- თუ გადასასვლელის უკან მოძრაობა ჩახერგილია და ეს აიძულებს მძღოლს, გაჩერდეს გადასასვლელზე;
- თუ საკმარისი ხილვადობის ფარგლებში გადასასვლელს უახლოვდება მატარებელი (ლოკომოტივი, დრეზინა).

აკრძალულია აგრეთვე:

- საპირისპირო მოძრაობის ზოლზე გასვლით გადასასვლელის წინ მდგომი სატრანსპორტო საშუალების შემოვლა;
- შლაგბაუმის თვითნებური გახსნა;
- გადასასვლელზე სასოფლო-სამეურნეო, საგზაო, სამშენებლო და სხვა მანქანებისა და მექანიზმების არასატრანსპორტო მდგომარეობაში გადატანა;

- რკინიგზის ლიანდაგის დისტანციის უფროსის ნებართვის გარეშე 8 კმ/სთ-ზე ნაკლები სიჩქარით მოძრავი ნელა მიმავალი მანქანის, აგრეთვე ტრაქტორის მარხილ-სათრეველას მოძრაობა.

თუ გადასასვლელზე მოძრაობა აკრძალულია, მძღოლი ჩერდება „სდექ" ხაზთან, 2.5 ნიშნიან შუქნიშანთან, ხოლო თუ ის არ არის – ***შლაგბაუმიდან არა ნაკლებ 5 მეტრისა***. შლაგბაუმის არარსებობის შემთხვევაში მძღოლი ჩერდება ***უახლოეს რელსამდე არანაკლებ 10 მეტრისა***.

რკინიგზის გადასასვლელზე იძულებით გაჩერების დროს მძღოლი დაუყოვნებლივ გადმოსხამს მგზავრებს და იღებს ზომებს მის გასათავისუფლებლად.

მძღოლი ვალდებულია აგრეთვე:

- შემლებისამებრ გაგზავნოს ორი კაცი ლიანდაგების გასწვრივ გადასასვლელიდან ორივე მხარეს 1000 მეტრზე (თუ გზავნის მხოლოდ ერთს, გაუშვას იმ მხარეს, საითაც უფრო ცუდი ხილვადობაა), აუხსნას მათ მოახლოებული მატარებლის მემანქანისათვის გაჩერების სიგნალის მიცემის წესი;
- დარჩეს სატრანსპორტო საშუალების ახლოს და მისცეს საერთო განგაშის სიგნალი;
- მატარებლის გამოჩენისას გაიქცეს მასთან შესახვედრად და მისცეს გაჩერების სიგნალი.

გაჩერების სიგნალია ხელის წრიული მოძრაობა (დღისით – მკვეთრი ფერის ქსოვილით ან რაიმე კარგად გასარჩევი საგნით, ღამით – ჩირაღდნით ან ფარნით). საერთო განგაშის სიგნალია ერთი გრძელი და სამი მოკლე ხმოვანი სიგნალი.

მუხლი 35. მოძრაობა ავტომაგისტრალზე

ავტომაგისტრალზე აკრძალულია:

- ქვეითის, შინაური ცხოველების, ველოსიპედისტის, მოპედის, ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანის, აგრეთვე სხვა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, რომელთა სიჩქარე ტექნიკური მახასიათებლით ან მათი მდგომარეობის გამო 40 კმ/სთ-ზე ნაკლებია;
- მეორე ზოლს იქით იმ სატვირთო ავტომობილის მოძრაობა, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტონას აღემატება;
- გაჩერება 5.15, 6.11 ნიშნებით აღნიშნული სპეციალური სადგომი მოედნების გარეთ;
- მობრუნება და შესვლა გამყოფი ზოლის ტექნოლოგიურ წყვეტილებში;
- უკუსვლით მოძრაობა;
- სასწავლო სვლა.

სავალ ნაწილზე იძულებით გაჩერებისას მძღოლი ხელმძღვანელობს ამ კანონის 26-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და იღებს ზომებს, რათა სატრანსპორტო საშუალება გაიყვანოს ამისათვის განკუთვნილ ზოლზე (სავალი ნაწილის ნაპირის აღმნიშვნელი ხაზის მარჯვნივ).

ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება 5.3 ნიშნით აღნიშნულ გზებზეც.

მუხლი 36. მოძრაობა საცხოვრებელ ზონაში

საცხოვრებელ ზონაში, იმ ტერიტორიაზე, სადაც შესასვლელი და გამოსასვლელი 5.38, 5.39 ნიშნებითაა აღნიშნული, ქვეითს შეუძლია იმოძრაოს როგორც ტროტუარზე, ისე სავალ ნაწილზე. ***საცხოვრებელ ზონაში უპირატესობა აქვს ქვეითს***, მაგრამ მან არ უნდა დააბრკოლოს მოძრავი სატრანსპორტო საშუალება.

საცხოვრებელ ზონაში ***აკრძალულია 20 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობა***, გამჭოლი მოძრაობა, სასწავლო სვლა, ჩართული ძრავით დგომა, აგრეთვე 3,5 ტონაზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე სატვირთო ავტომობილის დგომა სპეციალურად გამოყოფილი და ნიშნებით ან/და მონიშვნებით აღნიშნული ადგილების გარეთ.

საცხოვრებელი ზონიდან გამოსვლისას მძღოლი გზას უთმობს მოძრაობის სხვა მონაწილეებს.

ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ეზოს ტერიტორიაზედაც.

მუხლი 37.სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებათა პრიორიტეტი

გზაჯვარედინის გარეთ, სადაც ტრამვაის ლიანდაგი კვეთს სავალ ნაწილს, ტრამვაის აქვს უპირატესობა ურელსო სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, დეპოდან გამოსვლის შემთხვევის გარდა.

გზაზე, სადაც 5.9, 5.10.1–5.10.3 ნიშნებით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია, აკრძალულია ამ ზოლზე სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და გაჩერება. თუ ეს ზოლი დანარჩენი სავალი ნაწილიდან გამოყოფილია მონიშვნის წყვეტილი ხაზით, მოხვევისას სხვა სატრანსპორტო საშუალებები ამ ზოლზე უნდა გადაჯგუფდნენ. ნებადართულია აგრეთვე ამ ზოლის ასეთ ადგილებში შესვლა გზაზე გასვლისა და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის დროს სავალი ნაწილის მარჯვენა ნაპირთან, თუ ეს არ დააბრკოლებს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას.

დასახლებულ პუნქტში მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს იმ ტროლეიბუსსა და ავტობუსს, რომლებიც მოძრაობას იწყებენ მონიშნული გაჩერებიდან. ტროლეიბუსისა და ავტობუსის მძღოლები კი მხოლოდ მაშინ იწყებენ მოძრაობას, როცა დარწმუნდებიან, რომ მათ გზას უთმობენ.

თემა # 17

გარე სანათი ხელსაწყოებითა და ხმოვანი სიგნალებით სარგებლობა. ბუქსირება. სასწავლო სვლა. მგზავრთა გადაყვანა. ტვირთის გადაზიდვა. დამატებითი მოთხოვნები ველოსიპედის, მოპედის, საჭაპანე ოთხთვალის მოძრაობისა და პირუტყვის გადარეკვის მიმართ

დღე-ღამის ბნელ დროს არასაკმარისი ხილვადობისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალებაზე ირთვება გარე სანათი ხელსაწყოები. ეს ხელსაწყოები არის ორიენტირი, რომლითაც ხელმძღვანელობენ საგზაო მოძრაობის მონაწილეები რათA თAვიდან აიცილონ შეჯახება. მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში შეიძლება სწორედ ვერ იქმნას ამოცნობილი სატრანსპორტო საშუალების სახეობა და გაბარიტები, რაც შეიძლება ავარიის მიზეზიც გახდეს. სწორედ ამიტომ აუცილებელია გსანათი ხელსაწყოები ყოველთვის იყოს გამართულ მდგომარეობაში, აგრეთვე ზუსტატ იყოს დაცული მათი გამოყენების წესები.

მუხლი 38.გარე სანათი ხელსაწყოებითა და ხმოვანი სიგნალებით სარგებლობა

დღე-ღამის ბნელ დროს და არასაკმარისი ხილვადობის პირობებში, გზის განათებისაგან დამოუკიდებლად, აგრეთვე გვირაბში მოძრავ სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა ჩაირთოს შემდეგი სანათი ხელსაწყოები:

- ყველა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებასა და მოპედზე – ფარების ახლო ან შორი განათება;
- ველოსიპედზე – ფარები ან ფარნები;
- საჭაპნე ოთხთვალაზე – ფარნები (თუ ასეთი არის);
- მისაბმელზე – საგაბარიტო სინათლეები.

შორი განათება უნდა გადაირთოს ახლო განათებაზე:

- თუ დასახლებულ პუნქტში გზა განათებულია;
- შემხვედრის გვერდის აქცევის დროს სატრანსპორტო საშუალებამდე არანაკლებ 150 მეტრ მანძილზე, აგრეთვე უფრო შორ მანძილზე, თუ საპირისპიროდ მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ფარების შუქის პერიოდული გადართვით მიანიშნებს ამის აუცილებლობაზე;
- როგორც საპირისპირო, ისე თანმხვედრი მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მძღოლისათვის თვალის მოჭრის თავიდან აცილების მიზნით.

ხილვადობის გაუარესების შემთხვევაში მძღოლი მოძრაობის ზოლის შეუცვლელად რთავს საავარიო მაშუქ სიგნალიზაციას, ანელებს სიჩქარეს და ჩერდება.

დღე-ღამის ბნელ დროს გზის გაუნათებელ მონაკვეთზე გაჩერებისას ან დგომისას, აგრეთვე არასაკმარისი ხილვადობის პირობებში, სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა ჩაირთოს საგაბარიტო სინათლეები. არასაკმარისი ხილვადობის პირობებში საგაბარიტო სინათლეებთან ერთად დამატებით შეიძლება ჩაირთოს ახლო განათების, ნისლის საწინააღმდეგო ფარები, აგრეთვე ნისლის საწინააღმდეგო უკანა ფარები.

ნისლის საწინააღმდეგო ფარებით სარგებლობა შეიძლება:

- დამოუკიდებლად, არასაკმარისი ხილვადობის პირობებში, აგრეთვე ფარების ახლო ან შორ განათებასთან ერთად;
- დღე-ღამის ბნელ დროს გზის გაუნათებელ მონაკვეთზე, ფარების ახლო ან შორ განათებასთან ერთად;
- ფარების ახლო განათების მაგივრად, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დღე-ღამის ნათელ დროს მოძრავი სატრანსპორტო საშუალების აღნიშვნის მიზნით ახლო განათების ფარები უნდა ჩაირთოს:

- ორგანიზებულ სატრანსპორტო კოლონაში მოძრაობისას;
- ავტობუსითა და სატვირთო ავტომობილით ბავშვების გადაყვანისას;
- საშიში, მსხვილგაბარიტიანი და მძიმეწონიანი ტვირთის გადატანისას;
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ბუქსირების დროს (მობუქსირე სატრანსპორტო საშუალებაზე).

ფარ-პროჟექტორით და ფარ-მაძიებლით სარგებლობა ნებადართულია მხოლოდ დაუსახლებელ პუნქტში, თუ არ არის საპირისპიროდ მოძრავი სატრანსპორტო საშუალება. დასახლებულ პუნქტში ასეთი ფარებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ოპერატიული და სპეციალური სამსახურების სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს სამსახურებრივი დავალების შესრულებისას.

ნისლის საწინააღმდეგო უკანა ფარები გამოიყენება მხოლოდ არასაკმარისი ხილვადობის პირობებში. აკრძალულია ნისლის საწინააღმდეგო უკანა ფარების „სდექ" სიგნალთან ჩართვა.

საცნობი ნიშანი „ავტომატარებელი" ირთვება ავტომატარებლის მოძრაობისას, ხოლო დღე-ღამის ბნელ დროს და არასაკმარისი ხილვადობის პირობებში – მისი გაჩერებისა და დგომის პერიოდშიც.

ნარინჯისფერი ან ყვითელი ფერის მოელვარე შუქურა ირთვება იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც გზაზე ასრულებს სარემონტო– სამშენებლო ან მოსავლის ასაღებ სამუშაოებს, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებაზე საშიში, მსხვილგაბარიტიანი ან მძიმეწონიანი ტვირთის გადატანისას, ამ ტვირთის გადატანის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ხმოვანი სიგნალები გამოიყენება:

- დაუსახლებელ პუნქტში გასწრების განზრახვით სხვა მძღოლის გასაფრთხილებლად;
- თუ იგი აუცილებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

გასწრების განზრახვით სხვა მძღოლის გასაფრთხილებლად ხმოვანი სიგნალის მაგივრად (ან მასთან ერთად) შეიძლება ჩაირთოს მაშუქი სიგნალიც დღე-ღამის ნათელ დროს ფარების შუქის პერიოდული, ხანმოკლე ჩართვა-გამორთვით, ხოლო დღე-ღამის ბნელ დროს – ფარების ახლო შუქის შორ შუქზე მრავალჯერადი გადართვით.

მუხლი 39. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ბუქსირება

ხისტი ან მოქნილი გადაბმით ბუქსირება სრულდება, თუ საბუქსირო სატრანსპორტო საშუალების საჭესთან ზის მძღოლი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სწორხაზოვანი მოძრაობისას ხისტი გადასაბმელის კონსტრუქცია უზრუნველყოფს საბუქსირო სატრანსპორტო საშუალების მობუქსირე ტრანსპორტის ტრაექტორიით მიყოლას.

ხისტი ან მოქნილი გადაბმით ბუქსირებისას აკრძალულია მგზავრთა გადაყვანა საბუქსირო ავტობუსით, ტროლეიბუსითა და სატვირთო ავტომობილის ძარით, ხოლო ნაწილობრივი დატვირთვით ბუქსირებისას – მგზავრთა ყოფნა საბუქსირო სატრანსპორტო საშუალებაში, აგრეთვე მობუქსირის კაბინაში.

მოქნილი გადაბმით ბუქსირებისას მანძილი მობუქსირე და საბუქსირო სატრანსპორტო საშუალებებს შორის უნდა შეადგენდეს 4-6 მეტრს, ხოლო ხისტი გადაბმით ბუქსირებისას – არა უმეტეს 4 მეტრს.

აკრძალულია ბუქსირება:

- იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის საჭის მართვის მექანიზმი გაუმართავია (დასაშვებია მხოლოდ ნაწილობრივი დატვირთვით ბუქსირება);
- ორი ან მეტი სატრანსპორტო საშუალებისა;
- სატრანსპორტო საშუალებისა უმოქმედო სამუხრუჭო სისტემით, თუ მისი ფაქტობრივი მასა მობუქსირე სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი მასის ნახევარს აღემატება, ხოლო თუ მასა ნაკლებია, ასეთი სატრანსპორტო საშუალების ბუქსირება დასაშვებია მხოლოდ ხისტი გადაბმით ან ნაწილობრივი დატვირთვით;
- მოტოციკლით, გვერდითი მისაბმელის გარეშე, აგრეთვე ასეთი მოტოციკლისა;
- მოქნილი გადასაბმელით, როცა გზები მოყინულია.

მუხლი 40. სასწავლო სვლა

სატრანსპორტო საშუალების მართვის დაწყებითი სწავლება ტარდება დახურულ მოედნებზე ან ავტოდრომებზე, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გზაზე სასწავლო სვლა დასაშვებია მხოლოდ სწავლების ოსტატთან ერთად და იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს სატრანსპორტო საშუალების მართვის საწყის ჩვევებს.

მასწავლებელს თან უნდა ჰქონდეს მოცემული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის სწავლების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მძღოლად მუშაობის 3 წელზე მეტი სტაჟი, აგრეთვე შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობა, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პირი, რომელიც სწავლობს ***ავტომობილის მართვას, უნდა იყოს არანაკლებ 16 წლისა***, ხოლო ***მოტოციკლის მართვას – არანაკლებ 14 წლისა***.

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, რომლითაც ხდება სწავლება, აქვს საცნობი ნიშანი „სასწავლო-სატრანსპორტო საშუალება" და ინსტრუქტორისათვის დაყენებულია უკანა ხედვის სარკე.

აკრძალულია სასწავლო სვლა იმ გზებზე, რომელთა სია ცხადდება დადგენილი წესით.

მუხლი 41. მგზავრთა გადაყვანა

მგზავრები სატვირთო ავტომობილის ძარით უნდა გადაიყვანოს მძღოლმა, რომელსაც აქვს „C" კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობა და მოცემული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის ერთ წელზე მეტი სტაჟი, ხოლო თუ გადასაყვან პირთა რაოდენობა კაბინაში მყოფთა ჩათვლით რვაზე მეტია, მძღოლს უნდა ჰქონდეს „C" და „D"კატეგორიები და მოცემული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის 3 წელზე მეტი სტაჟი.

ნებადართულია მგზავრთა გადაყვანა ბორტის პლატფორმიანი სატვირთო ავტომობილის ძარით, თუ იგი აღჭურვილია ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, ბავშვების გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

სატვირთო ავტომობილის ძარით გადასაყვან მგზავრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დასაჯდომად მოწყობილი ადგილების რიცხვს.

მგზავრობის წინ სატვირთო ავტომობილის მძღოლი ინსტრუქტაჟს უტარებს მგზავრებს ჩასხდომისა და ძარაზე განლაგების წესის შესახებ. მძღოლი მხოლოდ მაშინ იწყებს მოძრაობას, როცა დარწმუნდება, რომ მგზავრთა უსაფრთხოდ გადაყვანის პირობები დაცულია.

მგზავრთა გადაყვანისათვის მოუწყობელი ბორტის პლატფორმიანი სატვირთო ავტომობილის ძარით მგზავრობის უფლება აქვს მხოლოდ ტვირთის თანმხლებ ან მის მიმღებ პირს, თუ ავტომობილი ბორტების დონეზე დაბლა განლაგებული დასაჯდომი ადგილით არის უზრუნველყოფილი.

ავტობუსით ან ფურგონძარიანი სატვირთო ავტომობილით ბავშვების გადაყვანისას მათ უნდა ახლდეთ უფროსი, ხოლო ბორტის პლატფორმიანი სატვირთო ავტომობილის ძარით გადაყვანისას – არანაკლებ ორი ასეთი პირი. ამ სატრანსპორტო საშუალებებზე წინ და უკან მაგრდება საცნობი ნიშანი „ბავშვთა გადაყვანა".

მძღოლი ვალდებულია მგზავრთა ჩასხდომა–გადმოსხდომა განახორციელოს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების სრული გაჩერების შემდეგ, ხოლო მოძრაობა დაიწყოს მაშინ, როცა კარები დახურულია, და არ გააღოს ის სრულ გაჩერებამდე.

მგზავრთა გადაყვანა აკრძალულია:

- ავტომობილის (ფურგონძარიანი ან ბორტის პლატფორმიანი სატვირთო ავტომობილის ძარით მგზავრთა გადაყვანის შემთხვევის გარდა), ტრაქტორის, სხვა თვითმავალი მანქანების კაბინების გარეთ, სატვირთო მისაბმელით, მისაბმელ-აგარაკით, სატვირთო მოტოციკლის ძარითა და მოტოციკლის კონსტრუქციით გათვალისწინებული დასაჯდომი ადგილების გარეთ;
- თუ მგზავრთა რაოდენობა აღემატება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლით გათვალისწინებულ ოდენობას (12 წლამდე ბავშვების გაუთვალისწინებლად). ამასთან, სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი მასა არ უნდა აღემატებოდეს ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილი ნებადართული მაქსიმალური მასის სიდიდეს.

აკრძალულია 12 წლამდე ბავშვის გადაყვანა მოტოციკლის უკანა დასაჯდომით და მსუბუქი ავტომობილის წინა დასაჯდომით (თუ ავტომობილს არა აქვს ბავშვის დამჭერი სპეციალური მოწყობილობა).

მუხლი 42. ტვირთის გადაზიდვა

ავტოსატრანსპორტო საშუალების საგაბარიტო პარამეტრები არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ მაჩვენებლებს ან/და თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს. ის ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის საგაბარიტო პარამეტრები აღემატება საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ მაჩვენებლებს ან/და თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, გატარებული იქნება აღნიშნული პარამეტრების სათანადო კორექტირების შემდეგ. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების საგაბარიტო პარამეტრების კორექტირება შეუძლებელია ან/და ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას, მისი მოძრაობა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული რეკომენდაციის მიღების შემდგომ. (23.06.2006. N3395)

მოძრაობის დაწყების წინ და მოძრაობის დროს მძღოლი ვალდებულია შეამოწმოს ტვირთის მასის გადანაწილება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ტვირთის განლაგება, დამაგრება და მისი მდგომარეობა გადმოვარდნისა და მოძრაობის დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით. (9.11.2005. N2022)

ტვირთის გადაზიდვა დაიშვება, თუ იგი:

- არ ზღუდავს მძღოლის ხილვადობას;
- არ აძნელებს მართვას და არ არღვევს სატრანსპორტო საშუალების მდგრადობას;

- არ ეფარება გარე მაშუქ ხელსაწყოებსა და შუქამრეკლებს, სარეგისტრაციო და საცნობ ნიშნებს, აგრეთვე არ უშლის ხელით მიცემული სიგნალების აღქმას;
- ზედმეტად არ ხმაურობს, არ აყენებს მტვერს, არ აჭუჭყიანებს გზასა და გარემოს.

თუ ტვირთის განლაგება და მდგომარეობა არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, მძღოლი ვალდებულია აღმოფხვრას ისინი ან შეწყვიტოს შემდგომი მოძრაობა.

სატრანსპორტო საშუალების გაბარიტს გარეთ წინ და უკან ერთ მეტრზე მეტად ან გვერდიდან საგაბარიტო სინათლის გარე ნაპირიდან 0,4 მეტრზე მეტად გადმოშვერილი ტვირთი აღინიშნება საცნობი ნიშნით „მსხვილგაბარიტიანი ტვირთი", ხოლო დღე-ღამის ბნელ დროს ან არასაკმარისი ხილვადობის პირობებში, ამასთან, წინ – ფარნით ან თეთრი ფერის შუქამრეკლით, უკან – ფარნით ან წითელი ფერის შუქამრეკლით.

საშიში, მსხვილგაბარიტიანი და მძიმეწონიანი ტვირთის გადატანა, გასაუვნებელი ტვირთის გადაზიდვა, ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, რომლის საგაბარიტო პარამეტრები ტვირთით ან ტვირთის გარეშე აღემატება სიგანეში 2,55 მეტრს (რეფრიჟერატორის შემთხვევაში – 2,60 მეტრს), სიმაღლეში – სავალი ნაწილის ზედაპირიდან 4 მეტრს, ხოლო ავტომზიდისათვის და კონტეინერის გადაზიდვის შემთხვევაში – 4,30 მეტრს, სიგრძეში – 20 მეტრს (ავტომატარებელი ან შესახსრებული (საწევარი ნახევარმისაბმელით) ავტოსატრანსპორტო საშუალება, შესახსრებული ავტობუსი), ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში – 12 მეტრს, ან ისეთი ტვირთით მოძრაობა, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების უკანა გაბარიტის წერტილიდან 2 მეტრზე მეტადაა გადმოშვერილი, ორ- და მეტმისაბმელიანი ავტომატარებლების მოძრაობა ხორციელდება ამ პარამეტრების სათანადო კორექტირების შემთხვევაში ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული რეკომენდაციის მიღების შემდგომ. (25.12.2009 N 2474)

მუხლი 43. დამატებითი მოთხოვნები ველოსიპედის, მოპედის, საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის) მოძრაობისა და პირუტყვის გადარეკვის მიმართ

ველოსიპედის, საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის) მართვა, გზებზე მოძრაობისას სასაპალნე და საჯდომი პირუტყვის ან ჯოგის მეხრეობა ნებადართულია არანაკლებ 14 წლის ასაკის, ხოლო მოპედის მართვა – 16 წლის ასაკის პირისათვის.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებში – თბილისსა და ქუთაისში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ასაკობრივი ცენზი შეიძლება შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს 2 წლით.

ველოსიპედის, მოპედის, საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის), სასაპალნე და საჯდომი პირუტყვის მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ გზის განაპირა მარჯვენა ზოლზე ერთრიგად, აგრეთვე გვერდულაზე, თუ ეს არ აბრკოლებს ქვეითს.

ველოსიპედის, საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის), საჯდომი და სასაპალნე პირუტყვის კოლონები გზის სავალ ნაწილზე მოძრაობისას იყოფა ჯგუფებად – 10 ველოსიპედი, სასაპალნე და საჯდომი პირუტყვი და 5 საჭაპნე ოთხთვალა (მარხილი) თითოეულში. გასწრების გასაადვილებლად ჯგუფებს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს 80-100 მეტრს.

ველოსიპედისა და მოპედის მძღოლებს ეკრძალებათ:

- მოძრაობა, თუ ერთი ხელით მაინც არ უკავიათ საჭე;
- მგზავრების გადაყვანა 7 წლამდე ასაკის ბავშვის გარდა, საიმედო საფეხურებით აღჭურვილი დამატებითი დასაჯდომით;
- იმ ტვირთის გადაზიდვა, რომელიც გაბარიტის გარეთ გადმოშვერილია 0,5 მეტრზე მეტი სიგანით ან სიგრძით და ხელს უშლის მართვაში;
- გზაზე მოძრაობა, თუ გვერდით საველოსიპედო ბილიკია;
- მოხვევა მარცხნივ ან გზაზე მობრუნება, სადაც ტრამვაი მოძრაობს, აგრეთვე იმ გზებზე, რომლებზედაც მოცემული მიმართულებით მოძრაობისათვის ერთ ზოლზე მეტია.

აკრძალულია ველოსიპედისა და მოპედის ბუქსირება, აგრეთვე ველოსიპედითა და მოპედით ბუქსირება, გარდა იმ მისაბმელის ბუქსირებისა, რომელიც ველოსიპედთან ან მოპედთან ერთად განკუთვნილია ექსპლუატაციისათვის.

გზაჯვარედინის მიღმა გამავალ გზასთან საველოსიპედო ბილიკის არარეგულირებულ გადაკვეთაზე ველოსიპედისა და მოპედის მძღოლები გზას უთმობენ ამ გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას.

საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის) მძღოლმა გზის მიმდებარე ტერიტორიიდან ან მეორეხარისხოვანი გზიდან იმ ადგილზე გასვლისას, სადაც ცუდი ხილვადობაა, პირუტყვი აღვირით უნდა ატაროს.

პირუტყვის გზაზე გადარეკვა, როგორც წესი, ხდება დღე-ღამის ნათელ დროს. მეხრემ პირუტყვი უნდა გადარეკოს გზის მარჯვენა ნაპირისაკენ რაც შეიძლება ახლოს.

რკინიგზის ლიანდაგებზე პირუტყვის გადარეკვისას (მეხრეთა რაოდენობის გათვალისწინებით) მთელი ოდენობა იყოფა ჯგუფებად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული ჯგუფის უსაფრთხო გადარეკვა.

საჭაპნე ოთხთვალის (მარხილის) მძღოლს, სასაპალნე, საჯდომი პირუტყვისა და საქონლის გამრეკებს ეკრძალებათ:

- პირუტყვის გზაზე უმეთვალყურეოდ მიტოვება;
- პირუტყვის გადარეკვა რკინიგზის ლიანდაგებზე და გზაზე, რომელზედაც ამისათვის არ არის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, აგრეთვე დღე-ღამის ბნელ დროს ან არასაკმარისი ხილვადობის პირობებში (სხვადასხვა დონეზე განლაგებული გადასარეკების გარდა);
- სხვა გზების არსებობისას პირუტყვის გარეკვა ასფალტისა და ცემენტ-ბეტონის საფარიან გზაზე.

თემა # 18

პასუხისმგებლობა საქართველოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის. ამონარიდი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან - საგზაო მოძრაობის წესების დარღვევები, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

თავი VI

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი

მუხლი 44.საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი უწყებები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII

პასუხისმგებლობა საქართველოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 45.პასუხისმგებლობა საქართველოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

საქართველოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა იწვევს დისციპლინურ, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დადგენილი წესით.

მუხლი 81. ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება

მოქალაქეთა მიერ ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში ამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

კაზუსი

საპატრულო პოლიციისა და შპს "დიაგნოსტიკის" თანამშრომლების ერთობლივი ღონისძიების დროს გამოვლენილ იქნა ავტომანქანა გაზ-3110, რომლის სპეციალური აპარატურით შემოწმებით დადგინდა, რომ გამონაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა რამდენჯერმე აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს 81-ე მუხლით განსაზღვრულ სამართალდარღვევას. მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათაA შემცველობა აღემატება დადგენილ ნორმატივებს, გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე. განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობის რაოდენობა, აგრეთვე მუშაობისას ხმაურის დონე დადგენილია სპეციალური სახელმწიფო ნორმებით, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სამისოდ ტექნიკურად აღჭურვილი და შესაბამისი ლიცენზიის მქონე, ავტომოტოტრანსპორტზე ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანიზაციები (დიაგნოსტიკური ცენტრები). მათი აღჭურვილობისა და მომსახურე პერსონალის საშუალებით საპატრულო პოლიციის მიერ სპეციალურედ მოწყობილ ღონისძიებებზე უნდა გამოვლინდეს ასეთი ტიპის დარღვევა, რაზეც საპატრულო პოლიციის თანამშრომელი არსებული წესით შეადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

მუხლი 116. სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში –გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის –გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით, ხოლო თუ სატრანსპორტო საშუალების გადამცემ პირს არა აქვს მართვის უფლება – დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4^1. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –გამოიწვევს დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

5. სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის – გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს

უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, – გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

9. ამ მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

შენიშვნა:

1. პოლიციელი, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ვალდებულია სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია, და გამოკვლევის მიზნით წარადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთან.28.04.2006. N2962 ამოქმედდეს 2006 წლის 1 ნოემბერიდან)

2. პოლიციელი, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ვალდებულია: სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაშია; თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის ალკოჰოლის მიღების ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, ადგილზე შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილზევე შეამოწმოს იგი; თუ შემოწმების შედეგად დასტურდება მძღოლის მიერ ალკოჰოლის მიღების ფაქტი, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიც აისახება ალკოჰოლური სიმთვრალის შედეგები.

3. უფლებამოსილი პირის მიერ ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის ფაქტების დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. (28.04.2006. N2962)

4. ამ მუხლის მე-3, მე-4, 4^1, მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ.

4^1. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ პირს მართვის მოწმობა დაუბრუნდება სამედიცინო დაწესებულების დიაგნოსტირების საფუძველზე, რომლითაც დასტურდება ნარკომანიით დაავადების არარსებობის ფაქტი.

6. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევის მიერ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა არ გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 1000 ლარის ოდენობით.

7. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას, ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.

8. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

მუხლი 117. ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება

1. სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, – გამოიწვევს დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.

2. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ.

კაზუსი

მელიქიშვილის გამზირზე პატრულმა გააჩერა მერსედესის მარკის ავტომანქანა, რომლის მძღოლს გოშაძეს აღენიშნებოდა სიმთვრალის აშკარა ნიშნები, იგი შესამოწმებლად გადაყვანილ იქნა ნარკოლოგიურ დისპანსერში სიმთვრალის ხარისხის დასადგენად, თუმცა ამ უკანასკნელმა ჯიუტად თავი აარიდა სამედიცინო შემოწმებას.

გოშაძის ქმედება არის 117-ე მუხლში მითითებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ვინაიდან მან მიუხედავად იმისა, რომ მიყვანილ იქნა ნარკოლოგიურ დისპანსერში, მაინც უარი განაცხადა საბოლოო შემოწმებაზე. ამ შემთხვევაში პატრული სამართალდამრღვევაზე შეადგენს შესაბამის ოქმს.

მუხლი 118. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან სხვა პირისათვის ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა

1. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ დაშვება, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, –გამოიწვევს ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

„1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.“.

3. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

კაზუსი

სამგზავრო მიკროავტობუსის მძღოლმა მოსახვევში ვერ დაიმორჩილა საჭე, გადავიდა სავალი ნაწილიდან და შეეჯახა განათების ბოძს. შემთხვევის შედეგად არავინ დაზიანებულა. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ შემთხვევის მომენტში სიჩქარე აჭარბებდა დასაშვებ ზღვარს, სამუხრუჭე სისტემა მწყობრიდან იყო გამოსული. ავტომანქანას გავლილი არ ჰქონდა ყოველწლიური სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რამდენიმე სამართალდარღვევასთან. ესენია უშუალოდ ყოველწლიური სვალდებულო ტექნიკური დათვალიერების არჩატარება, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გამოიკვეთა 125-ეს III ნაწილი _ დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება, რასაც მოჰყვა სატრანსპოპრტო საშუალების , ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება. ქმედება თავისი შინაარსით შეიცავს მესამე სამართალდარღვევასაც 119-ეს II _ იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა. Aუცილებელია დაფიქსირდეს ყველა სამართალდარღვევა. რაც შეეხება სახდელს მისი განსაზღვრის დროს აუცილებლად იქნება გათვალისწინებული 36-ე მუხლის მოთხოვნები.

მუხლი 118^1. ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა

ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა –გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს, რომლის კონსტრუქციაც არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს.

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

3. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

4. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს საჯარიმო ქვითარს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

(ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან)

კაზუსი

თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზაზე, სოფელ პატარძეულთან საპატრულო განწესის მიერ შემჩნეულ იქნა **BMW**-ს მარკის ავტომანქანა, რომლის მძღოლიც საუბრობდა მობილურ ტელეფონზე. იგი არ დაემორჩილა პატრულის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების თაობაზე და დიდი სიჩქარით გააგრძელა მოძრაობა. მოგვიანებით ეს ავტომანქანა გაჩერებულ იქნა აღნიშნული საავტომობილო გზის 70-ე კილომეტრზე. მძღოლს ალექსანდრე როგავას არ ჰქონდა შეკრული უსაფრთხოების ღვედები.

პირველად როგავა შემჩნეულ იქნა 118-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაში _ სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მობილური ტელეფონით სარგებლობა, შემდეგი დარღვევა მან ჩაიდინა მაშინ, როდესაც იგი არ დაემორჩილა პატრულის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების თაობაზე 123-ეს I, შემდეგ მან აგრეთვე გადააჭარბა დადგენილ სიჩქარეს, რაც შესაბამის ხელსაწყოზე დაფიქსირების შემთხვევაში აუცილებლად შეერაცხება სამართალდარღვევად 125-ეს, დაბოლოს გაჩერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ავტომაგისტრალზე მოძრაობისას დამაგრებული არ ჰქონდა უსაფრთხოების ღვედი. ყველა ზემოთჩამოთვლილი სამართალდარღვევის ნიშნები მის ქმედებაში არის, მაგრამ სახდელის შეფარდებისას გათვალისწინებულ იქნება სხვა გარემოებებიც.

მუხლი 118[2]. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელიც მოქმედებდა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ა[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1[1] ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

3. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

4. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 118[3]. მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა

მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

„1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1[1] ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.“.

2. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

3. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 119. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევა

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არა აქვს:

ა) მართვის მოწმობა, ხოლო მართვის მოწმობის ჩამორთმევის შემთხვევაში – სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა;

ბ) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები –გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

2. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, –გამოიწვევს დაჯარიმებას 15 ლარის ოდენობით.

3. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას, –გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.

4. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ტექნიკურად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციოდ დაშვება, –გამოიწვევს ექსპლუატაციის განმახორციელებელი იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

5. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული (გადაკეთებულია საწვავის ავზი, ძარა, ან დაყენებულია ბუნებრივი აირის სისტემა, ან სხვაგვარადაა შეცვლილი სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქცია და იგი არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს ან/და ქარხანა-დამამზადებლის სტანდარტებს), –გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

6. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის მართვის მოწმობა, რომელ სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, –გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

7. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობის გარეშე, –გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ კოდექსის 116-ე, 117-ე, 118-ე, 118^1, 118^2, 119-ე, 120-ე, 121-ე, 121^1, 123-ე, 125-ე და 127^1 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მართვის მოწმობის ან სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს; სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობის წარმოდგენის შემდეგ. დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება, თუ მას აქვს ისეთი ტექნიკური გაუმართაობა, რომლის არსებობისას აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია.

2. ამოღებულია

3. ამ კოდექსში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებად ჩაითვლება ყველა სახეობის ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა თვითმავალი მანქანა, ტრამვაი და ტროლეიბუსი, აგრეთვე მოტოციკლი და სხვა, ძრავით მოძრავი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (მოპედის გარდა).

4. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

5. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.

6. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

7. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება პირზე, რომლის სატრანსპორტო საშუალების მინების დამუქება არ საჭიროებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანხმობას.

კაზუსი

ქუთაისსში ტაბიძის ქუჩაზე პატრულის მიერ გაჩერებულ იქნა ავტომანქანა ვაზ -2109, რომლის მძღოლს ვახტანგ გოგუაძეს შემოწმების დროს არ აღმოაჩნდა სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები.

აღნიშნული შემთხვევა შეიცავს 119-ე მუხლის I ნაწილის "გ" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის ნიშნებს. ამავე მუხლის შენიშვნის I პუნქტის შესაბამისად სამართალდამრღვევს ჩამოერთმევა საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე, ა/მანქანის ტრანსპორტირებისა (თუ საჭირო გახდა მისი ევაკუატორით გადაყვანა) და შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევ მძღოლს.

მუხლი 119^1. გზის საფარის დანაგვიანება ან დაზიანება

1. სამშენებლო ან სხვა სახის მასალების, ნარჩენების გადაზიდვა ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებსაც აქვს გაუმართავი საბარგული ან მისაბმელი მოწყობილობა, რაც ქმნის გზის საფარის დანაგვიანების ან დაზიანების საფრთხეს, –გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –გამოიწვევს დაჯარიმებას 900 ლარით. (24.07.2006. N3500)

მუხლი 120. სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი ან ხმოვანი ხელსაწყოს დაყენების წესების დარღვევა ან მისი არადანიშნულებით გამოყენება

1. სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი ან ხმოვანი ხელსაწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე დაყენება, ანდა ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის ავტომობილისათვის განკუთვნილი შეფერილობის უკანონოდ გამოყენება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, აგრეთვე სპეციალური ხელსაწყოს კონფისკაციას.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული სპეციალური ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენება, ან ასეთი ხელსაწყოთი აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.

3. იმ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის შეფერხება, რომლებზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალები ან რომლებიც ახორციელებენ ესკორტს ან რომლებსაც მიაცილებენ, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის

ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. სპეციალური სანათი ხელსაწყოს უკანონოდ დაყენებად ჩაითვლება ასეთი ხელსაწყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით სატრანსპორტო საშუალებაზე ან მის სალონში საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთათვის შესამჩნევ ადგილზე დადგმა (მუშა მდგომარეობაში ან უამისოდ).

2. სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი ან ხმოვანი ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენებად ჩაითვლება, თუ მისი გამოყენება ოპერატიული ან სპეციალური საშუალების დანიშნულებიდან გამომდინარე მოვალეობის შესრულებასთან არ არის დაკავშირებული.

3. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევის მიერ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა არ გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით.

4. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის, აგრეთვე ამ მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილით დადგენილ შემთხვევაში პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.

5. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

6. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

7. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 121. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის(28.04.2006. N2962)

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

1^1. ამოღებულია (25.12.2009. N2456)

2. სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისათვის ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის

სხეულის მსუბუქი დაზიანება, –გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.(25.12.2009. N2456)

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას, როდესაც პირს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, იგი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ.

3. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

კაზუსი

გოდერძი კიღურაძემ თავის შვილს შალვა კიღურაძეს, რომელსაც არ ჰქონდა მართვის უფლება, ათხოვა საკუთარი ავტომანქანა მეზობელ სოფელში წასასვლელად. შალვა კიღურაძე გაჩერებულ იქნა პატრულის მიერ.

აღნიშნულ შემთხვევაში გოდერძი კიღურაძემ ჩაიდინა 121-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რაც აღინიშნება მის მიმართ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ თუ შალვა კიღურაძე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის იყო მაშინ დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხიც 121-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.

კაზუსი

მოქალაქე გიორგი ძნელაძე გულის შეტევით გახდა ცუდად, ვინაიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, გიორგის მეუღლემ სთხოვა მეზობელს კახა გაბისკირიას, Mმათივე კუთვნილი ავტომანქანით გადაეყვანათ ავადმყოფი სამედიცინო სტაციონარში. კახამ განუმარტა გიორგის მეუღლეს, რომ არ ჰქონდა მართვის მოწმობა, თუმცა განმეორებით თხოვნაზე უარი აღარ უთხრა და მაინც მიუჯდა ავტომანქანის საჭეს. სიჩქარის გადაჭარბების გამო საავტომობილო გზის ერთ-ერთ უბანზე ვერ დაიმორჩილა საჭე, გადავიდა საპირისპირო მხარეს და შეეჯახა იქიდან მომავალ მიკროავტობუსს. შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს ორივე სატრანსპორტო საშუალების მგზავრებმა.

ვითარება ამ შემთხვევაში მართლაც რთულია რა თქმა უნდა სახეზე გვაქვს რამოდენიმე სამართალდარღვევის ნიშნები, 121-ე მუხლის I ნაწილით სატრანსპორტო საშუალების მართვა მართვის მოწმობის გარეშე, სიჩქარის გადაჭარბება რასაც მოჰყვა საგზაო სატრანსპრტო შემთხვევა 125-ეს III, ხოლო თუ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაფიქსირდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მაშინ სახეზე გვექნება დანაშაულის ნიშნები და საქმის განმხილველი ორგანომ (ტანამდებობის პირმა) იგი უნდა გადასცეს გამოძიების ორგანოს.

მუხლი 121^1. სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობით უკანონოდ სარგებლობა

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ ადრე დაკარგული ან დაზიანებული და მის სანაცვლოდ გაცემული მართვის მოწმობებით ერთდროულად სარგებლობა, ან/და პირის მიერ მართვის მოწმობის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება სანაცვლო მართვის მოწმობის მიღების მიზნით, –გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.

2. ჯარიმის იძულებით აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

მუხლი 122. სატრანსპორტო საშუალების მართვა სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით

1. სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით –გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

2. სატრანსპორტო საშუალების მართვა რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

3. სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით, –გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში (გარდა სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით სატრანსპორტო საშუალების მართვისა, თუ არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი სახელმწიფო სანომრე ნიშნის შეცვლის შესახებ) დამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება და მას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობის წარმოდგენის შემდეგ.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და დამრღვევს მიეცემა დადგენილი ნიმუშის ცნობა, რომლის მოქმედების ვადაშიც სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა უნდა გაატაროს სატრანსპორტო საშუალება რეგისტრაციაში. სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციაში გაუტარებლობის შემთხვევაში იკრძალება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია.

3. ამ მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტში მითითებული ცნობის ფორმას და მისი შევსების წესს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

„4. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

5. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.“.

6. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

7. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 123. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა

1. სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის ბოროტად შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით ან მართვის უფლების ჩამორთმევას 2 წლამდე ვადით. *(17.07.2009 N 1505)*

შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით. (*22.7.007 N 5027)*

2. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

3. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.05.2007 N4707)*

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 125. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა (28.04.2006. N2962)

1. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, –გამოიწვევს მართვის უფლების ჩამორთმევას ერთი თვის ვადით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, –გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, –გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

6. საქვეითო გადასასვლელის გავლის, გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, საგზაო ნიშნის ან გზის სავალი ნაწილის მონიშვნის ხაზების, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი ან ხმოვანი სიგნალით სარგებლობის, მოძრაობის დაწყებისა და მანევრირების, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან ავტომაგისტრალზე მოძრაობის წესების ანდა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის

დარღვევა, აგრეთვე მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, –გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

6^1. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი, – გამოიწვევს მართვის უფლების ჩამორთმევას 2 წლის ვადით. *(17.07.2009 N 1505)*

7. მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა“, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“) ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია“, „მოძრაობა აკრძალულია“) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

8. ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, – *(30.12.2008 N 956)*

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

9. ამ მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, ან შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა, რამაც გამოიწვია საცობის შექმნა, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

10. ამ მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. მიტოვებულ სატრანსპორტო საშუალებას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე ან განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების თვლების ბლოკირება სპეციალური საშუალებით, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს ამკრძალავ ნიშანს; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. თუ სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა შეუძლებელია, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დადგენის შემდეგ დამრღვევს დაეკისრება ჯარიმა ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევის მიერ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების შემთხვევაში, თუ დაზარალებულმა არ გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით.

2^1. ამ მუხლის 6^1 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით.

3. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-10 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის, აგრეთვე ამ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილით დადგენილ შემთხვევაში პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.

4. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის პირველი, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

4^1. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მფლობელის დაუდგენლობისას პასუხისმგებლობა ეკისრება ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს. *(30.12.2008 N 956)*

4^2. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურების ან მათ მიერ უფლებამოსილი ფიზიკური

ან/და იურიდიული პირის მიერ ოქმის შედგენიდან ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(30.12.2008 N 956)*

5. ჯარიმის გადახდა ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

6. თუ საპატრულო პოლიციელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რომელიმე ფაქტზე საჯარიმო ქვითარს შემთხვევის ადგილზე არ გამოწერს და სამართალდარღვევის ეს ფაქტი დაფიქსირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, მაშინ ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც საჯარიმო ქვითარი გადაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მესაკუთრეს დაერიცხება საურავი ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(8.05.2007 N4707)*

კაზუსი

ავტომანქანა მერსედესის მძღოლმა პეტრე კომბალაძემ რუსთაველის გამზირზე მოძრაობისას გადაკვეთა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადების გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზი. რის შედეგადაც დააზიანა შემხვედრი მიმართულებით მოძრავი ოპელის უკანა მარცხენა ფრთა. კობალაძეს არ შეუჩერებია ავტომანქანა და სიჩქარის მომატებით გააგრძელა მოძრაობა დასახული მიმართულებით. მოგვიანებით იგი დაკავებულ იქნა პატრულის მიერ.

ამ შემთხვევაში კობალაძემ ჩაიდინა რამდენიმე სამართალდარღვევა. 125-ე მუხლის VII ნაწილით ანუ შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების მსუბუქი დაზიანება, აგრეთვე 123-ეს II საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, ქმედებაში არის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბების ნიშნებიც თუმცა მის ბრალეულად შესარაცხად საჭიროა მისი ტექნიკური საშუალებით (რადარით) დაფიქსირება.

მუხლი 125[2]. დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა *(8.06.2007 N4917)*

1. დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ამასთანავე, იმ ავტოტრანსპორტს, რომელიც დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას დგას 12 საათზე მეტი დროით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევ მძღოლს ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს. (20.10.2009. N1812)

2. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

3. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

4. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

5. ამოღებულია (20.10.2009. N1812)

6. 6. დედაქალაქის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი ავტოტრანსპორტის პარკირების წესების სხვა დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ამასთანავე, ავტოტრანსპორტს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე ან მის თვლებს გაუკეთებს ბლოკირებას სპეციალური საშუალებით, თუ ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. სპეციალურ სადგომზე გადაყვანა დასაშვებია, თუ ავტოტრანსპორტი აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას. ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევ მძღოლს ან ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს. (20.10.2009. N1812)

შენიშვნა: ***(30.12.2008 N 956)***

1. იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაყვანილი იქნება სპეციალურ დაცულ სადგომზე, ავტოსატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს ან/და მესაკუთრეს დაუბრუნდება ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მფლობელის დაუდგენლობისას პასუხისმგებლობა ეკისრება ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„მუხლი 125³. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა

1. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი პარკირების ორგანიზების წესების დარღვევა –გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისას – 200 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების შემდეგ ორი დღის განმავლობაში სამართალდარღვევის გამოუსწორებლობა –გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისას – 400 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ჯარიმების ნებაყოფლობით გადაუხდელობისას, ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის სრული ოდენობით.

4. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის ან/და მესაკუთრის მიერ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების წესების სხვა დარღვევა –გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ჯარიმების ნებაყოფლობით გადაუხდელობისას, ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით.

7. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მფლობელის დაუდგენლობისას პასუხისმგებლობა ეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

8. ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას მისი ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ჯარიმასთან ერთად დაეკისრება დამრღვევს ან ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაყვანილი იქნება სპეციალურ დაცულ სადგომზე, იგი მის მფლობელს ან/და მესაკუთრეს დაუბრუნდება ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის სამართალდარღვევა გამოსწორებულად ჩაითვლება, თუ პირი აღარ დაარღვევს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პარკირების ორგანიზების წესებს. სამართალდარღვევის გამოუსწორებლობის გამო ჯარიმის დაკისრების შემდეგ იმავე საქმიანობის გაგრძელება ითვლება პირის მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენად, რის გამოც მის მიმართ თავიდან იწყება სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

2. ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაყვანილი იქნება სპეციალურ დაცულ სადგომზე ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებს გაუკეთდება ბლოკირება სპეციალური საშუალებებით, თუ ეს დადგენილია ავტოტრანსპორტის პარკირების წესებით და ამის თაობაზე მინიშნება ახლავს პარკირების ნიშანს. სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა დასაშვებია, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.“.

მუხლი 127. ქვეითად მოსიარულის ან საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, აგრეთვე საავტომობილო გზის გასწვრივ პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა *(23.06.2005 N 1753)*

1. ქვეითად მოსიარულის, ველოსიპედისტის, მზიდავის ან გზით მოსარგებლე სხვა პირის მიერ საგზაო მოძრაობის რეგულირების სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, საგზაო ნიშნის ან გზის სავალი ნაწილის მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 ლარის ოდენობით.

2. სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის ძოვების წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

მუხლი 127[1]. საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის, ავტოსადგურის მუშაობის, სატრანსპორტო საგზაო ბარათის წარმოებისა და გამოყენების წესების დარღვევა

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის (გარდა ამ კოდექსის 129[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წესების დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის (გარდა ამ კოდექსის 129[1] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წესების დარღვევა, –გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3. ავტოსადგურის მუშაობის წესების დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

4. საავტომობილო ტრანსპორტზე სატრანსპორტო საგზაო ბარათის წარმოებისა და გამოყენების წესების დარღვევა, –გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. მძღოლი ვალდებულია პოლიციელის მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, წარუდგინოს მას სატრანსპორტო საგზაო ბარათი. სატრანსპორტო საგზაო ბარათის არქონის შემთხვევაში შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

2. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1[1] ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 1 წლით.

3. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 1[1] ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით.“.

4. ჯარიმის იძულებითი აღსრულება ან ჯარიმის შეცვლა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.“.

მუხლი 129[1]. ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით (1.12.2009. N2214)

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომელთა თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, –

გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად).

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას და რომლის მოძრაობა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული რეკომენდაციის წარდგენის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას საზღვაო ნავსადგურში განთავსებული პორტალის გავლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც შემდგომ გადაადგილდება საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით, საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი, 10 კმ-ის რადიუსში მდებარე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული კონტროლის ზონისაკენ.

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის ტვირთის სრული მასა აღემატება დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გადაადგილდება პორტალის გავლით, საგადასახადო ორგანოს განთავსების ადგილიდან უახლოესი, 25 კმ-ის რადიუსში მდებარე რკინიგზის სადგურისაკენ – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული კონტროლის ზონისაკენ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით.

4. თუ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას (გარდა პორტალის გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებისა) ავტოსატრანსპორტო საშუალების თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მესაკუთრე) თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ზედმეტი ტვირთის ჩამოცლას/დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მითითებულ დაცულ ადგილას), ტვირთის დაცვას/შენახვას და შემდგომ ტრანსპორტირებას.

მუხლი 134. გზის, რკინიგზის გადასასვლელი ს ან საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის წესების დარღვევა

მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის მოვლა შენახვის დადგენილი წესების დარღვევა, ანდა ზომების მიუღებლობა გზის ცალკეულ უბანზე მოძრაობის დროულად ასაკრძალად ან შესაზღუდად, როცა ამ გზით სარგებლობა საფრთხეს უქმნის მოძრაობას, აგრეთვე გზის, რკინიგზაზე გადასასვლელისა თუ სხვა საგზაო ნაგებობის ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალების დაზიანება ან გზის საფარის გაჭუჭყიანება, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრა, გარე ვაჭრობის მოწყობა, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ საგზაო პოლიციის მიერ მიცემული წერილობითი მითითების შეუსრულებლობა, -

გამოიწვევს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა თუ სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ან სხვა ფიზიკური პირის დაჯარიმებას ოცდახუთიდან ოცდაათ ლარამდე ოდენობით.

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზასთან სხვა დანიშნულების გზის თვითნებური მიერთება, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს ან ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე ობიექტის უნებართვო მშენებლობა ან ობიექტის მშენებლობაზე დადებული შეთანხმების პირობების დარღვევა, პლაკატების, ტრანსპარატების, აფიშების, სარეკლამო ფირნიშების, არასტანდარტული საგზაო ნიშნების უნებართვოდ განთავსება, გზის თვითნებურად გადათხრა ან სამუშაოთა წარმოებაზე დადებული შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა, ანდა შესაბამისი ნებართვის გარეშე საზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად მიღება, -

გამოიწვევს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის თუ სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ან სხვა ფიზიკური პირის დაჯარიმებას ორმოცდახუთიდან ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოციდან ას ორმოცდაათ ლარამდე ოდენობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ.